დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ-დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის
24 თებერვალი - 2 მარტი

N 9 1580

ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

# სამშობლოს ღალატის მუხლი ბრუნდება!




# მსაჯული ნაც სჯიდე!

## ლია კრიალაშვილი:



სალომე ზურაბიშვილს კვერცხს პირდაპირ შუბლში გავუქანებდი!

11

## ჯონდი ბაღათურია:



14

ბოდიში, მაგრამ ამ გეოპოლიტიკურ გადანაწილებაში ვინ არის ზელენსკი? ერთი ჩვეულებრივი იდიოტია ისევე, როგორც მაკრონი და შოლცი!

## მაყვალა ბერიანიძე:



ჰკითხონ გია ხუხაშვილს, ვინ დაავალა გახარიას ბიძინასთან მიყვანა?

8-9

საერთოდ, გაარკვიონ, ხუხაშვილი ვინ არის?!

## კვერცხებით ომი პოლიტიკურ ქათმებთან 10

## გოგა ხაინდრავა:



სამშობლოს ღალატის მუხლით სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი, ლომაია, ბოკერია და ზაზა გოგაავა უნდა გასამართლდნენ!

6-7





28

არ გშვენის, ხარანაულო!

## ვაშინგტონს ცრემლების არ სჯერა! 15






იაგო ხვიჩიას საავტორო გადაცემაში მერაბ კოსტავას გარდაცვალებაზე სკანდალურმა ცნობებმა გაიჟღერა!

„ზვიადს უშიშროებიდან თავისმა ახლობელმა საიდუმლოდ მოუტანა ამბავი — „კაგებე“ გეგმავს ორი კაცის მკვლელობას...“

22

## ლაზარე ჯორბენაძე:

თეა წულუკიანის კომისიას მოვუყვები, თუ როგორი ჯალათი მოსამართლეა ჩემი ძმის ყოფილი თანაშემწე მაია თეთრაული!




20-21

*საქართველოს ყველაზე დიდი და ძლევამოსილი მეფის — დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილ სასულიერო ლირიკის შედევრში, რომელსაც „გალობანი სინანულისანი“ ჰქვია, ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ:*

*„მსაჯული მართლ სჯიდე, მსახურთა რისხვაჲ ქროდის, მართალნი ნეტარებდენ, ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი...“*

# მსაჯული ნაც სჯიდე!

**მსაჯული მართლ სჯიდეო,** ესე იგი, მოსამართლემ მტყუან-მართალი სწორად და სამართლიანად უნდა განსაჯოსო! — ამას ნიშნავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდად შერაცხილი **დავით აღმაშენებლის** სიტყვები.

და რას ნიშნავს დავით აღმაშენებლის სიტყვების ჩვენეული ინტერპრეტაცია — **მსაჯული ნაც სჯიდე?**

აქ ნაგულისხმევია, რომ **სასამართლომ სამართლიანად უნდა განსაჯოს ყველა ის დანაშაული, რაც ნაცების სისხლიან რეჟიმს საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაუდენია!**

**მსაჯული ნაც სჯიდე!** — ეს ნიშნავს ყველა დამნაშავე **ნაცის** სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას!

**მსაჯული ნაც სჯიდე!** — ეს არის ლაკონიური ფორმულა, რომელშიც **ნაციონალური მოძრაობის,** როგორც დანაშაულებრივი პოლიტიკური ორგანიზაციის, სისტემური გასამართლება და აკრძალვა მოიაზრება!

**მსაჯული ნაც სჯიდე!** — სწორედ ამ ფორმულის ხორცშესხმას უნდა მოუმზადოს საფუძველი საქართველოს პარლამენტში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ, რომელიც უკვე შეუდგა **სააკაშვილის რეჟიმის** მიერ 2003-2012 წლებში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებას!

სიმბოლური და ნიშანდობლივია ისიც, რომ **პარლამენტში საგამოძიებო კომისიის ამუშავების კვალდაკვალ, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა გამოაცხადეს — საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სამშობლოს ღალატის მუხლს აღვადგენთო!**

ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი, რომ სისხლის სამართლის კოდექსიდან სამშობლოს ღალატის მუხლი სააკაშვილის ხელისუფლებამ 2007 წლის აპრილში ამოიღო და სწორედ ამის შემდეგ ჩაიდინა მთელი რიგი დანაშაულები, რომლებსაც, წესით, **სამშობლოს ღალატის** სამართლებრივი კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს.

მაგალითად, 2007 წლის მაისში, ანუ **სამშობლოს ღალატის მუხლის გაუქმებიდან ერთი თვის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს დავითგარეჯის საკითხთან დაკავშირებით შეხვდა და საჯაროდ განაცხადა:**

*„საზღვრის ხაზი უნდა გაიაროს ისე, რომ სტრატეგიული სიმაღლე, რომელიც აზერბაიჯანს ქვეყნის შიგნით სჭირდება, აზერბაიჯანის ტერიტორიაში მოჰყვეს, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი კი მთლიანად საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიაზე უნდა დარჩეს“.*

**პრეზიდენტ სააკაშვილის** ამ განცხადების კვალდაკვალ, დავითგარეჯის ქედზე მდგარი ჩიჩხიტურის კოშკი და ქედს მიღმა მდებარე უდაბნოს მონასტერი, თავის 70-მდე ქვაბულით, აზერბაიჯანის კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდა, რადგან სტრატეგიულ სიმაღლესთან, რომელიც, ნაცბელადის განცხადებით, **„აზერბაიჯანს ქვეყნის შიგნით სჭირდება“,** სასაზღვრო ზოლის სხვაგვარად გავლება შეუძლებელი იყო.

**ჩაიდინა თუ არა ამით პრეზიდენტმა სააკაშვილმა სამშობლოს ღალატი?**

ცხადია, ამის დამტკიცება პროკურატურისა და სასამართლოს პრეროგატივაა, მაგრამ სააკაშვილის განცხადება და ქმედება პირდაპირ ჯდება იმ სამართლებრივ კვალიფიკაციაში, რომელიც სამშობლოს ღალატის მუხლით იყო განსაზღვრული — **საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა და ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება!**

აღარაფერს ვამბობთ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ 2008 წლის ომში ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე, რომლებიც ასევე **სამშობლოს ღალატის მუხლით** შეიძლება, დაკვალიფიცირდეს!

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე მუხლი, რომლის ზუსტი სახელწოდებაც **„სახელმწიფოს ღალატი“** იყო, სამშობლოს ღალატისათვის კონკრეტულ სასჯელს არ აწესებდა, მაგრამ შეიცავდა ჩამონათვალს, თუ რა კატეგორიის დანაშაულები ითვლება **სამშობლოს ღალატად** და მიუთითებდა შესაბამის მუხლებს, რომლებიც სასჯელის სახესა და ზომას განსაზღვრავდნენ.

კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე მუხლში — **„სახელმწიფოს ღალატი“** — სიტყვასიტყვით ეწერა:

*„სახელმწიფოს ღალატად ითვლება საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა (მუხ. 308-ე), ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება (მუხ. 309-ე), საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა (მუხ. 310-ე), უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა (მუხ. 311-ე), საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა (მუხ. 312-ე), სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა (მუხ. 313-ე), ჯაშუშობა (მუხ. 314-ე), შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად (მუხ. 315-ე), საბოტაჟი (მუხ. 318-ე), უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება (მუხ. 319-ე), თუ ეს ქმედება ჩაიდინა საქართველოს მოქალაქემ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მოქალაქეობის არმქონე პირმა“.*

## ჯერ კიდევ როდის ვითხოვდით:




## „ასავალ-დასავალი“ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას წლების განმავლობაში მოუწოდებდა, სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაუქმებული სამშობლოს ღალატის მუხლი აღედგინა!

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

სამწუხაროდ, **ძალიან ბევრი მოღალატეა ქართულ პოლიტიკაში და მათ უნდა დავუპირისპიროთ კონკრეტული საკანონმდებლო მექანიზმები. ყველა კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში დაინიცირდა, წარმოადგენს „დიფ სთეითის“ საწინააღმდეგო პაკეტს,** რათა ბოლომდე იყოს დაცული ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება.

„პირველი არხი“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

ყველა ადამიანმა, **ვინც სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა,** პასუხი უნდა აგოს!

იყო უამრავი გამოწვევა, **სანქციები, მუქარა, შანტაჟი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ,** თუმცა, მან ღირსეულად იარა ამ გზაზე, **საქართველო აარიდა ომს და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას.**

„იმედინიუსი“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

**ნიურნბერგის პროცესი დაგვიანებით შედგება,** რადგან 2012 წელს, როცა რეჟიმი დამარცხდა, **ხელისუფლებას არ მისცეს შესაძლებლობა,** წამების სისტემის შემქმნელთა წინააღმდეგ **ბოლომდე მიეყვანა მართლმსაჯულება.**

„პირველი არხი“



**არჩილ გორდულაძე**
*პარლამენტარი*

ნაცმოძრაობამ 2007 წლის აპრილში **ამოიღო სისხლის სამართლის კოდექსიდან სახელმწიფოს ღალატის მუხლი,** რასაც მოჰყვა იმ **მოღალატეობრივი კანონების მიღება,** რაც საქართველოს წინააღმდეგ იყო გამოყენებული სტრასბურგის სასამართლოში.

„აიპრესი“




## სისხლის სამართლის კოდექსში ნაცრეჟიმის მიერ გაუქმებული

# სამშობლოს ღალატის მუხლი ბრუნდება!

**ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დღესაც არსებობს, მაგრამ ისინი ცალ-ცალკეა გაფანტული და სამშობლოს ღალატის მუხლში აღარ ერთიანდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დამრღვევსა თუ საქართველოს საგარეო უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის ხელმყოფელს, ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ საბოტაჟის ჩამდენსა თუ საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი ძალების ხელშემწყობს სამშობლოს მოღალატის სამართლებრივი სახელი ვერ დაერქმევა!**

მაგალითად, **ივერი მელაშვილსა და ნატალია ილიჩოვას** დავითგარეჯის გახმაურებულ საქმეზე ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლით აქვთ წარდგენილი, რაც საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევას გულისხმობს. შესაბამისად, თუ ისინი წარდგენილ ბრალდებაში გამტყუნდებიან, საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დამრღვევები დაერქმევათ და არა — **სამშობლოს მოღალატეები!**

თუ ვინმე იკითხავს — **რისთვის სხედან ციხეში ილიჩოვა და მელაშვილიო,** არავინ უპასუხებს — **სამშობლოს ღალატისთვისო,** არამედ ეტყვიან — **საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევისთვისო!**

აი, სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი და ამიტომ გააუქმა **სააკაშვილის რეჟიმმა** სამშობლოს ღალატის მუხლი!

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან **სამშობლოს ღალატის მუხლის** გაქრობით სააკაშვილსა და მის დანაშაულებრივ ბანდას სურდათ, **სამშობლოს მოღალატეების სამარცხვინო დამღა** აეცილებინათ!

არადა, დამნაშავის სწორი სახელდება სამართლიან სასჯელზე არანაკლებ მნიშვნელოვანია!

ვინც **სამშობლოს ღალატს** სჩადის, იმას სამართლებრივადაც **სამშობლოს მოღალატე** უნდა ეწოდოს და არა რაიმე სხვა!

ვინც **სამშობლოს ღალატობს,** იმან **სამშობლოს მოღალატის** სამარცხვინო თიკუნიც სამარადჟამოდ უნდა ატაროს!

**ამიტომაც არის მნიშვნელოვანი სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაუქმებული სამშობლოს ღალატის მუხლის დაბრუნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, მითუმეტეს, იმ ფონზე, როცა დღევანდელ საქართველოში სამშობლოს ღალატის მუხლით გასასამართლებელთა მთელი კოჰორტა არსებობს!**

სახელობითად თუ ვიტყვით, **სამშობლოს ღალატის მუხლით** გასამართლების უპირველესი კანდიდატები **მიხეილ სააკაშვილი, ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა** არიან!

ზოგადად თუ ვისაუბრებთ, **სამშობლოს ღალატის მუხლით** გასამართლების პოტენციური კანდიდატია ყველა ის უცხოეთის გავლენის აგენტი და უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების ჯაშუში, ვინც ევროკავშირის სტრუქტურათა დერეფნებში აჩრდილივით დაძრწის და ევრობიუროკრატთა კაბინეტების შესასვლელები აქვს ატალახებული, რათა ქართული სახელმწიფოსათვის სანქციების დაწესებას მიაღწიოს და საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური კოლაფსი გამოიწვიოს!





**სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლების უპირველესი კანდიდატები მიხეილ სააკაშვილი, ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა არიან!**

**მსაჯული რომ ნაც სჯიდეს,** ანუ საქართველოში სამართალმა იზეიმოს და ნაცმოძრაობის დანაშაულებრივი ბანდა სრულფასოვნად გასამართლდეს, სისხლის სამართლის კოდექსში **სამშობლოს ღალატის მუხლი** უნდა არსებობდეს, რაზეც **„ასავალ-დასავალი“** წლების განმავლობაში წერდა

და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას მოუწოდებდა, სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაუქმებული **სამშობლოს ღალატის მუხლი** აღედგინა!

კარგია, რომ ხელისუფლება გვიან, მაგრამ მაინც მივიდა **სამშობლოს ღალატის მუხლის** აღდგენამდე!

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში **სამშობლოს ღალატის მუხლის** არსებობა ასეთი აუცილებელი, ალბათ, არასოდეს ყოფილა!

***ჯაბა ხუბუა***

## ქრონიკა

2025 წლის 21 თებერვალს **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში** გაიმართა პრეზიდიუმის სხდომა შემდეგი შემადგენლობით: **გიორგი მამაცაშვილი, ლაშა ნადარეიშვილი, არჩილ გოგელია, ნანა დევდარიანი, აკაკი სიხარულიძე, ბონდო მძინარაშვილი, ჯაბა ხუბუა, ვახტანგ (ბოჩა) ხუნდაძე.** სხდომას საპატიო მიზეზით ვერ დაესწრო პრეზიდიუმის წევრი **ნანა ლომაია.**

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული გაზეთ „ასავალ-დასავალის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ლაშა ნადარეიშვილი.** საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის **გიორგი მამაცაშვილის** პირველ მოადგილედ დაინიშნა **ნანა დევდარიანი,** მოადგილეებად — **ბონდო მძინარაშვილი, ჯაბა ხუბუა, აკაკი სიხარულიძე** და **ვახტანგ (ბოჩა) ხუნდაძე,** ჟურნალისტთა ფედერაციის მდივნებად — **თეიმურაზ ქორიძე, თამარ ბოლქვაძე** და **ზუბაზ მებრელიძე.**

პრეზიდიუმმა იმსჯელა არაერთ აქტუალურ საკითხზე, რომელთა გადაწყვეტასაც საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია უახლოეს მომავალში გეგმავს.

## კვირგვინოსნები

**მიხეილ ყაველაშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



**როგორც კი უცხოური ჩარევა შეწყდება,** ჩვენ გავაერთიანებთ ჩვენს საზოგადოებას სამი ძირითადი პრინციპის გარშემო: **მამული, ენა და სარწმუნოება.**

რადიო „COURTOISIE“

**ჯეფრი საქსი**
*ამერიკელი ეკონომისტი, კოლუმბიის უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების ცენტრის დირექტორი*



საქართველოში **ევროპარლამენტარებისა და ევროპელი პოლიტიკოსების** ჩასვლა **ანგრევს საქართველოს.**

„პირველი არხი“

**თეა წულუკიანი**
*2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელი*



საგამოძიებო კომისიის სხდომაზე **გამოცხადებაზე უარი მკაცრად ისჯება კანონმდებლობით დადგენილი წესით,** ცეცხლს ნურავინ ეთამაშება.

როდესაც დავინიშნე მინისტრად, **დამხვდა სია,** შედგენილი **ადეიშვილის** მიერ, მოფერებით ეძახდნენ **„კეთილი ბიძიების“ სიას.** იგულისხმებოდა ბიზნესმენი, რომელიც **ვითომდა ნებაყოფლობით გადაწყვეტდა, ქონება ეჩუქებინა სამინისტროსთვის.**

„რეზონანსი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



**სისხლის სამართლის კოდექსში** ნაციონალების მიერ ამოღებული **სამშობლოს ღალატის მუხლი აღდგება.**

„რეზონანსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*



**ნაციონალური მოძრაობის რეჟიმი ისეთ ნაბიჯებს დგამდა,** რომელიც პირდაპირ იყო **სამშობლოს ღალატის** ნიშნების შემცველი.

„რეპორტიორი“

***საკაშვილის რეჟიმს კალმითა და ფოტოაპარატით ვებრძოდი, მაგრამ არასდროს გამჩენია სურვილი, ან კუბოში ჩამედო მისი ფიტული, ან 21 დეკემბერს შავი ბუშტები გამეშვა ცაში სამგლოვიარო არშიით.***

# გიორგი მამაცაშვილი

# ხვალ რომ არ ვინანოთ...





სირცხვილი ჰქვია იმას, რაც დღეს ხდება.

ჩვენი ქვეყნის სირცხვილი.

**ერთი მუჭა (!) ნაძირალების ბინძურ გეგმებს ეწირება ათეულობით ახალგაზრდისა თუ უფროსი თაობის წარმომადგენელთა მორალი!**

**ადამიანის სასიკვდილოდ გამეტების იქით ველარ იხედებიან და კუბოების მიღმა განსხვავებულ სანახაობას ვეღარ გეგმავენ.**

**კუბო** — ტორტად.

**კუბო** — ფერებში.

**კუბო** — ჩამოტარებით.

**კუბო** — ცეცხლმოკიდებული.

**კუბო** — ფიტულებითა და ფოტოებით.

**და თოჯინები** ნემსის ჩხვლეტით.

**ჯადოები და შოუები** შესაბამისი სარიტუალო გაფორმებით.

რომ ჰკითხო — გამოხატვის თავისუფლებაა ეს ყველაფერი.

**კვერცხების სროლაც** გამოხატვის თავისუფლებაა ვიღაცისთვის, მაგრამ, თუ ოპონენტებთან საბრძოლველად **ნიკა გვარამიასა** და ნაციონალური მოძრაობის აქტივისთვის დაშვებული იყო ოდესღაც **კვერცხების სროლის მეთოდი,** რით გახდა ახლა დაუშვებელი **იგივე მეთოდი** მათ წინააღმდეგ საბრძოლველად?!

საინტერესო კითხვაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, პასუხის გამცემი არავინაა.

დამეთანხმებით, ცუდი სანახავია **კვერცხებში ამოვლებული** ყოფილი პრეზიდენტის **სალომე ზურაბიშვილისა** და ყოფილი პრემიერის **გიორგი გახარიას** ხილვა.

**ალბათ, რასაც დასთეს, მართლა იმას იმკი.**

თუმცა, მეტსაც გეტყვით: **უარესად საშინელი და ამაზრზენი სანახავია ლაზარესნაირთა ქმედება და პოლიციის წარმომადგენელთათვის „მოლოტოვის კოქტეილების" სროლა და პოლიციელთა ცოცხლად დაწვის მცდელობა.**

ვნახეთ ეს „კინო" ჩვენ უკვე და რაც გავიარეთ, თუ მოსწონთ, **ციხიმანტასებმა** და **კუბილიუსებმა** იარონ მაგ გზით.

**არც მოშიმშილე ჟურნალისტის ნახვაა სასურველი.**

მითუფრო, ჩემთვის.

**2008 წლის გაზაფხულზე მეც ვშიმშილობდი გამომცემლობა „სამშობლოსთან", როცა საკაშვილმა „ასავალ-დასავალი" რედაქციიდან გამოაძევა, მაგრამ არც პოლიციელისთვის დამირტყამს მაშინ და არც ფოიერვერკის კანონადა დამიშენია ვინმესთვის.**

საკაშვილის ზონდერების მიერ ჟურნალისტების მიმართ გამოჩენილ ვანდალიზმს ვგმობდი და იმიტომაც მივმართე პროტესტის უკიდურეს ფორმას.

სამწუხაროდ, საკაშვილის მეხოტბე ჟურნალისტებს თავი არ მოუკლავთ არც ჩემი და არც „სამშობლოდან" გამოდევნილი რედაქციებისა და კოლეგის სოლიდარობით!

**ბევრი გივია თარგამაძისა და ვანო მერაბიშვილის „კარმუშკაზე" იჯდა და თავს რად შეიწუხებდა?!**

**არც შევარდნაძის ფიტულის დაწვისთვის დამიკრავს ტაში** ე.წ. „ვარდების რევოლუციის" დღეებში და, გულწრფელად რომ გითხრათ, **არც საკაშვილის კუბოში ჩადება მომსვლია აზრად.**

ეს არაა პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლა.

ეს არც ზნეობრივი გზით დაპირისპირებას ჰგავს ოპონენტთან.

და არც ისაა ჟურნალისტიკა, რასაც **ჟურნალისტის მანტიაში გახვეული** ზოგი უსახო და უსამშობლო აკეთებს.

საუბედუროდ, ბევრმა სახე დაკარგა დღეს.

**„კანვასისა"** თუ **„ფრანკლინის კლუბის"** გამოზრდილებმა და მათმა მეგობრებად ქცეულმა მტრებმა(!) ძალიან ბევრ ღირსეულ ადამიანს სახეც დააკარგვინეს და შუბლის ძარღვიც გააწყვეტინეს.

მაინც იმედით ვარ.

დალაგდება ეს ქვეყანაც და ეს ხალხიც დაუბრუნდება ამ ქვეყანას.

ვისთვის ქვე-ყანას და ჩემთვის — სამშობლოს!

არადა, დღეს გამოხატვის თავისუფლებაა მთავარი და ამ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში თავისუფლად შეგიძლია დააბრალო ადამიანს ნებისმიერი რამ.

მერე იმართლოს თავი — შენი რა მიდის?!

**პოლიციელებთან პიროტექნიკითა და „მოლოტოვის კოქტეილებით" ბრძოლა, საჭმელში ჩაფურთხება, გინება და წყევლა, მცირეწლოვანი შვილების ბულინგი და სკოლებიდან აქციებზე გაყვანის მცდელობა, სხვადასხვა ზომისა და ფორმის კუბოების აქეთ-იქით ხრიგინი, პატრიარქისა და სამღვდელოების უბინძურესად მოხსენიება და ლანძღვა, ნებისმიერი ტრაგედიით მანიპულირება და უბედური შემთხვევების კონკრეტულ ადამიანებზე გადაბრალება, მაგიებისა და ჯადო-შოუების მოწყობა საჯარო სივრცეში, შარვლის ჩახდა და უკანალის მიშვერა ნებისმიერი მიზეზით, გასაბერი ეკლესიებისა და სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების ლობირება და პიარი, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების უშვერი სიტყვებით გინება და ლანძღვა, ინტელიგენციისა და ავტორიტეტული ადამიანების დაკნინება და უღირსებად დახატვა, ე.წ. ოპოზიციის აქტიური მხარდამჭერებისა და ე.წ. ბაბლის „ლიდერებად" წარმოჩენა...**

შორს წავალთ მსგავსი ჩამონათვალით. ძალიან შორს.

ესაა **სამშობლოს მტრებად ქცეულთა** მთავარი გზავნილი საზოგადოებისადმი და, სამწუხაროდ, ვიღაცებიც იჯერებენ ცხვრის ქურქში გახვეული მტაცებლების ფარისევლური ღიმილის მიღმა მიმალულ ავყიობას.

ზოგი ფინანსური მდგომარეობის გამო იჯერებს მსგავს იდეათა კეთილშობილებას, ზოგიც გულწრფელად არის ცვლილების მომხრე და ბრმა იარაღად ქცეული, შეუგნებლად უწყობს ხელს **თანამედროვე მტერთა** ბოგინსა და **ყორღანაშვილობას.**

რამდენიმე ნაძირალა ამ ლიდერთაგან აქტიურ **ბერბიჭაშვილადაც** გადაიქცა და ვეღარც მალავენ ბინძურ ზრახვებს.

არადა, ხვალ **ისევ თბილისში გავიღვიძებთ** ყველა.

არც **ირკუტსკში** დავლევთ დილის ყავას, არც **ხაბაროვსკში** გავახელთ თვალს, არც **სვერდლოვსკი** შეგვეგებება დილის საარით და არც **კუბილიუსების** და **ჯოუილსონების** მიერ ნაქებ, მოძალადე და შანტაჟით სავსე **ევროპებში** გამოგვაფხიზლებს ცხრათვალა მზე.

**ისევ თბილისში გავიღვიძებთ, მცხეთაში, ბათუმში, თელავში, ქუთაისში, დმანისში, ჰოპორტში, გუდამაყარში...**

**ისევ ერთმანეთს უნდა შევხედოთ და ხვალ-ზეგ ისევ ერთმანეთის მხარდამხარ უნდა ვუგულშემატკივროთ 26 მარტსა თუ 13 მაისს ხვალინდელ ხვიჩასა და ქოჩორაშვილს, მამარდაშვილსა და ზივზივაძეს, სანიკიძესა და პეტრიაშვილს, ტალახაძესა და ასანიძეს...** *(იმ ასანიძეს, რომელიც, სხვათაშორის, პარლამენტის დეპუტატი გახლდათ საკაშვილის პარტიული სიით და რომელიც დღეს მწვრთნელია ივანიშვილის სიით გასული* ***ტალახაძისა!).***

**და ძალიან, ძალიან მწარედ ვინანებთ ამ დაკარგულ და ერთმანეთის მტრობით სავსე დღეების არსებობას.**

## P.S.

ხვალ ისევ მომინდება **მერაბ სეფაშვილის** „თეთრი რაშის" მოსმენა.

დავივიწყებ, რომ „ქართული ოცნების" ყველა მხარდამჭერი „ნახ...იზე" გაუშვა ამ ერთი თვის წინ. საკაშვილს რომ უმღერა — **„ჩემი გმირი გიწოდეო"** — ხომ დავივიწყეთ?!

ასე დაგვავიწყდება ესეც.

**ნიკა რაჭველიც** იდირიჟორებს ისევ **ლიზა ბაგრატიონის** კონცერტზე.

**„ჩემი ცოლის დაქალებში"** აღარ გააშარჟებენ მღვდლებს და გინებაც ქართული სიმღერებით შეიცვლება.

**ნანი ბრეგვაძე** ისევ მადლიერი იქნება **ბიძინა ივანიშვილის** ქველმოქმედების.

შუა ქუჩაში არცერთი ახალგაზრდა გოგო აღარ მოშარდავს და ვინმე ვერძილაც აღარ წაბილწავს დედაუნივერსიტეტის ეზოში რომელიმე წმინდანის საფლავს.

**ბესიკ ხარანაულიც** აღარ იკითხავს — **„სად არიან შვილებიო"...**

სადღაც გულის სიღრმეში მინდა მჯეროდეს, რომ სოციალურ ქსელში პოლიტიკურ ინფორმაციებზე მეტად ლექსსა და სიმღერას „გავაზიარებთ".

**მეგის ქარდავა** და მისნაირი **ჯალათები** პირწმინდად აგებენ პასუხს ჩადენილი სადიზმისთვის.

**გიული ალასანიას** მიერ **მოპარული და კაპიკებში ნაყიდი „გეპეი"** ისევ სტუდენტებისა იქნება.

სტუდენტები ისევ ომახიანად შემოსძახებენ **ჰამლეტ გონაშვილის** ხმით მრავალჟამიერს და მთაწმინდაზე ყოველი წლის 5 იანვარს მუხლს მოიდრეკენ **ექვთიმე თაყაიშვილის** საფლავთან...

**დამერწმუნეთ, დენდროლოგიური პარკი ისევ საქართველოში იქნება, ქველმოქმედის მიერ გადარჩენილი უნიკალური ძეგლები ისევ ქართულად იმეტყველებენ...**

**და იდგება ბიძინა ივანიშვილის მიერ აშენებული სამების ტაძარი მლოცველთათვის ისევ ავლაბრის მთაზე — როგორც ნიშანი და სვეტი ჩვენი ერთობისა და განუყოფლობისა.**



## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის" თავმჯდომარე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**ღალატის მეტს ვერაფერს დავარქმევ,** როცა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია ხდებოდა და მაშინდელი გუბერნატორები — **გოროზია და ვარძელაშვილი,** როგორც მძღოლები, **ემსახურებოდნენ რუს გენერლებს.**

„პირველი არხი"

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



როგორც ჩანს, ადგილობრივი აგენტების გარე პატრონებმა გადაწყვიტეს **„კარგად დავიწყებული, უსიტყვოდ მორჩილი და ერთ-ერთი ყველაზე „წონიანი" აგენტი ირაკლი ალასანია** დაებრუნებინათ „სცენაზე". ის რომ **ერთ-ერთი ყველაზე მსხვილკალიბრიანი ჯაშუშია,** ჯერ კიდევ 10 წლის წინ დადასტურდა, როდესაც ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი მოიპარა.

„რუსთავი-2"

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



**დიფ სთეითთან ბრძოლა,** რომელსაც ახლა ებრძვის **ტრამპი, „ქართული ოცნების" დაწყებულია.**

„საქართველოს რესპუბლიკა"

**დიმიტრი ხუნდაძე**
*საპარლამენტო ჯგუფ „ხალხის ძალის" ხელმძღვანელი*



**ევროკავშირი** ბოლო დროს **საბჭოთა კავშირს** ემსგავსება. ევროპული ბიუროკრატია **ევროპისთვის ისეთივე სახიფათოა, როგორც საქართველოსათვის.**

„იმედინიუსი"

**ლორა თორნტონი**
*საქართველოში NDI-ს ოფისის ყოფილი ხელმძღვანელი*



**ნაგვის არგატანა, ბანკის მოლარეების გაფიცვა, სატვირთოების მძღოლების სახლში დარჩენა** ეკონომიკის პარალიზებას მოახდენდა და **მნიშვნელოვნად გააძლიერებდა ზეწოლას „ქართულ ოცნებაზე".**

„პირველი არხი"

# ევროკავშირის მთელი ბიუროკრატია 1 საბჭოთა მანეთი, ანუ 0,222168 გრამი ოქროც არ ღირს!

***2025 წლის 22 თებერვალს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ევროკავშირის მისიის ოფისს დემონსტრანტებმა პეტარდები და „მოლოტოვის კოქტეილები“ ესროლეს, რის შედეგადაც შენობის შესასვლელ კარს ცეცხლი გაუჩნდა, აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის კი ფიზიკური შეტაკება მოხდა.***

დემონსტრანტები აღშფოთებული არიან იმით, რომ ბულგარეთის მთავრობამ ეროვნული ვალუტის — **ლევის** გაუქმება და მისი ევროთი ჩანაცვლება გადაწყვიტა. პრემიერ-მინისტრ **როსენ ჟელიაზკოვის** განცხადებით, მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 3-პროცენტიან დეფიციტს დააწესებს, რაც 2026 წლის 1 იანვრიდან ბულგარეთში ეროვნული ვალუტის — **ლევის** მაგივრად ევროკავშირის ოფიციალური ვალუტის — **ევროს** შემოღების საწინდარი გახდება.

**„არა ევროს!“ „გადადექით!“** — სკანდირებდნენ სოფიაში ევროკავშირის მისიის შენობასთან შეკრებილი დემონსტრანტები, რომლებიც ქართული პოლიტიკისათვის კარგად ნაცნობი სახელის მქონე ბულგარულ ოპოზიციურ პარტიას — „აღორძინებას“ უჭერენ მხარს.

ბულგარული „აღორძინების“ თავმჯდომარის **კოსტადინ კოსტადინოვის** განცხადებით, ქუჩაში თავისუფლების დასაცავად გამოვიდნენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ეროვნული ვალუტის ევროთი ჩანაცვლება ბულგარეთის ფინანსურ დამოუკიდებლობას ბოლოს მოუღებს და ქვეყანაში ფასების მკვეთრ ზრდას გამოიწვევს ისევე, როგორც ეს 2023 წელს ხორვატიაში მოხდა, როცა ეროვნული ვალუტა — **კუნა** გააუქმეს და ევროკავშირის ვალუტა — **ევრო** შემოიღეს.

ევროკავშირის წევრი ბულგარეთი, სადაც დღეს პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების ნაწილი ევროს შემოღებას ეწინააღმდეგება, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა, სადაც, წესით, უნდა ახსოვდეთ **საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 75 წლის წინათ გამოცემული დადგენილება,** რომელიც მანეთის კურსის ოქროს ბაზაზე გადაყვანასა და უცხოური ვალუტების მიმართ მისი კურსის გაზრდას ეხებოდა.

კერძოდ, სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ჩაიწერა, რომ ***„შეწყდეს 1950 წლის 1 მარტიდან უცხოეთის ვალუტების მიმართ მანეთის კურსის განსაზღვრა დოლარის ბაზაზე და გადაყვანილ იქნას უფრო მყარ, ოქროს საფუძველზე, იმის შესაბამისად, თუ რამდენ ოქროს შეიცავს მანეთი“.***





სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

**მანეთის კურსის ოქროს ბაზაზე გადაყვანისა და უცხოეთის ვალუტების მიმართ მანეთის კურსის გადიდების შესახებ**

სსრ კავშირში 1947 წლის დეკემბერში განხორციელებულმა ფულის რეფორმამ აღმოფხვრა მეორე მსოფლიო ომის შედეგები ფულის მიმოქცევის დარგში და აღადგინა სრულფასოვანი საბჭოთა მანეთი.

ფულის რეფორმასთან ერთად განხორციელებულმა საბარათო სისტემის გაუქმებამ და მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სერიოზულმა შემცირებამ, რაც 1947-1950 წლების განმავლობაში სამჯერ მოხდა, უფრო განამტკიცა მანეთი, გაადიდა მისი მყიდველობითი უნარი და გაადიდა მისი კურსი უცხოეთის ვალუტების მიმართ.

ამავე დროს დასავლეთის ქვეყნებში მოხდა და კვლავ გრძელდება ვალუტების გაუფასურება, რამაც უკვე გამოიწვია ევროპის ვალუტების დევალვაცია. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მასობრივი მოხმარების საგნების ფასების განუწყვეტელმა გადიდებამ და ინფლაციამ, რაც ამ საფუძველზე გრძელდება და რის შესახებ არაერთხელ განუცხადებიათ ამერიკის შეერთებული შტატების პასუხისმგებელ წარმომადგენლებს, გამოიწვია აგრეთვე დოლარის მყიდველობითი უნარის არსებითი შემცირება.

ზემოხსენებულ გარემოებასთან დაკავშირებით მანეთის მყიდველობითი უნარი მის ოფიციალურ კურსზე მაღალი გახდა.

ამის გამო საბჭოთა მთავრობამ საჭიროდ ცნო გადიდდეს მანეთის ოფიციალური კურსი, ხოლო მანეთის კურსის გამოანგარიშება წარმოებდეს არა დოლარის ბაზაზე, როგორც ეს 1937 წლის ივლისში დაწესდა, არამედ უფრო მყარ, ოქროს საფუძველზე, იმის შესაბამისად, თუ რამდენ ოქროს შეიცავს მანეთი.

ამის მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. შეწყდეს 1950 წლის 1 მარტიდან უცხოეთის ვალუტების მიმართ მანეთის კურსის განსაზღვრა დოლარის ბაზაზე და გადაყვანილ იქნას უფრო მყარ, ოქროს საფუძველზე, იმის შესაბამისად, თუ რამდენ ოქროს შეიცავს მანეთი.

2. დაწესდეს, რომ მანეთი შეიცავს 0,222168 გრამ წმინდა ოქროს.

3. დაწესდეს 1950 წლის 1 მარტიდან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესასყიდი ფასი 1 გრამი წმინდა ოქროსი 4 მანეთი და 45 კაპიკი.

4. განისაზღვროს 1950 წლის 1 მარტიდან მანეთის კურსი უცხოეთის ვალუტების მიმართ მე-2 პუნქტში დაწესებული ოქროს შემცველობის მიხედვით:

4 მანეთი ერთ ამერიკულ დოლარში ნაცვლად არსებული 5 მანეთის და 30 კაპიკისა,

11 მანეთი და 20 კაპიკი ერთ გირვანქა სტერლინგში ნაცვლად არსებული 14 მანეთის და 84 კაპიკისა.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს შესაბამისად შეცვალოს მანეთის კურსი უცხოეთის სხვა ვალუტების მიმართ.

უცხოეთის ვალუტებში ოქროს შემცველობის შემდგომი შეცვლის ან მათი კურსის გამოცვლის შემთხვევაში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა მანეთის კურსი უცხოეთის ვალუტების მიმართ დააწესოს ამ ცვლილებათა გათვალისწინებით.

**გაზეთი „კომუნისტი“, 1950 წლის 1 მარტი**

იმავე დადგენილებით დაწესდა, რომ ***„მანეთი შეიცავს 0,222168 გრამ წმინდა ოქროს“.***

ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი კი ის მიზეზია, რის გამოც 75 წლის წინათ საბჭოთა მანეთი ოქროს ბაზაზე გადაიყვანეს და უცხოური ვალუტების მიმართ კურსი გაუზარდეს. როგორც სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ვკითხულობთ, **დასავლეთის ქვეყნებში ვალუტების გაუფასურება და დევალვაცია მოხდა, მანეთი კი, პირიქით, გამყარდა და თავის ოფიციალურ კურსზე მაღალი მსყიდველობითი უნარი შეიძინა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ 1947-1950 წლებში საბჭოთა კავშირში მასობრივი მოხმარების საქონელი მკვეთრად გაიაფდა.**

და რა ხდება დღეს დასავლეთის, ანუ ევროკავშირის ქვეყნებში, რომელთა საერთო ვალუტის — **ევროს** შემოღების წინააღმდეგ ბულგარეთში საპროტესტო დემონსტრაციები დაიწყო?

**ხდება ის, რომ** მასობრივი მოხმარების საქონელზე ფასები მკვეთრად გაიზარდა!

**ხდება ის, რომ** ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობას კომუნალური გადასახადები მნიშვნელოვნად გაუძვირდა და ცხოვრების დონე გაუუარესდა!

**ხდება ის, რომ** ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების ეკონომიკები სერიოზულ უკუსვლას განიცდიან!

**ეს ყველაფერი ხდება** უკრაინის ომისა და ევროკავშირის მიერ რუსეთისათვის დაწესებული ათიათასობით სანქციის ფონზე, რასაც ვითომ რუსული ეკონომიკა უნდა ჩამოექცია, მაგრამ თავად ევროკავშირის ეკონომიკა დააზიანა.

**ეს ყველაფერი ხდება იმიტომ,** რომ დღეს ევროპას უსუსური და უუნარო ფსევდოლიდერები და ნეოლიბერალიზმის მორევში ჩაყვინთული პოლიტიკანები — **მაკრონები, შოლცები, ფონ დერ ლაიენები და კაია კალასები** მართავენ, რომლებმაც ევროკავშირის სუვერენიტეტი გლობალური დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის სამსხვერპლოზე დაკლეს!

პოლიტიკურად და მორალურად ბოლომდე დევალვირებული ევროკავშირის ნამდვილი სახე კარგად ჩანს თუნდაც იმ განცხადებაში, რომლითაც ევროკომისიის პრეზიდენტი **ურსულა ფონ დერ ლაიენი** ბულგარეთის დედაქალაქში დემონსტრანტების მიერ ევროკავშირის ოფისზე თავდასხმას გამოეხმაურა:

> ***„აღმაშფოთებელია სცენები სოფიაში, სადაც ჩვენი, ევროკავშირის ოფისი დაარბიეს. ევროპაში ჩვენ ვსარგებლობთ მშვიდობიანი დემონსტრაციის უფლებით. ძალადობა და ვანდალიზმი არასოდეს არის პასუხი“.***

ესე იგი,

**ბულგარეთში ევროკავშირის ოფისს პეტარდები და „მოლოტოვის კოქტეილები“ რომ ესროლეს, ფონ დერ ლაიენისათვის ეს ძალადობა და ვანდალიზმი ყოფილა, ხოლო საქართველოში პარლამენტის შენობასა და პოლიციელებს პეტარდებსა და „მოლოტოვის კოქტეილებს“ რომ ესროდნენ, ეს იმავე ფონ დერ ლაიენისათვის მშვიდობიანი პროტესტი იყო!**

აი, ასეთი **ორმაგი სტანდარტებით** ხელმძღვანელობს დღევანდელი ევროკავშირის ბიუროკრატია და ასეთია **კოლექტიურ ფონ დერ ლაიენთა, კაია კალასთა** ფარისევლური სახე, რომელიც უკვე ცხადად ჩანს მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, ბულგარეთში, სადაც ევროს შემოღების წინააღმდეგ ბრძოლით არამხოლოდ ეროვნული ვალუტის, არამედ, ზოგადად, ბულგარული სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვას ცდილობენ!

დღეს ევროკავშირის მთელი ბიუროკრატიის — **ფონ დერ ლაიენების, კაია კალასების, მაკრონებისა და შოლცების** პოლიტიკური და მორალური ფასი ერთი საბჭოთა მანეთიც არ არის!

**მთელი ეს პოლიტიკური ჯართი 0,222168 გრამი ოქროც არ ღირს!**

**ჯაბა ხუბუა**

## ქვირგვინოსნები

**გიორგი ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**გიორგი გახარიას** არც უნდა უკვირდეს, რომ **ვიღაცამ შეიძლება კვერცხი ესროლოს** ან რაღაც შეურაცხყოფა მიაყენოს. **გახარიამ** თავის საქმიანობას გადახედოს, **როცა სააკაშვილს ჩუმად ხვდებოდა და საკუთარ ქვეყანას რევოლუციას უპირებდა,** სიტუაცია სისხლისღვრისკენ მიჰყავდა.

„აიპრესი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



**გიორგი გახარია ალან ბერსეს** თბილისში ვიზიტისას **„საეჭვო კაცს“ უწოდებდა,** დღეს კი უტიფრად უზის წინ. **ბატონო გახარია,** რომელი ირწმუნოს საზოგადოებამ, **წინა განცხადება თუ ახლანდელი ქმედება?!**

„პირველი არხი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ვინც საქართველოს საჯაროდ მტრობდა, გაიშიფრა. თურმე **USAID-ის პროექტებიდან ფინანსდებოდნენ,** ორგანიზაციის **40-მილიარდიანი ფონდი** მთელ მსოფლიოში იყო გაბნეული — ზოგან **რევოლუციას აწყობდა,** ზოგან **ლგბტ მხარდაჭერას ეწეოდა,** ზოგან **„ჩათლახებს“ აფინანსებდა,** ზოგან კი — **უსამშობლოებს.**

„რეპორტიორი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**დაქირავებული ნაცპროვოკატორების** ჰეროიზაცია ვერასდროს დამკვიდრდება ჩვენს საზოგადოებაში, თუნდაც ტოქსიკურ ნაცმედიაში მუშაობდეს — **ფასიანი ე.წ. პატრიოტები არ უნდა სარგებლობდნენ ინდულგენციებით.**

„იმედინიუსი“



# გოგა ხაინდრავა: სამშობლოს ღალატის მუხლით

## სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი, ლომაია, ბოკერია და ზაზა გოგავა

# უნდა გასამართლდნენ!



სააკაშვილი-ადეიშვილი-მერაბიშვილი-ლომაია-ბოკერია-გოგავა

***გასულ კვირას მუშაობას შეუდგა სპეციალური საპარლამენტო კომისია, რომელმაც 2003-2012 წლებში სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულები უნდა გამოიძიოს. ამასთანავე, საპარლამენტო უმრავლესობამ გადაწყვიტა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში აღადგინოს სამშობლოს ღალატის მუხლი, რომელიც, თავის დროზე, ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ გააუქმა. ამ და სხვა აქტუალურ თემებზე საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა გვესაუბრება:***

— **სისხლის სამართლის კოდექსში სამშობლოს ღალატის მუხლის დაბრუნებას მივესალმები!** სააკაშვილსა და მის ბანდას, რომლებიც საქართველოს გამიზნულად მტრობდნენ, კარგად ესმოდათ, რომ შეიძლებოდა, მომავალში სამშობლოს ღალატის ბრალდებით გასამართლებულიყვნენ, რის გამოც თავდაცვის პრევენციულ ზომას მიმართეს და კანონმდებლობიდან სამშობლოს ღალატის ცნება გააქრეს. ეს ძალიან ჰგავს **ბაიდენის** საქციელს, რომელმაც პრეზიდენტის პოსტიდან წასვლის წინ გამოცემული განკარგულებით საკუთარი თავი, საკუთარი შვილი, საკუთარი ძმა და საკუთარი გარემოცვის კორუმპირებული წევრები წინასწარ შეიწყალა.

**— პარლამენტში შექმნილ საგამოძიებო კომისიას რაც შეეხება...**

— ვფიქრობ, ყველაფერს მაინც პიროვნებები განსაზღვრავენ და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო კომისიას ხელმძღვანელობს უმაღლესი კატეგორიის იურისტი **თეა წულუკიანი,** რომელსაც, ყველაფერთან ერთად, სტრასბურგის სასამართლოში წარმატებული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება უმაგრებს ზურგს. გარდა ამისა, კომისიის წევრია ყოფილი სახალხო დამცველი **სოზარ სუბარი,** რომელიც სააკაშვილის ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულების უშუალო მომსწრე გახლავთ და იმ საშინელ წლებში ხმამაღლა ამხელდა ნაცმოძრაობის კრიმინალურ რეჟიმს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, საგამოძიებო კომისია სიღრმისეულად იმუშავებს და სერიოზულ შედეგსაც დადებს. კომისიის პირველივე სხდომაზე პროკურორ **ირაკლი ნადარეიშვილის** გამოსვლა, ჩემი აზრით, უკვე არის განაჩენი სააკაშვილის რეჟიმისათვის, თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია და 9-წლიანი ბოროტების ბოლომდე გაშიშვლება ჯერ კიდევ წინ გველოდება!

**— თუმცა, საზოგადოების ნაწილი საგამოძიებო კომისიის მუშაობასა და ნაცრეჟიმის სისტემური გასამართლების პერსპექტივას მაინც სკეპტიკურად უყურებს, რადგან თვლის, რომ ეს ჯერ კიდევ 12 წლის წინათ უნდა მომხდარიყო და ახლა ძალიან დაგვიანებულია!**

— კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ნაცრეჟიმის სისტემური გასამართლების პროცესს წლების განმავლობაში ბლოკავდა ძლევამოსილი ბოროტება, რომელსაც **გლობალური ომის პარტია** და **დიპ სთეითი** (*იგივე* ***ფარული დასი.*** *რედ.*) ჰქვია! თუმცა, ახლა, როცა ამერიკელმა ხალხმა შეძლო, ეს ბოროტება წელში გადაეტეხა და დასავლური პორნოლიბერალიზმი ჩამოეშალა, ქართულ სახელმწიფოსაც გაუჩნდა შესაძლებლობა, მრავალწლიანი წნეხისაგან გათავისუფლდეს. კარგად ვხედავთ, რომ ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ, სულ რაღაც ერთ თვეში, მსოფლიო თავდაყირა დააყენა და ჩვენ უკვე აღარ



## „კომისიის პირველივე სხდომაზე პროკურორ ირაკლი ნადარეიშვილის გამოსვლა, ჩემი აზრით, უკვე არის განაჩენი სააკაშვილის რეჟიმისათვის!“



**„საგამოძიებო კომისიას ხელმძღვანელობს უმაღლესი კატეგორიის იურისტი თეა წულუკიანი, რომელსაც სტრასბურგის სასამართლოში წარმატებული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება უმაგრებს ზურგს!“**

**„კომისიის წევრია ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, რომელიც სააკაშვილის ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულების უშუალო მომსწრე გახლავთ და იმ საშინელ წლებში ხმამაღლა ამხელდა ნაცმოძრაობის კრიმინალურ რეჟიმს!“**

## კვირგვინოსნები



**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

სამშობლოს მოღალატის ცნება სამართლებრივი ნორმის სახით ბრუნდება და **ქვეყნის წინაშე ჩადენილი ღალატისათვის მოღალატეზე** შესაბამისი პასუხისმგებლობა დადგება.

„იმედინიუსი“



**ედიშერ გვენეტაძე**
*ანალიტიკოსი*

ნაციონალური მოძრაობა **ახალი ნიურნბერგის** წინაშე უნდა წარდგეს და **პოლიტიკურ-სამართლებრივად განადგურდეს** ეს მოღალატეობრივი, **ყორღანაშვილისეული პოლიტიკური ორგანო!** „რეზონანსი“



**გიგა ბოკერია**
*პარტია „ფედერალისტების“ თავმჯდომარე*

პარლამენტში შექმნილ **საგამოძიებო კომისიაზე თუ დამიბარებენ,** არ გამოვცხადდები — **„კლოუნადაში“ მონაწილეობას არ მივიღებ.**

„აიპრესი“



**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*ნაცმოძრაობის პერიოდში ცესკოს თავმჯდომარე*

**არ ვაპირებ სტალინურ სასამართლოში მონაწილეობას** იმის გამო, რომ მისი მიზანი **ისტორიის გადაწერის მცდელობაა** და მიმართულია საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. „აიპრესი“



**ნიკა მელია**
*„კოალიცია ცვლილებებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი*

საზოგადოებრივი მაუწყებლიდან მეგაფონით რომ მოდის მარში რუსთაველზე, დღეს **პოლიტიკურ მოძრაობად ჩამოყალიბდა,** მომავალში **პოლიტიკურ პარტიად ვიხილავთ.**

„პირველი არხი“

# «ხმამაღლა ვაცხადებ:

## მზად ვარ, ჩემი ფილმები დიდ ეკრანზე გავუშვა პარლამენტის შენობასთან, როცა იქ აქციის მონაწილეები იქნებიან შეკრებილი და მზად ვარ, ამ ფილმებით მივიდე უმაღლეს სასწავლებლებშიც, სადაც ეს შიგევროპელები ბობოქრობენ!“





ფიშერი– პერჩინსკი–ზურაბიშვილი

ვცხოვრობთ იმ სამყაროში, რომელშიც 2025 წლის 20 იანვრამდე, ანუ ტრამპის ინაუგურაციამდე გვიწევდა ცხოვრება.

**— პირადად თქვენ, როგორც სააკაშვილის მთავრობის ყოფილი წევრი, ვის მიიჩნევთ სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლების ღირსად?**

— კი არ მივიჩნევ, არამედ ზუსტად ვიცი, რომ **სამშობლოს ღალატის მუხლით** უნდა გასამართლდნენ **სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი, ლომაია, ბოკერია და ზაზა გოგავა,** რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი იყო!

ამის თაობაზე დაწვრილებით ვისაუბრებ მაშინ, როცა პარლამენტის საგამოძიებო კომისია გამოკითხვაზე დამიძახებს და დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად დამიძახებს, რადგან 2 წლისა და 6 თვის განმავლობაში კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ვიყავი და **ძალიან კარგად ვიცი, რა წინაპირობები უძღოდა 2008 წლის აგვისტოს ომს.**

თქვენთან ინტერვიუში ერთხელ უკვე ვთქვი და კიდევ ვამბობ —

მოვა დრო, როცა სააკაშვილის მთავრობის მთელი შემადგენლობა, **ჩემი ჩათვლით,** განსასჯელის სკამზე დაჯდება, მაგრამ **მე ძალიან მალე ავდგები იქიდან,** რადგან დანაშაული არ ჩამიდენია!

**— ალბათ, სიმბოლურია, რომ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის ამოქმედების ფონზე, ტელეკომპანია „იმედმა“ დაიწყო თქვენი დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ჩვენება, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ სასტიკ დანაშაულებს ასახავენ, თუმცა, ეთერში საკმაოდ გვიან — ღამის 12 საათის შემდეგ გადის. არ შეიძლებოდა, უფრო ხელსაყრელი საეთერო დრო გამოყოფილიყო?**

— ცხადია, უკეთესი იქნებოდა, სხვა საეთერო დრო ყოფილიყო შერჩეული, როცა უფრო მეტი მაყურებელი შეძლებდა ფილმების ნახვას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის... **ვფიქრობ, აუცილებელია, რომ ამ ფილმებს ახალგაზრდობამ უყუროს, განსაკუთრებით კი იმ ახალგაზრდებმა ნახონ, რომლებიც დღეს ქუჩაში დგანან და რუსთაველის გამზირზე ფიტულებისა და კუბოების დაწვის სატანისტურ რიტუალებში მონაწილეობენ, ვიღაც სამარცხვინო მჩხიბავებთან, მისნებთან და ჯადოქრებთან ერთად.**

## „პორნოლიბერალურ ევროპას დღევანდელ საქართველოში სამი გადაგვარებული არსება – გერმანიის ელჩი პეტერ ფიშერი, ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი და პარიზელი ქაჯუნა სალომე ზურაბიშვილი განასახიერებს!“



## „ბოროტ მასხარა ზელენსკის, რომელმაც ერთ–ერთი ყველაზე დიდი ევროპული ქვეყანა — უკრაინა მიწასთან გაასწორა და საკუთარ ხალხს გენოციდი მოუწყო, გასამართლება არ ასცდება!“

თქვენი გაზეთის საშუალებით ხმამაღლა ვაცხადებ — მზად ვარ, ჩემი ფილმები დიდ ეკრანზე გავუშვა პარლამენტის შენობასთან, როცა იქ აქციის მონაწილეები იქნებიან შეკრებილი და მზად ვარ, ამ ფილმებით მივიდე უმაღლეს სასწავლებლებშიც, სადაც ეს შიგევროპელები ბობოქრობენ! დიახ, მივალ და იქ ვილაპარაკოთ, რას ნიშნავს რეჟიმი, რა არის წამება და როგორია არაადამიანური მოპყრობა... საკუთარი სისხლით მოვაწერ ხელს, რომ ჩემი ფილმების ყველა კადრი სრულ სიმართლესა და რეალობას ასახავს, თუმცა, სააკაშვილის რეჟიმის ბოროტებას სრულყოფილად მაინც ვერ გადმოსცემს, რადგან ისეთი არაადამიანური დანაშაულები იყო ჩადენილი, ყველაფრის ფილმში გადატანა და კინოენით მოყოლა, უბრალოდ, შეუძლებელია!

**სამეგრელოს ტყეში, მიწურში გაუპატიურებული მეგრელი კაცის განწირული კივილი, რომელიც ყველა ნორმალურ ადამიანს ძარღვებში სისხლს გაუყინავს! – აი, ეს არის ნაციონალური მოძრაობის სიმბოლო და კაენის ნიშანი,** რომელსაც **სააკაშვილები, ადეიშვილები, მერაბიშვილები, ბოკერიები, ხაზარაძეები, ჯაფარიძეები, ხოშტარიები, გახარიები და ვაშაძეები** ვერასოდეს მოიცილებენ! ამასთანავე, ეს არის სამარცხვინო ლაქა ჩვენი ერისათვის, რომლის ჩამორეცხვაც ძალიან რთული იქნება!

მოკლედ, **სააკაშვილმა, ადეიშვილმა, მერაბიშვილმა, სამადაშვილმა, ბოკერიამ** და მათი რეჟიმის სხვა მანქურთებმა იკადრეს ის, რაც ნაცისტებსა და ბოლშევიკებს არ უკადრიათ, მაგრამ დღეს შიგევროპული გზის მიმდევარი ახალგაზრდობის ნაწილი სწორედ მათ გვერდით დგას და ხელისუფლებაში მათ დასაბრუნებლად იბრძვის!

**— თუმცა, აქციის მონაწილეებს რომ ჰკითხო, მათთვის ნაციონალური მოძრაობა მიუღებელია, საერთოდ, ოპოზიციას არ უჭერენ მხარს და ქუჩაში მხოლოდ საქართველოს ევროპული მომავლის დასაცავად დგანან!**

— მაგ ზღაპრებითა და თვალთმაქცობით ერთმანეთი მოატყუონ! სამწუხაროდ, დღეს „ქართული ოცნების“ ერთადერთი ალტერნატივა ნაციონალური მოძრაობაა და როცა დაჟინებით ითხოვ — ახალი არჩევნები ჩატარდესო, ესე იგი, დაჟინებით გსურს, ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა მოვიდეს! იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ საკუთარ ქვეყანას ცილს სწამებენ — არჩევნები გაყალბდაო, როცა ამის არავითარი მტკიცებულება არ არსებობს და თვითონაც კარგად იციან, რომ არანაირი გაყალბება არ ყოფილა!

**— აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯეი დი ვენსმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ევროპული ბიუროკრატია, ფაქტობრივად, მიწასთან გაასწორა და დემოკრატიული ფასეულობების ღალატში ამხილა, რის გამოც კონფერენციის თავმჯდომარე კრისტოფ ჰოისგენი პირდაპირ ტრიბუნასთან ატირდა და სიტყვით გამოსვლაც კი ვერ დაასრულა. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე **ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის** გამოსვლა მართლაც გამაოგნებელი იყო! რაც მთავარია, აშკარად ჩანდა და იგრძნობოდა, რომ **ვენსის** სახით ევროპელებს მიმართავდა არა დაბოღმილი, ჩასაფრებული და მტრულად განწყობილი ადამიანი, არამედ მეგობარი და მოკეთე, რომელიც გულწრფელად განიცდის იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც ევროპა პორნოლიბერალურმა ბიუროკრატიამ ჩააგდო!

სწორედ იმ ქრისტიანულმა სულისკვეთებამ, რომლითაც ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის გამოსვლა იყო ნასაზრდოები, შეერთებული შტატები პორნოლიბერალიზმისაგან გაათავისუფლა და მჯერა, რომ დანარჩენ მსოფლიოსაც გაათავისუფლებს. **პრეზიდენტმა ტრამპმა** განაცხადა — როცა ტყვია მესროლეს, ღმერთმა სასწაულებრივად გადამარჩინა, რათა ჩემი მისია აღვასრულოო და დარწმუნებული ვარ, მართლაც ასეა — **ტრამპისა და მისი გუნდის** მისია მსოფლიოში მშვიდობის დამყარება, პორნოლიბერალური ბოროტების დასამარება და ნამდვილი ადამიანური ფასეულობების გადარჩენაა!

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ **ტრამპმა** თავდაცვის მინისტრად 7 შვილის მამა **პიტ ჰეგ-**

გაგრძელება მე–8 გვერდზე

### კვირგვინოსნები

**დავით რაზმაძე**
*გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*



**ქვეყნის მოღალატეების ადგილი აქ არ არის!** ყიდიან საქართველოს! ვინც უჭერს მხარს ევროპარლამენტის რეზოლუციას, **ყველა არის საქართველოს მოღალატე!** ევროკავშირმა რაც გააკეთა, ორი იმდენი თან წაიღო... თუნდაც **ის აგენტები დააფინანსა,** რომლებიც დღეს საქართველოს ებრძვიან.

„იმედინფო“

**ლია მუხაშავრია**
*უფლებადამცველი*



**12 წლისთავზე** რომ გაგახსენდება წინა ხელისუფლების ჩადენილი დანაშაულები მაშინ, როდესაც **რამდენიმე მათგანი უკვე გასამართლებულია, ზოგმა მოიხადა სასჯელი და ზოგიც დაუსწრებლადაა გასამართლებული,** აზრს კარგავს ყოველგვარი კომისიის შექმნა.

„რეზონანსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



საზოგადოების მრავალწლიანი დაკვეთაა, **სამშობლოს ყველა მოღალატემ პასუხი აგოს** ჩადენილი დანაშაულისთვის!

„პრაიმტაიმი“

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



აშშ ისეთ რაღაცებს ამბობს, რაც **პუტინს** ნამდვილად მოსწონს, **ტრამპს უნდა, პუტინს ასიამოვნოს.**

„აიპრესი“

# გოგა ხაინდრავა:

# ვფიქრობ, 2025 წლის 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების 80 წლისთავზე, მოსკოვში პუტინის, ტრამპისა და სი ძინპინის შეხვედრა შედგება, რასაც, შეგვიძლია, ახალი „იალტის კონფერენცია“ ვუწოდოთ!



## დასაწყისი მე-6 გვერდზე

**სეტი** დანიშნა. როგორ ფიქრობთ, შეიძლება, 7 შვილის მამას ომი უნდოდეს? შეიძლება, ომზე იყოს ორიენტირებული ის პრეზიდენტი, რომელმაც მსოფლიო ჰეგემონის — ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვა 7 შვილის მამას ჩააბარა? რაც მთავარია, ჩვენ უკვე ვხედავთ ტრამპისა და მისი გუნდის რეალურ ნაბიჯებს, რომლებიც მშვიდობის დასამყარებლად არის მიმართული.

**— გასულ კვირას საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში შედგა პირველი შეხვედრა აშშ-ისა და რუსეთის დელეგაციებს შორის, რომლებმაც უკრაინაში ომის დასრულების საკითხზე იმსჯელეს ისე, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან არც ევროკავშირის ლიდერები მიიწვიეს და არც უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები. მეტიც, პრეზიდენტმა ტრამპმა ზელენსკის დიქტატორი უწოდა და განაცხადა — თუ დროზე არ იმოქმედებს, ქვეყანას დაკარგავსო!**

— **ბოროტ მასხარა ზელენსკის,** რომელმაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ევროპული ქვეყანა — უკრაინა მიწასთან გაასწორა და საკუთარ ხალხს გენოციდი მოუწყო, გასამართლება არ ასცდება!

რაც შეეხება ევროკავშირის პორნოლიბერალურ ბიუროკრატიას, საუდის არაბეთში ამერიკული და რუსული დელეგაციების შეხვედრის ფონზე, სასოწარკვეთილმა **მაკრონმა** საფრანგეთში ზედიზედ ორი სამიტი მოიწვია და ორივე სამარცხვინოდ დამთავრდა. იტალიის პრემიერ-მინისტრი **ჯორჯია მელონი** შეკრებაზე ერთი საათის დაგვიანებით მივიდა, იქიდან დროზე ადრე გამოვიდა და განაცხადა — ეს ანტიტრამპისტული თავყრილობააო!

მოკლედ, ჩირქიანი ბოროტება, რომელიც ევროკავშირში ათწლეულების განმავლობაში გროვდებოდა, ერთბაშად გასკდა და ზედაპირზე ამოვიდა! უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ ბოროტებას, ანუ პორნოლიბერალურ ევროპას დღევანდელ საქართველოში სამი გადაგვარებული არსება — გერმანიის ელჩი **პეტერ ფიშერი,** ევროკავშირის ელჩი **პაველ ჰერჩინსკი** და პარიზელი ქაჯუნა **სალომე ზურაბიშვილი** განასახიერებს!

**— და მაინც, როგორია თქვენი მოლოდინი — უკრაინაში ომის დასრულების შესახებ აშშ-სა და რუსეთს შორის დაწყებული დიალოგი რეალურ შედეგს გამოიღებს?**

— დარწმუნებული ვარ, აშშ-სა და რუსეთს შორის დაწყებულ მოლაპარაკებებში მალე ჩინეთიც ჩაერთვება და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება მოხდება. ვფიქრობ, 2025 წლის 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების 80 წლისთავზე, მოსკოვში **პუტინის, ტრამპისა და სი ძინპინის** შეხვედრა შედგება, რასაც, შეგვიძლია, ახალი „იალტის კონფერენცია“ ვუწოდოთ! ოღონდ, თუ იალტის კონფერენციის ცნობილ ფოტოზე **სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი** არიან აღბეჭდილი, ახალი „იალტის კონფერენციის“ ფოტოზე **„ჩერჩილის“** მაგივრად **„მაო ძედუნი“** — ჩინეთის დღევანდელი ლიდერი **სი ძინპინი** იქნება წარმოდგენილი!

**— როდის და როგორ უნდა დამთავრდეს რუსთაველის გამზირზე სამი თვის წინათ დაწყებული საპროტესტო იწილო-ბიწილო, რომელიც ინერციით გრძელდება და სულ უფრო სექტანტურ-მარგინალურ სახეს იღებს?**

— მეც სწორედ ეს კითხვა მაწუხებს და მინდა, ქართველ ხალხს, ხელისუფლებასა და ჩვენს დედაეკლესიას მივმართო — **როდემდე უნდა ვითმინოთ თბილისის შუაგულში ეს სატანისტური რიტუალები, რომლებშიც უკვე მცირეწლოვანი ბავშვებიც კი ჩართეს?! როდემდე ვუყუროთ ამ სამარცხვინო სიბინძესა და წარმართულ გამოხტომებს ქაშუეთის ტაძრის წინ?** ყველამ ერთად უნდა მივიღოთ ზომები, რომ ეს კერპთაყვანისმცემლობა ერთხელ და საბოლოოდ დამთავრდეს, ამის ატანა და მოთმენა უკვე შეუძლებელია!

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***



ჩერჩილი, რუზველტი და სტალინი იალტის კონფერენციაზე. 1945



***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე თეა წულუკიანის საგამოძიებო კომისიას კითხვებით მიმართავს და აცხადებს, რომ, თუ კონკრეტული ჯალათებისა და დამნაშავეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება, მაშინ ხალხი ხელისუფლებას ამას არ აპატიებს:***



— 1995 წელს პარლამენტში საგამოძიებო კომისია იმიტომ შეიქმნა, რომ თბილისის პროკურორის **მიხეილ ქურდაძის** მკვლელობას აბრალებდნენ დავით ზეიკიძეს. ყოველი ექვსთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ კომისიის ვადა გრძელდებოდა და კომისიამ რვა წელი იმუშავა. ამ რვა წლის განმავლობაში კომისიამ შეისწავლა უამრავი საქმე, მათ შორის არქიტექტორ **გოჩა ჯიქიას** დახვრეტა, რომელიც დედის თვალწინ მოკლეს. ადრეც ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: **გოჩა ჯიქიას** მკვლელს იცავდა მთელი თავდაცვის სამინისტრო, რომელმაც დამნაშავე ჯილდოზე წარადგინა და შევარდნაძემ მკვლელს ორდენი ჩამოჰკიდა. უბედური მამა **ჭიჭიკო ჯიქია** სად და რა ინსტანციაში არ დადიოდა, ვის არ აკითხავდა. სიამაყით ვაცხადებ, რომ იმ კომისიამ შეძლო, დამნაშავე რუსეთიდან ჩამოიყვანა, სადაც გაქცეული იყო და პასუხისგებაში მისცა! ამას რატომ გეუბნებით, იცით?

წლების განმავლობაში „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული ფაქტების შესახებ იწერება, ხელს ადებენ კონკრეტულ ბანკირებს, მოსამართლეებს, პროკურორებს, პოლიტიკოსებსა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს, მაგრამ პრესაში გამოქვეყნებული მასალის გამო ამ ხელისუფლების პირობებში რამე გამოკვლევა არ დაუწყიათ და საქმე ბოლომდე არ მიუყვანიათ. 1996 წლის ზაფხულში გაზეთ „შანსში“ შევარდნაძისადმი 35 ბრალდება რომ გავაჟღერე — დაწყებული **ლაზიშვილების** განადგურებიდან, **ზვიადის** მკვლელობითა და აფხაზეთის გაყიდვით დამთავრებული, **შევარდნაძე** საგანგებოდ შემხვდა და ძალიან დიდხანს ვისაუბრეთ! **ედუარდმა** სპეციალურად დაავალა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას ე.წ. ეკონომიკური გუნდის საქმიანობის შესწავლა და ვირთხების გაყრა... ყოველ ორშაბათს შევარდნაძე უცხოელი თუ ქართველი ჟურნალისტებისთვის საგანგებო ბრიფინგებს მართავდა და ნებისმიერ შეკითხვას პასუხობდა.

**— თქვენ წინა ინტერვიუში ასეთ რამ თქვით — დროა, „ქართულმა ოცნებამ“ თავის დამფუძნებლებს მოუხმოსო! რას გულისხმობდით?**

— თქვენ იცით, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფესორი **პაატა გიორგაძე** დარდსა და კოვიდს რომ გადაჰყვა? 2012 წელს „ქართული ოცნების“ შტაბში ჩვენ ხელფასი არ აგვიღია, განსხვავებით ბევრისგან, რომლებმაც მერე ბიძინა ივანიშვილს უღალატეს და ათასი ნაძირალობა ჩაიდინეს. კოალიციამ „ქართულ ოცნებას“ ძალიან ავნო. **თეა წულუკიანის კომისიამ** 2003 წლის ნოემბრიდან კი არა, უფრო ადრინდელი პერიოდიდან უნდა შეისწავლოს ნაცების საქმიანობა! გეტყვით ერთ ფაქტს — წიგნი დავწერე — **„შევარდნაძე — რისკის მეფე“,** სადაც ვთქვი, რომ უმოკ-

## „ამ ყველაფრის შესახებ უშუალოდ შევარდნაძისგან მაქვს ინფორმაცია!“

## კვირგვინოსნები

**თამაზ მოლაშვილი**
*სულხან მოლაშვილის მამა*



**სულხანი** იძახდა — **გიგა ბოკერიამ მაწამაო!** გაზეთშიც წერდა ამას, ტელევიზიითაც ამბობდა, მაგრამ **თუ გაგიგიათ როდისმე, რომ ბოკერიას ეთქვა — ტყუილია ეგო?** სულხანს რომ ვეკითხებოდი — **რატომ არ იღებს ბოკერია ხმას-თქო,** მპასუხობდა — **იმიტომ არ იღებს, რომ მერე ისეთ დეტალებს ვეტყვი, ენას მუცელში ჩაიგდებსო! ბოკერია** დღეს ციხეში უნდა იჯდეს! ხმამაღლა ვაცხადებ და არავინ გაბედოს შეპასუხება: **გიგა ბოკერია არის დამნაშავე და მკვლელი!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ომარიკო მოლაშვილი**
*სულხან მოლაშვილის ძმა*



**სულხან მოლაშვილზე** მხოლოდ სიგარეტები არ ჩაუქრიათ და დენი არ გაუტარებიათ, „კაპეზეში“, **ორი დღე-ღამის განმავლობაში სიბნელეში, კოჭებამდე წყალში ჰყავდათ.** ვინ გასცა ბრძანება? **ნაციონალური რეჟიმი საერთოდ უნდა აიკრძალოს,** ისინი არიან სისხლისმსმელი ხალხი.

„TV იმედი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



ევროპარლამენტში **რეზოლუციის მიღება უნდოდათ,** მაგრამ ფანტასმაგორია მიიღეს, **სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნა ნიშნავს ნაცმოძრაობის დანაშაულების თანამზრახველობას.**

„პირველი არხი“

# მაყვალა ბერიანიძე:

# ჰკითხონ გია ხუხაშვილს, ვინ დააკვალა გახარიას ბიძინასთან მიყვანა?





# საერთოდ, გაარკვიონ, ხუხაშვილი ვინ არის?!

ლეს პერიოდში შეიცვლებოდა შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალური პროკურორი და, საერთოდ, ქვეყანაში იგეგმებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები! ცოტა ხანში, კერძოდ, 2003 წლის თებერვალში, ე.წ. ვარდების რევოლუციამდე ცხრა თვით ადრე, სააკაშვილი პრესით გამოხტა და ჩემს საპასუხოდ გაზეთში დაწერა — **შევარდნაძის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებაო!** კი მაგრამ, მე ვამზადებდი ამ შეთქმულებას თუ თავად სააკაშვილი? ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ 1998 წლის ივნისში, აქტივის კრებაზე, შევარდნაძემ განაცხადა, რომ საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნა 200 ახალგაზრდა, რომელიც ჩამოვიდოდა და უხელმძღვანელებდა საქართველოს! **წულუკიანის კომისია არ უნდა დაინტერესდეს, თუ ვინ არის ის 200 ახალგაზრდა?** მოკლედ, როცა **პროკურორს 36 ლარი ჰქონდა ხელფასი, 200 კაცი მთელი საქართველოდან მოაგროვეს და სასწავლებლად გაუშვეს, რათა აგენტებად გაეზარდათ!**

ეს ის აქტივის კრება იყო, სადაც **ნიკო ლეკიშვილი** გადადგა, ხოლო ცხონებულმა **გურამ შარაძემ მამუკა ხაზარაძეს სულ ნაძირალა და საქართველოს მოღალატე ეძახა.** — იეღოველთა ლიტერატურა გემებით ფოთში მას შემდეგ შემოიტანეს, რაც შენი „თიბისი ბანკის" მეშვეობით 1 მილიონი დოლარი ანგარიშზე ჩარიცხესო! — უყვიროდა ხაზარაძეს **გურამ შარაძე,** რომელიც მეხუთე რიგში იჯდა და დოკუმენტებს აფრიალებდა.

**— მამუკა ხაზარაძემ გურამ შარაძეს რა უპასუხა?**

— მამუკას ენა დაება და ბურტყუნებდა — მე, მე, მე! ამის შემდეგ **შევარდნაძემ** დაუწყო **გურამ შარაძეს** დამშვიდება — **ბატონო გურამ, დაწყნარდითო!** — თქვენ ღალატობთ საქართველოს და **ეს ვირთხა ხაზარაძე მოაშორეთ აქედანო!** — არ ცხრებოდა **გურამ შარაძე.** აი, ამის მომსწრე ვარ და გამოძიება სწორედ აქედან უნდა დაიწყოს!

გაასაჯაროონ „კმარას" პირველი წევრების სია და გამოიძიონ, **ვინ გაუშვა „კმარას" აქტივისტები ბელგრადში ტრენინგებზე...** „კმარას" პირველი აქტივისტები იყვნენ **გიგი უგულავა და თეა თუთბერიძე!** გამოიძიონ, ვინ დააფინანსა ამათი ვოიაჟები საზღვარგარეთ, საერთოდ, ვინ აფინანსებდა „კმარას" და ვინ იყო „კმარას" პირველი, მეორე და მესამე გუნდი? ამ ყველაფრის შესახებ უშუალოდ **შევარდნაძისგან** მაქვს ინფორმაცია. ეს ის ხალხია, ვინც პოლიციელებს



მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და თემურ ჭყონია

**„თუ წულუკიანის კომისია გამოძიებას დაიწყებს, გამოჩნდება, რომ „კმარას" სწორედ მამუკა ხაზარაძე და თემურ ჭყონია აფინანსებდნენ! სხვანაირად წარმოუდგენელია, რომ მამუკა ხაზარაძეს სააკაშვილის დროს ფრთები გაეშალა და საპრეზიდენტო ორდენები მიეღო!"**

აგინებდა, აფურთხებდა და კუბოებს წვავდა.

**— თქვენ ისე ლაპარაკობთ, რომ „კმარელების" ბელგრადსა და ამერიკაში ვიზიტებს ქართველები აფინანსებდნენ?**

— დიახ, ქართველები აფინანსებდნენ და კომისიამ ეს არ უნდა დაადგინოს? **თუ წულუკიანის კომისია გამოძიებას დაიწყებს, გამოჩნდება, რომ „კმარას" სწორედ მამუკა ხაზარაძე და თემურ ჭყონია აფინანსებდნენ!**

სხვანაირად წარმოუდგენელია, რომ მამუკა ხაზარაძეს სააკაშვილის დროს ფრთები გაეშალა და საპრეზიდენტო ორდენები მიეღო!

წულუკიანის კომისია არ უნდა დაინტერესდეს რა მოხდა 2003 წლის 3 დეკემბერს და რა უნდოდა **ბერეზოვსკის** თბილისში? ბერეზოვსკი არ აფინანსებდა მაგათ? ვინ უზრუნველყო ბერეზოვსკის დაშვება თბილისის აეროპორტში და ვინ დახვდა მას? რატომ მოკლეს სწორედ იმ დღეს ჩემი მეგობრების ვაჟი, უშიშროების სამსახურის თანამშრომელი **ირაკლი ბასილაშვილი,** რომელიც ლიფტში შევიდა და დაინახა, როგორ მივიდნენ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შეფის ბინასთან დიდძალი ფულის გადასაცემად? როგორც ჩანს, ბერეზოვსკი ფულებს ურიგებდა იმ ხალხს, ვინც მისი ჩამოფრენა უზრუნველყო. ლიფტის კართან იდგა კაცი ჩემოდნით, ვისაც ფული მიჰქონდა... ზემოდან ჩამოსულ ლიფტს ჩამოჰყვნენ ბიჭები, რომლებმაც, როგორც ჩანს, ირაკლი იცნეს, როგორც უშიშროების თანამშრომელი და ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც სამი წლის გოგონა დარჩა, ლიფტში მოკლეს. ათი წელი ვეძებდით მკვლელს... გაგიკვირდებათ და, ის ჩემოდნიანი კაცი შვილმა აიძულა, მკვლელისთვის ხელი დაედო და ამოეცნო. **დაადგინოს წულუკიანის კომისიამ 2013 წელს ირაკლი ბასილაშვილის მკვლელი მოსამართლემ დარბაზიდან რატომ გაათავისუფლა?** მკვლელი დარბაზიდან რომ გადიოდა, დაგვცინა... — ღმერთი დაგსჯის, როგორი ბიჭი მოკალი-მეთქი! — ვუთხარი... როგორც ვიცი, დასჯილია უკვე... მოსამართლემ, რომელმაც **ირაკლი ბასილაშვილის** მკვლელი დარბაზიდან გაათავისუფლა, ამ ამბიდან ცოტა ხანში თბილისში უზარმაზარი ბინა იყიდა. ეს ის მოსამართლე გახლავთ, რომელმაც გახარიას დროს 51-ე სკოლის მოწაფის **დავით სარალიძის** მკვლელობის საქმე „აწია"... ცნობისათვის, ამ მოსამართლეს დიპლომი სადღაც ორღობეში აქვს აღებული.

**— მოსამართლე ეკა არეშიძეს გულისხმობთ?**

— დაადგინოს წულუკიანის კომისიამ, მაგის დადგენას რაღა უნდა? დაუძახონ **გია ხუხაშვილს** და ჰკითხონ, როგორ გაუწია რეკომენდაცია **გიორგი გახარიას!** ბიძინა ივანიშვილი გახარიას არ იცნობდა და ხუხაშვილმა გააცნო. ჰკითხონ **გია ხუხაშვილს,** ვინ დაავალა **გახარიას** ივანიშვილთან მიყვანა? **საერთოდ, გაარკვიონ, ხუხაშვილი ვინ არის?**

სააკაშვილმაც არ უნდა თქვას, ვინ აიძულა, **სალომე ზურაბიშვილი** საგარეო საქმეთა მინისტრად დაენიშნა? ანდა, ბიძინა ივანიშვილმა არ უნდა თქვას, ვინ აიძულა სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტად არჩევა?

**რატომ არ კრძალავს საქართველოს ხელისუფლება „სოროსის ფონდის" საქმიანობას საქართველოში? მაინცდამაინც პრეზიდენტმა ტრამპმა უნდა აკრძალოს „სოროსის ფონდი", მერე ჩვენებმა რაღაც გადაწყვეტილება რომ მიიღონ?** 1993 წლის 14 სექტემბერს ჩამოვიდა „სოროსის ფონდი" საქართველოში და ცამეტ დღეში აფხაზეთი დაეცა. 2003 წლის დეკემბერში **ნინო ბურჯანაძის** მიერ უკანონოდ დანიშნულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა **გიორგი ბარამიძემ** ათასობით პოლიციელი რომ სისტემიდან გაყარა, კომისიამ ამაზე ხმა არ უნდა ამოიღოს? იმ ხალხს ოჯახები დარჩა მშიერი და არავის მოუკითხავს... ჩვენ ადრე ვახსენეთ, რომ სააკაშვილის დროს საქართველოში შემოიტანეს ღვინო **„ადოლფ ჰიტლერი",** რომლითაც 2003 წლის 21 დეკემბერს სააკაშვილის დაბადების დღე აღნიშნეს და ერთი ღრიანცელი ჰქონდათ... **წულუკიანის კომისიამ** არ უნდა გაარკვიოს, ეს ღვინო საქართველოში ვინ შემოიტანა? როდესაც **მიშა ცაგარელი** ხმამაღლა აცხადებდა — **ხალხო, ფაშიზმი მოდის და ფრთხილად იყავითო!** — ვინმემ ყური დაუგდო? **წულუკიანის კომისია არ უნდა დაინტერესდეს, 2003 წლის დეკემბერში რატომ შემოჰქონდა გიორგი ბარამიძეს ჩრდილოეთ კავკასიიდან იარაღი?**

**— დავუშვათ, დასვა წულუკიანის კომისიამ ეს კითხვები, მერე რა იქნება?**

— თუ წულუკიანის კომისია ამ შეკითხვებს დასვამს, მაშინ ყველა გახმაურებულ მკვლელობასა და 2008 წლის აგვისტოს ომზე საქართველოს მოსახლეობას პასუხი ექნება, რადგან ეს პროცესები ერთმანეთზე გადაჯაჭვულია.

გარდა ამისა, კომისიას მივმართავ ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მეხება მე და ჩემს ოჯახს! **მაინტერესებს, რაში დამეხმარა სახელმწიფო, როცა არაერთგზის ვარ დაზარალებულად ცნობილი და ამ დროს ჩემი დამზარალებლები მშვენივრად გრძნობენ თავს. მე ტყვია მესროლეს და მიმაგდეს, ხოლო ამ ქალს, რომელმაც პოლიციის მაღალჩინოსანს სილა გააწნა, თან ჰყვებიან და ეფერებიან!** ჩემზე მოწყობილი თავდასხმა და ჩემი ოჯახის გაძარცვა არაფერი იყო? ტყვია რომ მესროლეს, კაციშვილს არაფერი გაუკეთებია, ერთადერთი „ასავალ-დასავალის" მთავარმა რედაქტორმა **ლაშა ნადარეიშვილმა** მომიტანა წამლები. სახელმწიფოს ერთი თეთრი არ გაუღია... ჩემი ინტელექტუალური საკუთრება და კრედიტით ნაყიდი კერძო საკუთრება რომ წაიღეს და „ქართული ოცნება" არ მიბრუნებს, ეგ როგორ არის? ასე რომ, მე მოვითხოვ, დამკითხოს კომისიამ, რადგან სალაპარაკო ბევრზე ბევრი მაქვს. სხვათაშორის, კომისიამ ისიც გაარკვიოს, ამ ქალს — **მზია ამაღლობელს,** ფული მართლა ჩაურიცხეს თუ არა?

**— თქვენ როგორ იცით, ჩაურიცხეს?**

— გამოიძიონ! დღეს ამის გამოძიება ძნელი არ არის!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ზაზა ოქუაშვილი**

*„მთავარი არხის" ერთ-ერთი დამფუძნებელი*



**„მთავარი არხის"** გაჩერება ხდება **გვარამიას** მითითებითა და **„მთავარი არხის"** გენერალური დირექტორის **თვითნებური, კანონგარეშე გადაწყვეტილებით.**

ჩემი, როგორც დამფუძნებლის, მოთხოვნა დღესაც უცვლელია: **შეჩერდეს „მთავარ არხზე" მიმდინარე კანონგარეშე ფინანსური ოპერაციებით თანხების მიტაცება, თაღლითობა, ფულის გათეთრება, შეიცვალოს გენერალური დირექტორი** და ამ პოზიციაზე **გიორგი გაბუნიას** ნაცვლად პროფესიონალი და საზოგადოებისათვის სანდო პიროვნება აირჩეს. **ნიკა გვარამიას** მხრიდან **„მთავარი არხის"** გენერალური დირექტორის პოსტზე დასახელებული მისი მეუღლე **სოფო ლილუაშვილი** ჩემთვის არ არის მისაღები.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ნატო ხელაძე**

*ყოფილი პარლამენტარი*



**ახალ ტელევიზიას გავხსნით** — რომ იძახის **გვარამია,** ამით **ივანიშვილს** აგონებს — **დამახმარე შენი „საქართველოს ბანკი", ძმები გილაურები და ისევ გაგიჩენ ოპოარხსო!**

„რეზონანსი"

**ვახტანგ ძაბირაძე**

*ანალიტიკოსი*



მოლოდინი სულ იქნება, რომ **გახარია პარლამენტში შევა,** ამიტომ ამ პროცესს, რასაც ჰქვია საზოგადოებაში **ოპოზიციური განწყობის** გაძლიერება, **გახარიას გადაწყვეტილება გარკვეულწილად აფერხებს.**

„რეზონანსი"

**ინგა გრიგოლია**

*ტელეწამყვანი*



**ნაცი და ადამიანი? არასოდეს!**

„რეპორტიორი"

# კვერცხებით ომი პოლიტიკურ ქათმებთან

*გასულ კვირას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მოქალაქეთა ჯგუფმა კვერცხები ესროლა ერთ პოლიტიკურ კვერცხუჯრედში განაყოფიერებულ ორ სუბიექტს — საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და ყოფილ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, რომლებიც მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციიდან ბრუნდებოდნენ.*









რა ლაპარაკი უნდა, რომ **ზურაბიშვილიცა და გახარიაც** მიუნხენის კონფერენციაზე ერთადერთი მიზნით იმყოფებოდნენ — **ევროკავშირელი პოლიტიკანებისათვის კიდევ ერთხელ მოეთხროთ ზღაპრები, თუ როგორ მოიპარა საქართველოს ხელისუფლებამ არჩევნებში 300 000 ხმა, როგორ დააპატიმრა პოლიტიკური ნიშნით მშვიდობიანი მეპროტესტეები და როგორ გადაიყვანა ქვეყანა პროდასავლური რელსებიდან პრორუსულ, პროჩინურ და პროირანულ რელსებზე.**

ეჭვგარეშეა ისიც, რომ მიუნხენის კონფერენციაზე ჩასული **ზურაბიშვილი და გახარია** თავიანთ ევროკავშირელ აპეკუნებს კიდევ ერთხელ შეეხვეწებოდნენ — **საქართველოსთან მიმართებით სანქციების პოლიტიკა გააძლიერეთ, რათა ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი შეიქმნას და სოციალური უკმაყოფილების ტალღა აგორდეს, თორემ, ხომ ხედავთ, 200-კაციანი აქციებით ივანიშვილს რუსულ რეჟიმს ძვრას ვერ ვუშვებითო!**

მოკლედ, ერთ პოლიტიკურ კვერცხუჯრედში განაყოფიერებული **ზურაბიშვილი და გახარია** მიუნხენში ქართული სახელმწიფოს სამტროდ იყვნენ ჩასული და სწორედ ამიტომ დაცხრილეს კვერცხებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში!

მოქალაქეებმა, რომლებსაც ნაცოპოზიცია, როგორც წესი, „ქართული ოცნების" მიერ დაქირავებულ ე.წ. ტიტუშკებად ნათლავს, **ზურაბიშვილსა და გახარიას** კვერცხებთან ერთად შეძახილებიც ესროლეს — **თქვე, მოღალატეებო და სამშობლოს გამყიდველებოო!**

აღსანიშნავია, რომ თბილისის აეროპორტში **გახარიას** კვერცხები 2025 წლის 17 თებერვალს დაუშინეს, ხოლო მეორე დღეს, 2025 წლის 18 თებერვალს, ზუსტად 4 წელი შესრულდა იმ დღიდან, როცა **გახარიამ** კანონის აღსრულებაზე, ანუ ბრალდებული **ნიკანორ მელიას** დაპატიმრებაზე უარი განაცხადა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგა, რითიც არამხოლოდ ხელისუფლება, არამედ მთლიანად ქართული სახელმწიფო და ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა უდიდესი დარტყმის ქვეშ დააყენა.

მოკლედ, **4 წლის წინათ, გახარიამ თავიდან აიცილა პასუხისმგებლობა, დაეპატიმრებინა ნაციონალური მოძრაობის იმჟამინდელი თავმჯდომარე, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულში იყო ბრალდებული, მაგრამ 4 წლის შემდეგ, ვერ აიცილა ვერცერთი კვერცხი, რომელიც თბილისის აეროპორტში ესროლეს.**

**გახარიასაგან** განსხვავებით, რომელსაც ყველა ნასროლი კვერცხი მოხვდა და ზედ ტანზე შეეზილა, კვერცხების წვიმას მშრალად დაუძვრა **საქართველოს ისტორიაში პირველი მოღალატე ქალი სალომე ზურაბიშვილი,** რომელსაც პირადი მცველები გადაეფარნენ და მისკენ ნასროლ კვერცხებს თავიანთი განიერი ზურგები დაახვედრეს.

თუმცა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვის მოხვდა მისკენ ნასროლი კვერცხები და ვის — არა, მთავარი ის არის, რომ **საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა, რომლებსაც ყველანაირი პირობა ჰქონდათ, სამშობლოს ერთგული მსახურებით ქართველი ხალხის პატივისცემა და სიყვარული დაემსახურებინათ, საქმე ისე გაიხადეს, რომ თავიანთი ქვეყნის მოქალაქეები კვერცხებს ესვრიან!**

და მაინც, უნდა მოვიწონოთ თუ არა **გახარიასა და ზურაბიშვილის** კვერცხებით დაცხრილვა?

**მიუხედავად იმისა, დაიმსახურეს თუ არა, რამდენად მისაღებია პროტესტის გამოხატვა კვერცხების სროლით?**

ცხადია, არცერთი ნორმალური ადამიანისათვის, მათ შორის, ჩვენთვისაც ეს მოსაწონი და მისასალმებელი საქციელი ვერ იქნება ისევე, როგორც არასოდეს მოგვიწონებია და ყოველთვის დაგვიგმია ნაცრადიკალი და ლიბერფაშისტი აქტივისტების ქმედებები, როცა ისინი საქართველოში ჩამოსულ სტუმრებსა თუ ქართველ პოლიტიკოსებსა და მოსამართლეებს კვერცხებს ესროდნენ.

საერთოდ, პროტესტის კვერცხების სროლით გამოხატვა საქართველოში სწორედ ნაცრადიკალი და ლიბერფაშისტი აქტივისტების მიერ დანერგილი მეთოდია, რომელსაც ისინი „გამოხატვის თავისუფლებად" რაცხავენ. მაგალითად, ცოტა ხნის წინათ, როცა თბილისში, რესტორან „ბაბილოსთან" მოსამართლეებს კვერცხები დაუშინეს, **ნიკუტუ გვარამიამ** განაცხადა:

> ***„კვერცხის სროლა, ევროპული სტანდარტით, არის მშვიდობიანი პროტესტის ფორმა, გამოხატვის თავისუფლების ჩარჩოებში ბოლომდე ჯდება და არაფრის დაზიანება ამით არ ხდება".***

თუმცა, იგივე **ნიკუტუ გვარამია** — სისხლიანი ნაცრეჟიმის ყოფილი პროკურორი — სალომე **ზურაბიშვილისათვის** კვერცხების სროლას სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაციას აძლევს და სოციალურ ქსელში წერს:

> ***„თბილისის აეროპორტში სალომე ზურაბიშვილზე თავდასხმა არის მოქმედ ლეგიტიმურ პრეზიდენტზე თავდასხმა და სწორედ ასე უნდა განიხილოს მომავალმა ხელისუფლებამ, როცა ამ დანაშაულის გამოძიებას დაიწყებს".***

აი, ასეთია **გვარამიას ორმაგი სტანდარტი,** რასაც შეიძლება, **გვარამიას ორსაჯდომიანობაც** ვუწოდოთ!

ამასთან, **ნიკუტუ გვარამიასნაირი პოლიტიკური კვერცხი** უნდა იყო, რომ **სალომე ზურაბიშვილი** — ლეგიტიმურ პრეზიდენტად, მისთვის კვერცხების სროლა კი სისხლის სამართლის დანაშაულად მიგაჩნდეს!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, კვერცხების სროლა ნაცების მოგონილია და სულაც არ არის უცნაური, რომ განაცებულ **ზურაბიშვილსა და გახარიას** ნაცური იარაღი ახლა იქით მიუტრიალეს!

იოანეს გამოცხადებაში ნათქვამია, რომ, ვინც მახვილით კლავს, თვითონაც მახვილით მოკვდება, ხოლო ამ ბიბლიური სიბრძნის პოლიტიკურ ინტერპრეტაციას თუ მოვახდენთ და ქართულ რეალობას მოვარგებთ — **ვინც კვერცხებს ისვრის, თვითონაც კვერცხებს ესვრიან!**

ამას უნდა დავარქვათ **კვერცხებით ომი პოლიტიკურ ქათმებთან ან სულაც ქათმის კვერცხებით ომი პოლიტიკურ კვერცხებთან!**

ისე კი, საკითხავია, რომელი უფრო ადრე იყო — **პოლიტიკური ქათამი თუ პოლიტიკური კვერცხი?**

კვერცხებით დაცხრილული **ზურაბიშვილისა და გახარიას** შემხედვარე, ამ დილემის გადაწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელია!

**ჯაბა ხუბუა**

## ერთ პოლიტიკურ კვერცხუჯრედში განაყოფიერებულ ორ სუბიექტს – გიორგი გახარიასა და სალომე ზურაბიშვილს კვერცხები დაუშინეს!

## კვირგვინოსნები

**ლევან იოსელიანი**
*სახალხო დამცველი*



მიუღებელია **განსხვავებული მოსაზრების გამო** ადამიანებზე თავდასხმა, ეს იქნება **კვერცხებით თუ სიტყვიერად!**

„ახალი თაობა"

**ჯო უილსონი**
*აშშ-ის ჰელსინკის კომისიის თანათავმჯდომარე, კონგრესმენი*



**ივანიშვილის** სასტიკი რეჟიმი **თავს დაესხა საქართველოს ლეგიტიმურ პრეზიდენტს — სალომე ზურაბიშვილს.** საკმარისია!

„ახალი თაობა"

**პეტრე მამრაძე**
*პოლიტიკოსი*



ევროპიდან თითს გვიქნევენ — **როცა საქართველოს ტერიტორიების ნაწილი რუსეთს აქვს ოკუპირებული, როგორ ცდილობთ, რომ მასთან მეგობრული კავშირები დაამყაროთო!** არადა, ჩვენ, ამ ეტაპზე, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვს. **თავად რატომ არ გაწყვიტეს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაეროდან რატომ არ აგდებენ რუსეთს?!**

„საერთო გაზეთი"

**ბაღათერ არაბული**
*პოეტი*



მსახიობებიც და მწერლებიც **„იუსაიდთან" და „დემოკრატიის ეროვნულ ფონდებთან" იყვნენ დაკავშირებული.** წიგნების გამოცემა და თეატრების დაფინანსება ამ ფონდებით ხდებოდა, ამიტომაც, **ისინი, ფაქტობრივად, ქუჩაში დგომაში ხელფასს იღებენ.** ეს უნდა დამთავრდეს და ყველამ თავისი საქმე აკეთოს!

„საერთო გაზეთი"

**ირაკლი რუხაძე**
*ბიზნესმენი, ტელეკომპანია „იმედის" მფლობელი*



**სააკაშვილის დროს** 2 მილიონზე მეტი თუ ჩაგერიცხებოდა ბანკში, **თუ ახლობელი იყავი,** უნდა დაგებანდებინა და **თუ მტერი იყავი,** უნდა წაერთმიათ.

„რეპორტიორი"

*გასულ კვირას უცხოეთიდან დაბრუნებულ სალომე ზურაბიშვილს აეროპორტში კვერცხები დაუშინეს. ყოფილმა პრეზიდენტმა ეს „ორგანიზებულ ძალადობად" შეაფასა. სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული გია კრიალაშვილის და ლია კრიალაშვილი კი მიიჩნევს, რომ ქვეყნის მოღალატე გაცილებით მეტს იმსახურებს და მიიღებს კიდეც:*

# ლია კრიალაშვილი:

# სალომე ზურაბიშვილს კვერცხს პირდაპირ შუბლში გავუქანებდი!



— როდესაც დანაშაულს დანაშაულს უმატებდნენ, ვამბობდი, დადგება დრო, ქუჩაში თავს ვერ გამოყოფენ-მეთქი. ახლა სწორედ ეს დროა. რატომ უკვირთ და იშვერენ ხელს „ქართული ოცნებისკენ"? პირველ რიგში, საკუთარ თავს ჰკითხონ, რატომ ეძახის ხალხი მათ მოღალატეებსა და აგენტებს?! სალომე ზურაბიშვილი კვერცხების სროლას კი არა, ძელზე გაკვრასაც იმსახურებს იმისათვის, რაც ხალხის სახელით ქვეყანას გაუკეთა!

**— როგორც ე.წ. ოპოზიციონერები ამბობენ, რეჟიმის სისუსტეა ასაკოვანი ქალის მიმართ პროტესტის ამ ფორმით გამოხატვა...**

— რა შუაშია ასაკი და ქალის სქესი ქვეყნის ღალატთან? მაშინ რატომ არ უჩნდებოდათ ეს კითხვა, როცა ქართველი ხალხის სახელით აქეთ-იქით დაწანწალებდა და ქვეყანას ძირს უთხრიდა?! დღეს გამოდის და აცხადებს, დამნაშავე უნდა დაისაჯოსო.

## თურმე, კვერცხის მსროლელი უნდა დაისაჯოს და „მოლოტოვის კოქტეილის" მსროლელი შეწყალებული იქნას.

ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ საქართველო როგორმე ომში ჩაეთრიათ და დიდი თუ პატარა ამოჟლეტილიყო. ამის დასტური გახლდათ მისი კუდის ქიცინი **მასხარა ზელენსკისთან** და **გამოთაყვანებული ბაიდენის** ადმინისტრაციასთან. საერთოდ როგორ იღებს ხმას და ადანაშაულებს მოქალაქეს კვერცხის სროლაში??! კვერცხის სროლა კი არა, სარით უნდა ეცემათ და არ უნდა შემოეშვათ საქართველოში. **ეს კუდიანი დედაბერი არ იმსახურებს ქართულ მიწაზე ფეხის დადგმას! ნეტა, იქ ვყოფილიყავი, კვერცხს პირდაპირ შუბლში გავუქანებდი!**

მისი ადვოკატის **ეკა ბესელიას** გამკვირვებია, როგორ იცავს ამ ერის მოღალატეს?! თურმე, კვერცხის სროლიდან დაზიანებები მიუღია. მაინც, რა დაუზიანდა, ქალბატონო ეკა, ტვინი ისედაც დაზიანებული ჰქონდა! ვის იცავთ, იმ ადამიანს, პრეზიდენტის სასახლესთან მისულ სააკაშვილის რეჟიმისგან გამწარებულ ოჯახის წევრებს, პოლიტპატიმრებს რომ უთხრა, რას მომივარდითო? რას ელოდებოდით გამწარებული ადამიანებისგან, ფიანდაზებს დაუგებდნენ?! თქვენც ფიქრობთ, რომ „მოლოტოვის კოქტეილის" მსროლელი შეწყალებული უნდა იქნეს და კვერცხის მსროლელი დასჯილი?! ეს ქალი ქართველი ხალხისგან ყველაფერს იმსახურებს და ნუ გექნებათ იმის ილუზია, რომ ხალხი მას პირზე კოცნით შეხვდება. **ჯერ სად არის, აწი გამოუჩნდება ის ცოდვები, რაც ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩაიდინა!**

პირადად მე, საკუთარ თავს ვადანაშაულებ ამ ქალის ხელისუფლებაში მოთრევაში. არამი იყოს მასზე ჩემი სამსახური! არ მეგონა, თუ ასეთი ავადმყოფური აზროვნების იყო. წარმოგიდგენიათ, რა რთულად არის მისი საქმე, რომ თავის თავს დღესაც პრეზიდენტს უწოდებს?! ფსიქიკურად შერყეულია თვითონაც და მის უკან მდგომნიც. **სად არის ავლიპ ზურაბაშვილი, ხომ გაამწესებდა იქ, სადაც მისი ადგილია, თვითონაც დაისვენებდა და ხალხიც!**

ყოფილი პრემიერი **გიორგი გახარიაც** არ ჩამოუვარდება მას ღალატის ხარისხით. კაცი, რომელიც ნაციონალებს დამთავრებით ემუქრებოდა, დღეს მათ გვერდით დგას და ხელისუფლების საწინააღმდეგო ლოზუნგებს აფრიალებს. **გაიხაროს იმათმა მარჯვენამ, ვინც ამ უსირცხვილო, ქვეყნის გამყიდველ არარაობებს — გახარიას და ზურაბიშვილს კვერცხები ესროლა!** ყველას ეშინოდეს ხალხის და უფლის სამართლის, განსაკუთრებით ნაძირალა ნაციონალებს! მათ თუ ჰგონიათ, შერჩებათ დანაშაულები და არ მოხვდებათ კვერცხები თავში, ძალიან ცდებიან.

## „გაიხაროს იმათმა მარჯვენამ, ვინც ამ უსირცხვილო, ქვეყნის გამყიდველ არარაობებს – გახარიას და ზურაბიშვილს კვერცხები ესროლა!"

**— მაინც, ვის უნდა ეშინოდეს თავში კვერცხების მოხვედრის?**

— **ხოშტარია, ჯაფარიძე, გვარამია და ვაშაძე არ იმსახურებენ თავში კვერცხების სროლას?!** მეტსაც იმსახურებენ ამორალური, გამყიდველური პოლიტიკის გამო! **ხაზარაძეს და მასთან ერთად იმ ვეტერანებსაც უნდა მოხვდეთ ერთი-ორი, ამ უნამუსო ადამიანს რომ შეაფარეს თავი.** რა ნამუსით მივიდნენ მასთან, ვინც წინა ხელისუფლების დროს ხალხის ქონებებს შუაღამეს იფორმებდა და ჩემს მსგავსად ქუჩაში ტოვებდა ადამიანებს?! **ვერც ბოკერია გადაურჩება ხალხის რისხვას და ვერც უგამონგრეული გიგი თარგამაძე, გიგი უგულავა და გათახსირებული გიორგი ბარამიძე გამოვლენ მშრალზე.** მათ, ყველას კვერცხები კი არა ლოდები უნდა ესროლო, მარიტასავით ჩაქოლო! არცერთმა არ უნდა იაროს თავისუფლად საქართველოს ქუჩებში. მადლობა თქვან, მხოლოდ კვერცხი თუ მოხვდებათ თავში!

არ დაგიმალავთ, იმედი დამიბრუნა პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნამ. კიდევ უფრო მეტად გამახარა სისხლის სამართლის კოდექსში **სამშობლოს ღალატის** მუხლის აღდგენამ. ხარობს გიას, როინის, სერგოს სულები! ჩემი უდანაშაულო ძმა რომ მოღალატედ შერაცხეს, ყველას ყველაფერი ბუმერანგივით დაუბრუნდება უკან. ბევრს მოუწევს ამ მუხლით გასამართლება.

**— ასე ფიქრობთ?**

— ბოლოს და ბოლოს ნახევარი საუკუნის შემდგომ ცდილობს **ტრამპი,** ნათელი მოჰფინოს **კენედის მკვლელობის** საქმეს. რა გასაკვირია, თუ გახრწნილი ევროკავშირის ზეწოლების გამო დღემდე არ უგია პასუხი სამშობლოს ღალატისთვის **მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ადეიშვილს, ვანო მერაბიშვილს** და სხვებს?! ხელისუფლების დაგვიანებულ ქმედებას აქვს ახსნა და მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული ვარ, მათი მესმის. რაც წლების წინ უნდა გაეკეთებინა „ქართულ ოცნებას", ახლა აკეთებს, ყოველი შემთხვევისათვის პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. **მთავარია, ახლა დადგეს სამართალი — მოღალატეს მოღალატე ეწოდოს და გმირს — გმირი!**

პარლამენტში **თეა წულუკიანის** სახელზე უკვე დავწერე განცხადება. არ მაქვს ილუზია, რომ ჩემი ძმის საქმეზე ყველა დაისჯება, იმითაც დავკმაყოფილდები, თუ შემსრულებლებს ეყოფათ ვაჟკაცობა და შემკვეთებს ხელს დაადებენ. მესმის მათიც, სააკაშვილის ბრძანება რომ არ შეესრულებინათ, თვითონ გახდებოდნენ რეჟიმის მსხვერპლნი.

ამ ხელისუფლებას მილიონ ორასი ათასმა ადამიანმა მივეცით ხმა და მზად ვართ, ჩვენი არჩევანი დავიცვათ, მით უფრო დღეს, როცა „ქართულმა ოცნებამ" სამართლიანობის აღდგენის გზაზე რეალური ნაბიჯები გადადგა და გვპირდება, ჩვენი ოჯახის ამწიოკებლები, ამ ქვეყნის გამყიდველები და მტრები პასუხს აგებენ.

ბატონო ბიძინა, გზა, რომელსაც თქვენ ადგახართ, უდანაშაულოდ მოკლული ქართველების ღირსებაზე გადის. მჯერა, დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ და ნაციონალების პოლიტიკურ სამარეზე ბოლო ლურსმანს **გია კრიალაშვილის** სახელითაც დააჭედებთ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



„ეს კუდიანი დედაბერი არ იმსახურებს ქართულ მიწაზე ფეხის დადგმას!"

**„პარლამენტში თეა წულუკიანის სახელზე უკვე დავწერე განცხადება. არ მაქვს ილუზია, რომ ჩემი ძმის საქმეზე ყველა დაისჯება, იმითაც დავკმაყოფილდები, თუ შემსრულებლებს ეყოფათ ვაჟკაცობა და შემკვეთებს ხელს დაადებენ!"**

## კვირგვინოსნები

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



ოპოზიციაში **პოლიტიკოსები კი არა, თალლითები არიან.** მათ პოლიტიკა მართლა რომ აინტერესებდეთ, **არჩევნებში დამარცხების მერე პარლამენტში შევიდოდნენ** და იქიდან განაგრძობდნენ ჯანსაღ ოპონირებას, მაგრამ სხვა გზა აირჩიეს. **ეს არის გზა, რომელიც ე.წ. ოპოზიციას საბოლოოდ დაასამარებს.**

„საერთო გაზეთი"

**გიორგი გახარია**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის" ლიდერი*



**საპარლამენტო მანდატებს იმისთვის ვინარჩუნებ,** რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მქონდეს დამოუკიდებლობა და, რაც ჩვენ მოქალაქეებმა მოგვანიჭეს, იმის ნაწილი მაინც **დაფინანსების სახით მივიღოთ, რომ არ ვიყოთ დამოკიდებულები ბანკირებზე, ფინანსურ ჯგუფებზე, კონკრეტულ ტელევიზიებზე,** რომლების უკანაც კონკრეტული პარტიები, ბანკები და ფინანსური ჯგუფები დგანან.

„რეზონანსი"

**ირაკლი მელაშვილი**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



დააკვირდით, რა შეკითხვებს უსვამდნენ ჟურნალისტები ევროპაში **სალომე ზურაბიშვილს** — **როგორ აპირებთ რუსეთთან დალაპარაკებას, როგორ აპირებთ საზოგადოებაში რუსული საფრთხის გაუვნებლებასო** და ა.შ. ის ჟურნალისტები **ქოცპროპაგანდისტები** იყვნენ? ჩვენს პოლიტიკოსებს თუ მედიის დიდ ნაწილს ხომ ასე წარმოუდგენია — თუ ამ კითხვებს სვამ, **„ქოცური" პროპაგანდის** ნაწილი ხარ! ოპოზიციამაც ასე წარმოიდგინა, რომ მშვიდობაზე საუბარი, თურმე **„ქოცური" პროპაგანდის** შემოგდებულია.

„კვირის პალიტრა"

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



**საპროტესტო აქციების ლიდერი არ ვარ,** ეს თვითორგანიზებული მოძრაობაა, **მე ვარ ქვეყნის ლიდერი გარეთ და შიგნით.**

„დოიჩე ველე"

## 1 რევოლუცია ტვინებში

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2025 წლის №8*

ცრუობენ ჩვენი ლიბერალი ინტელექტუალები, როცა ინტელიგენციის, როგორც ფენის შექმნას კომუნისტებს აბრალებენ. ჯერ კიდევ **თომა აქვინელი** ღმერთს აბსოლუტურ ინტელიგენტად მიიჩნევდა, ინტელიგიბელურობას კი საგნად ან მოვლენად, რომელიც მხოლოდ გონით ან ინტელექტუალური ინტუიციით შეიმეცნება. **ყველა რევოლუციისათვის დამახასიათებელია გამარჯვებამდე არსებული ინტელიგენციის მიმხრობა, ხოლო შემდგომ — ახალი, საკუთარი ინტელიგენციის შექმნა.** ამ მხრივ, შორს არც ჩვენი რევოლუცია წასულა; ინტელიგენციის ნაწილი მიიმხრო, ნაწილი კი ჩარეცხა. ახლა, რევოლუციიდან თითქმის 20 წლის შემდეგ, ჟამი შეიცვალა და ინტელიგენციის **„ახალი ნაკადი“** ისევ იძულებულია, **„ძველების“** მხოლოდ არსებობას კი არა, მის წარმოჩენასაც შეეგუოს **(ოღონდ, საბედნიეროდ, „საკუთარი, ორგანული ინტელიგენციის“ ჩამოყალიბება ისე სწრაფად ვერ მოხერხდა, რომ არსებული ინტელიგენციის სრული ასიმილირება მომხდარიყო).**

1996 წელს ჩემი კოლეგა ტელეჟურნალისტი შემხვდა, რომლის ნათქვამიც სამუდამოდ დამამახსოვრდა: **„სამი რამის ატანა აღარა მაქვს: შევარდნაძის — ხელისუფლებაში, ნანი ბრეგვაძის — ესტრადაზე და ჯულიეტა ვაშაყმაძის — ტელეეკრანზეო.“** შემზარავი და დაუნდობელი ფრაზაა, რომ არა ერთი დეტალი: მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაბადებული თაობა, ალბათ, ყველაზე მეტად გაიჭყლიტა ორ ეპოქას შორის; მიხრწნილ საბჭოთა კავშირში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავის სჭირდებოდა ახალგაზრდა კადრები. **„თქვენი დრო ჯერ არ მოსულა!“** — გაიგონებდი ხშირად. ახლა, როცა თაობამ 50 წელს მიუკაკუნა, აღმოჩნდა, რომ ისინი **აღარავის** სჭირდება. სინამდვილეში ეს ყოველივე ხელოვნურია: ყველა ასაკს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები აქვს. ვერც ვერავინ შეწყვეტს არსებობას მხოლოდ იმიტომ, რომ შენ მათი ყურება მოგბეზრდა. სხვა საკითხია, ვინ სად, როდის და როგორ არის საჭირო საზოგადოებისათვის. საერთოდაც, ქართველები არც იმდენი ვართ, რომ ასაკით, ან სხვა ნიშნით გამოვარჩიოთ ერთმანეთი.

**„მე ჩემი გუნდით მოვედი!“** — გაიგონებ ახლადგამომცხვარი სახელმწიფო მოხელისაგან, თითქოს ფეხბურთის სათამაშოდ იყოს მისული! 23 წლის მინისტრები და გუბერნატორები რევოლუციის „აღმოჩენა“ არ გახლავთ; პირველად ამ ნოუ-ჰაუს აპრობაცია შევარდნაძის ხელისუფლებაში მოხდა **(იმავე „რეფორმატორთა გუნდის“ დაყინებით, რომელმაც შემდგომ „დემოკრატებში“ და „ნაციონალებში“ გადაინაცვლა).** დღეს არც ის ახალგაზრდები არიან დასაქმებულნი. **საქმე ასაკში სულაც არ ყოფილა. სინამდვილეში ეს ყოველივე სწორედ „საკუთარი ინტელიგენციის გამოყვანის“ მცდელობა იყო მხოლოდ.** „პერესტროიკის“ დროს სხვა ახალ ტერმინებთან ერთად ხშირად ახსენებდნენ **„მენეჯერებს“.** ეს ახალი სახელი ზუსტად იმას ნიშნავდა, რასაც ადრე, საბჭოთა პირობით ენაზე **„პარტიულ ნომენკლატურას“** უწოდებდნენ. ეს იყო ხალხი, რომლის დანიშვნა ნებისმიერ თანამდებობაზე შეიძლებოდა, რადგან მათ **„კომკავშირული და პარტიული სკოლა“** ჰქონდათ გავლილი. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა: **დღევანდელი სამთავრობო კარუსელები სწორედ ამ ახალ „მენეჯერებს“ ატრიალებენ.**

დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ორი უკიდურესობა სჭარბობდა ჩვენს თვითშეფასებაში; ან **„რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“**, ან — **„ჩვენ ხომ ხალხი და საზოგადოება არა ვართ და არც არაფერს ვიმსახურებთ“.** არაერთხელ დასმულა საკითხი იმის შესახებ, რომ ქართველები ის ხალხია, ვინც 90%-ით აირჩია **გამსახურდია,** შემდეგ ამდენივეთი — **შევარდნაძე,** მერე იმავე რაოდენობით — **სააკაშვილი.** ამ ჩამონათვალის გავრცობა შეიძლება; ეროვნული მოძრაობის აღმავლობისას საბჭოთა საქართველოში უმრავლესობა უცებ „ეროვნული“ აღმოჩნდა **(ასეთი კურიოზიც მოხდა; 1989 წლის მიწურულს განცხადებაში ერთ-ერთი მოქალაქე წერდა: „ბავშვობიდან ეროვნულ მოძრაობაში ვარ ჩაბმულიო“!),** გადატრიალების შემდეგ ახალგაზრდების დიდ ნაწილს ჯიბეში „მხედრიონის“ „ქსივა“ აღმოაჩნდა, ახლა კი ნაციონალებს სახის გამომეტყველებითა და ქცევითაც გამოარჩევ. **მაინც ვინა ვართ ქართველები? კონფორმისტები? ყველაფერთან შემგუებელნი? ყოველთვის გამარჯვებულის მხარეს მყოფი?**

**„ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ“ ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ:**

> *„ხოლო კაცნი ამისა ქუეყნისანი არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი, რომელთა მიიღეს ჰრომით ჟამსა დიდის კონსტანტინესსა და სილიბისტროსსა წესნი და რიგ ნი ძუელნი ბერძენთა ბასილის კაბადუკიელისათა და შვიდის კრებისა უპყრავთ მტკიცედ, არამედ მძლავრებით უკეთუ ვინმე მიიქცის, ოდეს იცის ჟამი, კუალად ეგების ქრისტიანედ შემნანე... მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი... სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანასა და მეფესა თვისსა, სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაი შეიჭირვიან; უხვნი, არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი. არამედ არს ჟამი რაოდენიმე, არღარა ისახელების ცოდნა, თვინიერ წიგნისა კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამხედროსაგან კიდე, და ჰგონებენ დიდ-მცოდინარობად. ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთისა დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტ ზედ ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყუარენი, თუალმგებნი და მოთაკილენი“.*

ამ დახასიათებიდან დღეს ყველაზე საყურადღებოდ ის ნაწილი გამოიყურება, რომლის მიხედვითაც ქართველები **გონიერნი, სახელის მაძიებელნი, არა მომხვეჭელნი, არამედ უხვნი, წამბაძველნი და პატივმოყვარენიც** ყოფილან. მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნას ამ სტრიქონების ავტორი განათლებად არ მიიჩნევს — დღევანდელივით, განათლების დაქვეითებას უსვამს ხაზს. როგორც ჩანს, იმჟამინდელი ქართველები დიდად არ განსხვავდებოდნენ ხასიათით დღევანდელებისაგან. და მაინც, რანი ვიყავით და რამდენად შეესაბამება ჩვენი წარმოდგენა ჩვენს ისტორიასა და საკუთარ თავზე სინამდვილეს?

სულ ცოტა ხნის წინ სასწავლო პროგრამებში **ჰაგიოგრაფიის** ყოფნა-არყოფნის გამო ქართველ საზოგადოებაში დიდი პოლემიკა გაიმართა. „რეფორმატორები“ მიიჩნევდნენ, რომ ჰაგიოგრაფიის სწავლება სულაც არ იყო აუცილებელი. საზოგადოების სხვა ნაწილი აღშფოთებული გახლდათ იმის გამო, რომ წმინდანთა ცხოვრების სწავლებაზე უარის თქმა სწორედ მაშინ ხდება, როცა საქართველო დამოუკიდებელია და სარწმუნოებაც აღარ იდევნება. ვფიქრობ, საკითხი სხვაგვარად უნდა განვიხილოთ. **საბჭოთა სასკოლო პროგრამამ გამოტოვა ჰაგიოგრაფიიდან ყოველივე, რაც ღმერთს, რწმენას, ღვთისმეტყველების სფეროს, თუნდაც იმჟამინდელ პოლიტიკას განეკუთვნებოდა და დატოვა სიუჟეტი, მისი ოდენ ლიტერატურული ღირებულება.** დღეს, ნაცვლად იმისა, რომ „ათეისტურად“ მოწოდებული ჰაგიოგრაფიის სიღრმისეულ ანალიზს მივუბრუნდეთ, მის პროგრამაში დატოვებაზე გვიწევს საუბარი. „საბჭოთა-მატერიალისტური“ იყო ისტორიაც, რომელსაც საბჭოთა სკოლაში ასწავლიდნენ. არადა, ისტორიაში ბევრია მისტიკური, რაც მხოლოდ მატერიალისტური მიზეზებით არ აიხსნება. თუმცა, როგორც დრომ გვიჩვენა, ეს არ იყო მხოლოდ საბჭოთა სენი. **თანამედროვე დასავლეთში არამცთუ ისტორია ან ლიტერატურა, თვით რელიგიაც მატერიალისტურ ხასიათს იძენს, დემისტიზებულია. მისტიკამ ახლა ჰოლივუდსა და discovery-ზე გადაინაცვლა. სამაგიეროდ, ყოველდღიურობაში მისტიკის ადგილი მისტიფიკაციამ დაიკავა.**

> *ფილოსოფიური თვალსაზრისით, **მატერიალიზმი** იმის რწმენაა, რომ რეალური მხოლოდ მატერიაა, ხოლო ისტორიული პროცესების საფუძველს ეკონომიკური ფაქტორები ქმნიან. **მისტიფიკაცია** კი განზრახ შეცდომაში შეყვანას წარმოადგენს და დღეს საქართველოში მასობრივად „პიარს“ უწოდებენ, რადგან მასების შეცდომაში შეყვანა სწორედ **პიარტექნოლოგიების** გამოყენებით ხდება.*

მატერიალისტურად ნასწავლ **„ᲨᲣᲨᲐᲜᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲨᲘ“** შუშანიკი **ოჯახური ძალადობის მსხვერპლი** გამოდის, სინამდვილეში კი მაზდეანობაზე გადასული ვარსქენი რჯულს არამცთუ ხალხს, საკუთარ ცოლსაც კი ვერ აცვლევინებს. ეს არ არის ერთი პიროვნების, თუნდაც „დედუფლის“ ისტორია. ეს არის ხალხის ისტორია, რომელიც მე-5 საუკუნეშიც კი არ ცნობს ფორმულას: **„ვისიცაა ძალაუფლება, მისია რჯულიც“.** არადა, ამ ფორმულით ევროპელი მმართველები თავიანთი ქვეშევრდომების აღმსარებლობის საკითხს მე-15 საუკუნის ჩათვლით წყვეტდნენ.

საბჭოთა სკოლაში ნასწავლი **„ᲐᲑᲝᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲐ“** ისე გამოიყურება, თითქოს ერთი არაბი მენელსაცხებლე ვაჟის გარდა ყველა უარყოფდა ქრისტიანობას. **ᲘᲝᲕᲐᲜᲔ ᲡᲐᲑᲐᲜᲘᲡᲫᲘᲡ** ეს ციტატა, ალბათ, ყველაზე ხშირად არის გამოყენებული:

> *„მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგვლარძნეს — რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვრებით. და სხვანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქვეშე დამონებულნი და ნაკლულოვანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, **შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.***

ვერაფერი სახარბიელო სურათია, ხომ? და აი, ამ საერთო შიშის ფონზე გამოანათებს წმინდანი, ამ შემთხვევაში ახლადმოქცეული და სულაც არაქართველი **ᲐᲑᲝ.** რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ქართველებს რჯულის გამო თავის გაწირვა არ გვინდოდა? მაგრამ ისტორია ხომ საპირისპიროს გვიდასტურებს? **მაშინ, საბჭოთა პერიოდში არავინ გვასწავლიდა იმას, რომ მთელი მოსახლეობის რჯულის შეცვლით არაბთა მიერ ქვეყნის დაპყრობას ეკონომიკური მომხიბლაობა ეკარგებოდა:** ქრისტიანები ორჯერ მეტ გადასახადს იხდიდნენ, ვიდრე მაჰმადიანები. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია თავად აბოს საქციელის იდეოლოგიური დატვირთვა: საქართველოში არაბების ბატონობისას არაბი ყმაწვილი დაპყრობილი ხალხის რჯულზე გადადის. ეს დარტყმა საკმაოდ მძიმე იყო, ამიტომაც გაუსწორდნენ მას ასე სასტიკად. ამავე მიზეზით ეთმობა ნაწარმოების ერთი ნაწილი ორი რჯულის დოგმატების შედარებას.

თავად **„ᲐᲑᲝᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲐ“** რომ იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებს, ამას მისი დასაწყისიც მეტყველებს: ქართლის კათალიკოსმა სამოელმა ხსართან მღვდლის ხელით გაუგზავნა აბოს მეგობარს — **ᲘᲝᲕᲐᲜᲔ ᲡᲐᲑᲐᲜᲘᲡᲫᲔᲡ** წერილი, რომელშიც თხოვს: **„ხელ ყავ სრულიად გამოთქუმად ჭეშმარიტად ვითარ იყო და ვითარ შენ თვით უწყი და აღწერე მარტვილობაი წმიდისა მოწამისა ჰაბოისი და აღწერილი ჩვენ მოგვიძღვანე“.** დავალება კათალიკოს სამოელს ამგვარად აქვს დასაბუთებული: „მნებავს, რათა დაიწეროს სა-



> *ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი **„ᲚᲔᲠᲬᲛᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ“** გლობალიზაციის პირობებში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უტყუარ რეცეპტს გვთავაზობს. **ესაა პასუხი კითხვაზე, რომელიც ქართველ საზოგადოებას ბოლო წლებში უდიდესი სიმწვავით აწუხებს — ᲠᲐ ᲒᲕᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐ?** ჟურნალისტი, პარლამენტარი, სახალხო დამცველი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ეს ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რამდენიმე ეტაპია, რამაც იგი ღრმა განსწავლულობასთან ერთად საქართველოს გადარჩენის ბრძნულ და ფასდაუდებელი დოქტრინის ავტორად აქცია. „ᲚᲔᲠᲬᲛᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ“** ეძღვნება **ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲑᲣᲘᲡ,** სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის **ᲓᲐᲕᲘᲗ V-ᲘᲡ** ნათელ ხსოვნას.*

## ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ

# ᲚᲔᲠᲬᲛᲘᲡ



## ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲘᲜᲐ ᲕᲐᲠᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ? ᲙᲝᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡᲢᲔᲑᲘ? ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲗᲐᲜ ᲨᲔᲛᲒᲣᲔᲑᲔᲚᲜᲘ? ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲛᲧᲝᲤᲘ?



# სტრატეგია

ნატრელისა ამისცა, ვითარცა პირველთა მათ ქრისტეს მოწამეითა, და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსახსენებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა“.

ჩვენ ხშირად დღევანდელი საზომით ვაფასებთ წარსულს და იმ დროს მცხოვრებ ადამიანებს, არ ვითვალისწინებთ იმ გარემოს, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. ზოგჯერ ჩვენეული მოტივაციითაც „ვაჯილდოებთ“ და ნაკლებად ვფიქრობთ იმაზე, რომ დღეს უდაოდ აღიარებული ჭეშმარიტებები საკმაოდ რთულად იმკვიდრებდა ადგილს. თუ იმას გავიხსენებთ, რომ მე-8 საუკუნეში **აბო** ახალგაზრდა, ენერგიით სავსე რელიგიის მქონე ხალხის წარმომადგენელია და პრესტიჟულ პროფესიასაც ფლობს, მის მიერ ქრისტიანობის მიღება სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება. **სხვათაშორის, „აბოს წამება“ იმითაც არის საინტერესო, რომ იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის არამარტო მაშინდელ მსოფლმხედველობათა ჭიდილზე, არამედ მართლმსაჯულებასა და პატიმრის უფლებებზეც. თბილისის ამირას თავშიც არ მოსვლია დაპატიმრებული აბოს არცთუ მცირე ქონების ჩამორთმევა; პატიმრობაში მყოფმა აბომ ყველაფერი გაყიდა და ფული გლახაკებს დაურიგა.**

ფაქტობრივად, ორივე ჰაგიოგრაფიული ძეგლი სახელმწიფოებრივი აზროვნების ნათელ მაგალითს წარმოადგენს, მეტიც, ისინი **ქართული სახელმწიფოებრიობის დოქტრინის** ელემენტებს შეიცავს, რის ხაზგასმაც საბჭოთა სასკოლო განათლებას არაფერში არგებდა, მაგრამ თავად მისი სწავლება უკვე იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ამის გააზრება მოგვეხერხებინა.

ერთ-ერთ რუსულ ფორუმზე საინტერესო პაექრობას გადავაწყდი რუს და ქართველ ახალგაზრდებს შორის. ქართველის განცხადებაზე მართლმადიდებლობის რუსებზე ბევრად ადრე მიღების შესახებ რუსმა იქვე ჩამოუთვალა საქართველოს მაჰმადიანი მეფეები: **როსტომი** (1633-1658), **ვახტანგ V შაჰნავაზი** (1658-1675), **დავით იმამ-ყულიხანი** (1703-1722). **კონსტანტინე II მუჰამედ-ყულიხანი. იესე ალი-ყულიხანი** (1714-1716; 1724-1727). **ერეკლე I ნაზარ-ალიხანი** (1688-1703). ჩამოთვალა და დასკვნაც გამოიტანა, რომ **ქართველები ისტორიულად მხოლოდ კარგ ცხოვრებას ეძებდნენ და მას ხან ერთი დამპყრობლის, ხან მეორის უღელქვეშ პოულობდნენ.** ნუთუ მართლაც ასე გამოვიყურებით სხვის თვალში? რა ასეთი „კარგი ცხოვრება“ ჰქონდათ ქართველ მეფეებს, მით უფრო გარემოებათა გამო სარწმუნოებაშეცვლილებს?

როდესაც **აკაკი ბაქრაძე** ქართულ ხასიათზე წერდა **(გურამ ასათიანის** წიგნზე დაწერილ რეცენზიაში), იგი საგანგებოდ შეეხო ნაცარქექიას სახეს.

*„სიზარმაცე და ბაქიობა მისტიფიკაციაა, მომარჯვებული იმისათვის, რომ მტერმა ნაცარქექიას ნამდვილი თვისება ვერ ამოიცნოს. ახლა უფრო შორს წავიდეთ:* ***განა ნაცარქექიასა და დევის ურთიერთობაში საქართველოს ისტორიული ცხოვრების მოდელი არა ჩანს? საქართველოს მთელი მისი გრძელი ისტორიის მანძილზე არასოდეს ჰქონია ურთიერთობა მის ტოლ სახელმწიფოსთან. იგი ყოველთვის მსოფლიო გოლიათებს ედგა პირისპირ:***

***საქართველო*** *და რომის იმპერია,*

***საქართველო*** *და ბიზანტიის საკეისრო,*

***საქართველო*** *და არაბთა ხალიფატი,*

***საქართველო*** *და სპარსეთის შაჰინშატი,*

***საქართველო*** *და მონღოლთა ულუსი,*

***საქართველო*** *და ოსმალთა სულთანატი,*

***საქართველო*** *და რუსეთის ცარიზმი.*

*ამ უთანასწორო ბრძოლაში რა უშველიდა საქართველოს თუ არა ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა და ეშმაკობა. ქართველმა ხალხმაც ნაცარქექიას სახით ამგვარი იდეალი შექმნა. მტრის მოსატყუებლად ზარმაცისა და ბაქიას ნიღაბი აიფარა. თუ ეს არ დავინახეთ ნაცარქექიაში, მაშინ მას ცალმხრივად წარმოვიდგენთ და ნიღაბს არსად მივიჩნევთ“.*

ამ ანალიზის კიდევ უფრო გავრცობაც შეიძლება. ისტორიული წყაროები გვიჩვენებს, რომ **აკაკი ბაქრაძის** თვალით დანახული ეს წახნაგი ქართული ხასიათისა არაერთხელ ყოფილა საქართველოსათვის ყველაზე მძიმე მომენტებში განმსაზღვრელი და გადამრჩენი.

საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ „ირხეოდა, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. როცა ამას სკოლაში გვასწავლიდნენ, იგულისხმებოდა, რომ ეს არ არის საკადრისი საქციელი. მაგრამ ძლიერ ქარს მუხის ფესვიანად მოგლეჯა შეუძლია და მოუგლეჯია კიდეც ჩვენზე დიდი და მრავალრიცხოვანი ერები. ლერწამი კი წვება, ქარიშხალს გადაატარებს და კვლავ ფეხზე დგება.

მაჰმადიან მეფეებს რაც შეეხება, **ნიკო ბერძენიშვილი, ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია** მიუთითებენ:

*„როსტომის მეფობით ირანისა და ქართლის ურთიერთობაში ახალი ხანა იწყება. ამიერიდან ვიდრე 1744 წლამდე ქართლს მაჰმადიანი მეფეები განაგებდნენ, რომელთაც ქართლის „ვალი“, ე.ი. შაჰის „მოადგილე“ ეწოდებოდათ...* ***როსტომი პირველი მაჰმადიანი მეფე იყო, რომელმაც ქართლში მტკიცედ ფეხის მოკიდება შეძლო. ასეთი მდგომარეობის მისაღწევად როსტომმა ხანგრძლივი ბრძოლა გადაიტანა... როსტომმა სწორედ იმიტომ გაიმარჯვა, რომ ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა. როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივსა და სამეურნეო წყობას არ შეხებია. აქ ყველაფერი უცვლელად დარჩა. „არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს ქართლში აშკარა დევნას, გამაჰმადიანება უმთავრესად ფეოდალ მოხელეთა უმაღლეს წრეებს ეხებოდა“.***

**როსტომიცა** და მისი მეუღლე **მარიამიც** ქონებას სწირავდნენ ქართულ ეკლესია-მონასტრებს, **მარიამ დედოფალი** აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-კულტურულ საქმიანობაში.

რუსულ ფორუმში მოყვანილი ნუსხა მხოლოდ ირანის პროტექტორატს ეხება. ამ პერიოდში **ივ. სურგულაძის** (18) ცნობით:

**1.** **ქართლის მეფეს** ამტკიცებს შაჰი;

**2.** **ქართლის მეფე** მაჰმადიანია, მაგრამ ბაგრატიონების დინასტიიდან;

**3.** **ქართლის მეფეს** ირანშიც აქვს თანამდებობა;

**4.** **ქართლის მეფე** შაჰის „ვალია“, ის შაჰისგან ხელფასს ღებულობს;

**5.** ირანი **ქართლიდან** ღებულობს ხარკს, რომელიც ზუსტად არ არის განსაზღვრული და აგრეთვე საჩუქრებს;

**6.** **ქართლის მეფე** ვალდებულია, შაჰის მოთხოვნისთანავე ჯარი გამოიყვანოს;

**7.** **ქართლის მეფე** საგარეო ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან ირანის გარეშე არ აწარმოებს. მეორე მხრივ, ირანი არ ერევა ქართლის სამეფოს შინაურ საქმეებში, არ დევნის ქრისტიანობას და ბაგრატიონთა დინასტიის ტახტის მემკვიდრეობას არ არღვევს.

მოყვანილი დახასიათება თანაბრად ეხება რუსულ ფორუმზე ჩამოთვლილ ყველა მეფეს. ნუსხაში შორსმჭვრეტელურად არ არის ნახსენები **ვახტანგ VI,** რომელიც ირანმა მანამ არ აუშვა ტახტზე, სანამ მაჰმადიანობა არ მიაღებინა, მაგრამ იგი რუსეთთან მოლაპარაკებებს იწყებს და ჩვენს რუს მეისტორიეს ამიტომაც „ავიწყდება“ მისი ხსენება. **რუსეთს რომ ირანის გამოცდილება გაეთვალისწინებინა და ბაგრატიონების დინასტიის ტახტი არ გაეუქმებინა, ბევრ გაუგებრობას აიცილებდა თავიდან, მაგრამ იყო ის, რაც იყო.**

ამ გამოცდილების გათვალისწინება თავის დროზე არც ოსმალებს, **დღევანდელ ჩვენს „ისტორიულ მეგობრებს“** — თურქებს აწყენდათ, მაგრამ იყო ის, რაც იყო; იმავე **ვახტანგ VI-ის** რუსეთში გადახვეწის შემდგომ საქართველოში ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმი მყარდება (1723-1735).

ოსმალები ცდილობენ საკუთარი წყობილების შემოღებას, *„რის გამოც ქართლ-კახეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ნადირ-შაჰს მიემხრო, რადგან ირანის ბატონობა უფრო ნაკლებ ბოროტებად მიიჩნიეს საქართველოში. ირანმა ოსმალეთი განდევნა ქართლ-კახეთიდან, მაგრამ ოსმალობა არანაკლებ ყიზილბაშობამ შეცვალა... ნადირ-შაჰმა ქართლ-კახეთში ირანული გადასახადები და ყიზილბაშური წყობილება შემოიღო... მაშინვე ქართლსა და კახეთში აჯანყებები დაიწყო... აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ ნადირ-შაჰი აიძულა საქართველოს გათათრებაზე საბოლოოდ ხელი აეღო და აქ თანდათან ძველი, ქართული წესწყობილება აღედგინა“* **(ნ.ბერძენიშვილი, ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია. საქართველოს ისტორია ნაწ. I გვ. 374-375).**

ერთი სიტყვით, სანამ დამპყრობელი ქართულ ეროვნულ ინსტიტუტებს — მეფესა და სარწმუნოებას, მის ყოველდღიურ ცხოვრების წესს არ ეხებოდნენ, თანაარსებობა, ასე თუ ისე, ასატანი იყო. როგორც კი ეს დაუწერელი კანონი ირღვეოდა, ხალხის რეაქციაც არ აყოვნებდა. რუსმა მეისტორიემ და არამარტო მან კარგად უნდა გაითვითცნობიერონ ეს ქართული კანონზომიერება. თუმცა, რუსს რას ვემართლებით, როცა დღეს იმავე შეცდომას ქართული პროდასავლური ხელისუფლებაც უშვებს.

**დღეს ხშირად მოისმენ მოწოდებას ერთიანობის შესახებ, წუწუნს იმის გამო, რომ ისტორიულად ერთიანობის დეფიციტმა დაღუპა საქართველო. დაღუპა თუ გადაარჩინა?** არაერთხელ ყოფილა ვითარება, როცა გაერთიანება ერთად დაღუპვას ნიშნავდა. **გამოსავალი იყო ნაწილში მაინც გადარჩენა, თუ, რა თქმა უნდა, იმ დიდი ერების ბედი არ გვინდოდა გაგვეზიარებინა, რომლებიც ისტორიის კატაკლიზმებმა შთანთქა და ახლა მათ მდიდარ ისტორიულ მემკვიდრეობას სხვები ათვალიერებენ მუზეუმებში.**

ხშირად მოისმენ მოწოდებას ერთიანობის შესახებ, წუწუნს იმის გამო, რომ ისტორიულად ერთიანობის დეფიციტმა დაღუპა საქართველო. დაღუპა თუ გადაარჩინა?

აკაკი ბაქრაძე საგანგებოდ საუბრობს ამ ერთიანობაზე:

*„ჩემი აზრით, პოლივალენტური მთლიანობის შექმნის ცდა სამჯერ მოხდა საქართველოში. პირველად მაშინ, როცა ფარნავაზ მეფემ ერთიანობის საფუძვლად ქართული ენა გამოაცხადა და „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“... მეორედ მაშინ, როცა ქრისტიანობა გამოცხადდა საერთო ქართულ რელიგიად და შეიქმნა იდეოლოგიური ფორმულა —* ***„ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართული ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.*** *მესამედ მაშინ, როცა თერგდალეულებმა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშის ქვეშ შეკრიბა ქართველობა... ყოველი ხალხის ეროვნული ხასიათისა და ენერგიის სრულად გამოსავლენად აუცილებელია — ტერიტორიული მთლიანობა, იდეოლოგიური ერთიანობა და თავისუფლება.“*

მკითხველი უთუოდ მიაქცევს ყურადღებას, რომ ილიასეულ ტრიადას — **„მამული, ენა, სარწმუნოება“** ცვლის ახალი — **ტერიტორიული მთლიანობა** (რომლის პრობლემაც დღეს სრული სიგრძე-სიგანით დგას საქართველოს წინაშე), **იდეოლოგია** (რომელშიც სარწმუნოებას გულისხმობს ა.ბაქრაძე) და **თავისუფლება** (რომელიც ენის საპირწონე კი არ არის, არამედ ქვეყნის დამოუკიდებლობას აღნიშნავს, რასაც თავისთავად ცხადი მიზეზების გამო აკაკი ბაქრაძე 1980 წელს ვერ გაშიფრავდა. ამიტომ იგი ზოგად ტერმინს — თავისუფლებას იყენებს, რომლის გაგებაც მეტად ფართოა).

პრობლემა ის გახლავთ, რომ ამ კატეგორიებით ოპერირება მაშინ შეიძლება, როცა ერი ფიზიკურად არსებობს, არ გადაშენებულა, ხოლო **საქართველოს ისტორიის უმეტესი ხანი სწორედ ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლას წარმოადგენდა!**

ჩვენში ხშირად წუხან იმაზე, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა, ერთად შეკრებილი, 500-ოდე წელიწადს თუ ითვლის. მერედა, რაო? განა ეს ცოტაა? ზოგიერთი დღევანდელი ზესახელმწიფო სულაც 200 წლისაა, დანარჩენებს კი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ნაკლები სტაჟიცა აქვთ, მაგრამ სულაც არ წუხან ამაზე.

ზოგადად ქართველებს ხშირად გვემართება, რომ ნაკლად ვითვლით იმას, რაც სულაც არ არის ნაკლი, მით უფრო — დღევანდელ ცინიკურ მსოფლიოში. დიახ, საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე **ბევრჯერ „ირხეოდა, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.** როცა **ამას სკოლაში გვასწავლიდნენ, იგულისხმებოდა, რომ ეს არ არის საკადრისი საქციელი. მაგრამ ძლიერ ქარს მუხის ფესვიანად მოგლეჯა შეუძლია და მოუგლეჯია კიდეც ჩვენზე დიდი და მრავალრიცხოვანი ერები.** ლერწამი კი წვება, ქარიშხალს გადაატარებს და კვლავ ფეხზე დგება.

# ჯონდი ბაღათურია:

# სააკაშვილს უნდა წარედგინოს ბრალი სამშობლოს ღალატში!

***„ქართული დასის“ ლიდერი, ყოფილი პარლამენტარი ჯონდი ბაღათურია ბოლო დროს მსოფლიოსა და საქართველოში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და კიდევ ერთხელ განმარტავს — ტრამპის გამარჯვებით მთელ მსოფლიოში ახალი შესაძლებლობების ფანჯარა გაიღო და ეს საქართველომ სათავისოდ უნდა გამოიყენოს:***



**„ღმერთმა ხელი მოუმართოს ჩვენს ხელისუფლებას იმ საქმეში, რასაც ახლა აკეთებს!“**

— **ტრამპის** ინაუგურაციის შემდეგ ომი ლიბერალებსა და ტრადიციონალისტებს შორის აქტიურ ფაზაში გადავიდა. მართალია, უპირატესობა ტრადიციონალისტებს აქვთ, თუმცა, ლიბერალები ჯერ კვლავ მყარად არიან ევროპაში, უფრო სწორად, ევროკავშირში. გახსოვთ, ალბათ, ინაუგურაციამდე რა განცხადებები კეთდებოდა ქართველი ლიბერალების მხრიდან, ტრამპი ჩვენს მხარეს იქნებაო. ახლა, როცა მათ პატრონებს — ევროკავშირის ბიუროკრატიას დაუპირისპირდა, თვით ამერიკის პრეზიდენტს დაუწყეს ბრძოლა.

**— თქვენ რას ფიქრობთ, სწორია შეერთებული შტატების ახლად არჩეული პრეზიდენტის განცხადებები და გადაწყვეტილებები, მათ შორის, უკრაინასთან მიმართებაში?**

— **კოლექტიურმა დასავლეთმა ეს ომი რუსეთთან წააგო.** ახლა მიდის განტევების ვაცზე საუბარი. თუ პროცესი დროში გაიწელება და 5-6 თვე გასტანს, მხოლოდ **ბაიდენის ადმინისტრაციის** პრობლემა აღარ იქნება, **ტრამპისთვისაც** თავსატეხი გახდება, რაც ყველაზე სახიფათოა. ამიტომაც ჩქარობს ომის დასრულებას და სწორადაც იქცევა.

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ამერიკისთვის მთავარი ოპონენტი და ანგარიშგასაწევი ძალა რუსეთია. ამ ორ სახელმწიფოს შეუძლია, ერთმანეთი და დედამიწა სრულად გაანადგუროს. ცხადია, ჩინეთსაც აქვს შესაძლებლობა, დიდი ზიანი მიაყენოს შტატებს, მაგრამ რუსეთის მსგავსი სამხედრო პოტენციალი არ გააჩნია. **ბოდიში, მაგრამ ამ გეოპოლიტიკურ გადანაწილებაში ვინ არის ზელენსკი? ერთი ჩვეულებრივი იდიოტია ისევე, როგორც მაკრონი და შოლცი! რა პრეტენზიებს გამოთქვამს, ვის აშინებს?! თვითონ კი მიიჩნევს, მაგრამ უკრაინა არ არის დედამიწის ჭიპი.**

ამასთან, **ზელენსკი** გრძნობს, რომ ზედმეტი გახდა უკრაინის შიგნითაც და გარეთაც. ბოლოს და ბოლოს, მილიონი უკრაინელია მოკლული მოღალატე ხელისუფლების მოღალატური პოლიტიკის გამო. **ამხელა სისხლისღვრა დაუსჯელად, უბრალოდ, ვერ ჩაივლის. ზელენსკი საცოდავ მდგომარეობაშია, მაგრამ ეს მისი არჩევანი იყო. თავისი სიბრიყვითა და არაკაცობით ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში.**

იმავეს ცდილობდა და ცდილობს დღეს აქაური ნახირიც, საკუთარ თავს ოპოზიციის ლიდერებს რომ უწოდებენ და დღემდე ბრიუსელში დარბიან დუყმორეულნი. სამაგიეროდ, **ბოლო 30 წელია, ასეთი ღირსეული ჩემი ქვეყანა და ხალხი არ ყოფილა!** და კიდევ: საქართველოს პარლამენტში ძალიან მნიშვნელოვანი, ეროვნული, სახელმწიფოებრივი კანონების მიღების კორიანტელი დგას. ღმერთმა ხელი მოუმართოს ჩვენს ხელისუფლებას. ამ კანონების მიღებით სახელმწიფოს ვიბრუნებთ!



**„სააკაშვილი გარდა იმისა, რომ ქურდბაცაცაა, მოღალატეც არის და ეს სამართლებრივად უნდა გაფორმდეს!“**

**— რას იტყვით სისხლის სამართლის კოდექსში სამშობლოს ღალატის მუხლის აღდგენაზე?**

— ჯერ კიდევ 2020 წლის 19 ოქტომბერს შევიტანე განაცხადი და მოვითხოვე ამ მუხლის აღდგენა. მაშინ **შალვა პაპუაშვილმა** მომწერა — ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და თვითონაც განვიხილავთ კანონის აღდგენასო. ახლა სააკაშვილს უნდა წარედგინოს ბრალი სამშობლოს ღალატში. **დიახ, მიხეილ სააკაშვილი გარდა იმისა, რომ ქურდბაცაცაა, მოღალატეც არის და ეს სამართლებრივად უნდა გაფორმდეს.** როგორ გგონიათ, 2007 წელს რატომ გააუქმა ეს მუხლი, რას უშავებდა? სისხლის სამართლის კოდექსში რომ იხედებოდა, თავის თავს ხედავდა და გრძნობდა, ერთ დღესაც მის წინააღმდეგ ამოქმედდებოდა. ღმერთმა დაიცვას მისი შთამომავლობა ასეთი ხვედრისგან, მაგრამ ყველამ, ვინც სამშობლოს უღალატებს და ქართულ მიწას სხვა სახელმწიფოს დაუთმობს, უნდა იცოდეს, რომ ასეთი ბედი ელოდება.

სააკაშვილთან ერთად ის პოლიტიკოსებიც მოღალატეები არიან, ვინც ყარაყორუმში, ანუ ბრიუსელში ჩადის და თავისი ქვეყნისთვის სანქციების დაწესებას ითხოვს. მოღალატეა **სალომე ზურაბიშვილიც!** ყოფილი პრეზიდენტი რომ იტყვის, შეერთებული შტატები არ უნდა დამცირდეს საქართველოსთანო, რა არის ეს, თუ არა ღალატი?! შტატების ყველაზე მგრძნობიარე სიმს — რეპუტაციას ეხება და საქართველოს წინააღმდეგ აქეზებს. მან ამ განცხადებით ის ღვარძლი და შხამი გადმოანთხია, რაც საქართველოს მიმართ ჰქონდა. **ეს არ არის მხოლოდ მორალური კატეგორია, სამშობლოს ღალატის მუხლის აღდგენით მას სამართლებრივადაც შეიძლება წაეყენოს ბრალი ქვეყნის ღალატისთვის!**

**— ამ პოლიტიკურ მოცემულობაში ხელისუფლების შემდეგი ნაბიჯი რა უნდა იყოს?**

— ყველაფერი წყლის ნაყვა იქნება, თუ განათლების რეფორმა არ გატარდება. 90-იან წლებში ლიბერალები საქართველოში რომ შემოვიდნენ, თავდაპირველად ორი სისტემის ოკუპაცია მოახდინეს — განათლების და მედიის. ორივე გრანტებზე დასვეს. სწორედ ამის შედეგია ქუჩაში გამოსული ახალგაზრდობა.

## „ზელენსკიმ თავისი სიბრიყვითა და არაკაცობით ჩაიყენა თავი ასეთ საცოდავ მდგომარეობაში!“



## „ბოდიში, მაგრამ ამ გეოპოლიტიკურ გადანაწილებაში ვინ არის ზელენსკი? ერთი ჩვეულებრივი იდიოტია ისევე, როგორც მაკრონი და შოლცი!“

## სასწავლებლებმა ღმერთის, ერის შვილი უნდა აღზარდოს და არა მაიმუნის ნათესავი! ბერძენიშვილიზმი ცეცხლითა და მახვილით უნდა ამოიშანთოს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები



**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი*

ევროპას უნდა თუ არა, **მოუწევს იმის გაკეთება, რასაც ტრამპი გადაწყვეტს** რუსეთსა და უკრაინასთან ერთად. პრინციპში, გამოიკვეთა სურათი, **თუ როგორ ხედავს ომის დამთავრების სცენარს ტრამპის მთავრობა** — ომის დასრულების შემდეგ იქ ევროპელები უნდა ჩადგნენ, ოღონდ ეს არ იქნება ნატოს მისია — **ანუ თუ დაარტყამს რუსეთი, ამერიკა არ დაეხმარება!**

„კვირის პალიტრა“



**ლევან ლორთქიფანიძე**
*ანალიტიკოსი*

**გიორგი ვაშაძის** ფორმულაა: **„ყველა გავერთიანდეთ და მივიღოთ ნული“. გიორგი ვაშაძეს** თავისი არც ნიშა აქვს, არც პოლიტიკური პოზიცია, არც საზოგაოების პატივისცემა და ავტორიტეტი. ამიტომ **ცდილობს, რაღაც დიდ ტალღას მიეტმასნოს** ისევე, როგორც სხვა ოპოზიციური პარტიები, რომელთაც **არც იდეები აქვთ და არც ხედვები.**

„კვირის პალიტრა“



**თამარ ჩარკვიანი**
*ყოფილი პარლამენტარი*

**„ტვ პირველიდან“ ჩახსნილი ვარ!** არამარტო მე, არამედ, **თუ ვინმემ რაიმე კრიტიკული თქვა მამუკა ხაზარაძეზე,** ოპოზიციურ არხებთან წვდომა წყდება.

„ახალი თაობა“



**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*

**ხაზარაძე** ორმაგი სტანდარტებით ვერავის მოატყუებს, **რა ნაციც იყო აქამდე, ისე დარჩება.**

„რეზონანსი“



**კახა გოგოლაშვილი**
*სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევების ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი*

**ბიძინა ივანიშვილი** ცდილობს, წინასაარჩევნო დაპირებები გაამართლოს, ანუ **გაანადგუროს ნაციონალური მოძრაობა და ოპოზიცია.**

„ახალი თაობა“

გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:
№8 (304) ★ 2025 წლის 24 თებერვალი ★ გამოდის 2003 წლიდან

სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!
იოსებ სტალინი

# ვაშინგტონს ცრემლების არ სჯერა!

*1981 წელს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო — „ოსკარი“ გადაეცა რუსი რეჟისორის ვლადიმირ მენშოვის ფილმს „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“,*












*რომელიც საუკეთესო უცხოენოვან ნამუშევრად აღიარეს.*

ფილმის სახელწოდება **„მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“**, დროთა განმავლობაში, ფრთიან ფრაზად გადაიქცა, რომელსაც პოლიტიკური კონტექსტითაც ხმარობენ და უფრო ხშირად მაშინ იტყვიან, როცა საუბარი რუსეთის ხელისუფლების ქმედებებსა და კრემლის პოლიტიკას ეხება.

აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ წინამდებარე წერილის სათაურს — **„ვაშინგტონს ცრემლების არ სჯერა“** — საფუძვლად უდევს სწორედ ცნობილი საბჭოთა მელოდრამის სახელწოდება — **„მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“.**

ოსკაროსანი საბჭოთა ფილმის სათაურის ჩვეულებრივი პერიფრაზი — **„ვაშინგტონს ცრემლების არ სჯერა“** — ნაკარნახევი და შთაგონებულია ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ **ჯეიმს დევიდ ვენსის,** იგივე **ჯეი დი ვენსის** გასაოცარი გამოსვლით მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, რომელიც 2025 წლის 15 თებერვალს ჩატარდა და თანამედროვე ევროპული ბიუროკრატიის სრული პოლიტიკური გაცამტვერებით დასრულდა.

აშშ-ის კონსერვატორი და ანტილიბერალი ვიცე-პრეზიდენტის შთამბეჭდავი გამოსვლა ნეოლიბერალიზმის ჭაობში მობუყბუყე ევრობიუროკრატებისათვის იმდენად თავზარდამცემი აღმოჩნდა, რომ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის თავმჯდომარე **კრისტოფ ჰოისგენი** პირდაპირ ტრიბუნასთან ატირდა და თვალთაგან გადმომსკადრმა ცრემლის წვიმამ სიტყვა ვეღარ გააგრძელებინა.

ატირებულ **ჰოისგენს,** რომელმაც საკუთარი გამოსვლა შეწყვიტა და შემაღლებული ფიცარნაგიდან პარტერისაკენ ლასლასით დაეშვა, დარბაზის პირველ რიგში მჯდომი ევროკომისარი **კაია კალასი** მონატრებული შეყვარებულივით ჩაეხუტა და კარგა ხანს ამშვიდებდა.

ცხადია, მამაკაცის ტირილი დასაძრახი არ გახლავთ, რადგან ცხოვრებაში არის მომენტები, როცა ყველაზე გულადი და მამაცი კაცებიც კი ტირიან, თუმცა, საქმე პოლიტიკას, მით უფრო კი, დიდ პოლიტიკას როცა ეხება, მამაკაცის ქვითინი და ქალებისაგან მისი ნუგეშისცემა ნამდვილად უმწეობის ნიშანია!

**უნდა წარმოვიდგინოთ, რა განცდა დაეუფლებოდა ევროკავშირის ქვეყნების 500-მილიონიან მოსახლეობას, როცა დაინახავდა, რომ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის თავმჯდომარე, ანუ ევროპის კონტინენტის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური ფიგურა მთელი მსოფლიოს თვალწინ ტიროდა — ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის გამოსვლამ ცხადყო, რომ შეერთებულ შტატებსა და ევროპას საერთო ღირებულებები აღარ გააჩნიათ!**

მიუნხენის კონფერენციის აცრემლებული თავმჯდომარის შემხედვარე ევროპელმა ხალხებმა, დიდი ალბათობით, თავი დედამიწის ზურგზე ყველაზე დაუცველ ადამიანებად იგრძნეს, რადგან აღმოაჩინეს, რომ მათი უსაფრთხოება მტირალა კაცებისა და უსუსური პოლიტიკოსების ხელში ყოფილა!

**70 წლის პოლიტიკოსი მამაკაცი, რომელსაც ევროპის უსაფრთხოების დაცვა ევალება, მთელი მსოფლიოს თვალწინ ცრემლებს აღვარღვარებს და კოლეგა ქალების დასამშვიდებელი ხდება!** — ეს არის პოლიტიკურად სიურრეალისტური სცენა, რომელიც დღევანდელი ევროკავშირის სრულ დეგრადაციასა და დემორალიზაციას ასახავს!

ოფიციალურმა ვაშინგტონმა, ვიცე-პრეზიდენტ ვენსის მეშვეობით, ლიბერალური ევრობიუროკრატია სარკეში ჩაახედა!




აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯეი დი ვენსი მიუნხენის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას

და მაინც, ვაშინგტონიდან მიუნხენში ჩასულმა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ისეთი რა ილაპარაკა, რომ მთელ ევროპულ ბიუროკრატიას პირკატა ეცა?

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე **ჯეი დი ვენსის** საკმაოდ ვრცელი გამოსვლა თეზისების სახით ასე შეიძლება, ჩამოვაყალიბოთ:

***ევროპის მთავარი საფრთხე და პრობლემა ჩინეთი და რუსეთი კი არა, თავად ევროპაა, რომელმაც ფუნდამენტური ღირებულებები უარყო!***

*ევროპა დაშორდა ჭეშმარიტ დემოკრატიას, რისი გამაოგნებელი მაგალითიც გახლავთ რუმინეთში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაუქმება იმის გამო, რომ ევროკავშირის ლიბერალურ ბიუროკრატიას რუმინელი ხალხის მიერ არჩეული არალიბერალი კანდიდატი არ მოსწონს!*

***ევროპის პოლიტიკურ ლიდერებს თავიანთი ხალხის ხმის ეშინიათ და ამიტომაც ცდილობენ მის ჩახშობას!***

*ევროპაში სიტყვის თავისუფლება აღარ არსებობს და ცენზორებად გადაქცეული ლიბერალი ევროკომისრები მედიასა და სოციალურ ქსელებში ბლოკავენ განსხვავებულ აზრს, რომელიც ნეოლიბერალურ ნარატივებს — ლგბტ პროპაგანდას, გენდერულ-ფემინისტურ პოლიტიკასა და უკონტროლო მიგრაციას ეწინააღმდეგება!*

*ევროპაში ხელყოფილია რწმენის თავისუფლება და ქრისტიანებს თავიანთ სახლებსა თუ ქუჩის კუთხეში ჩუმად ლოცვისთვისაც კი აპატიმრებენ!*

***ევროკავშირის ბიუროკრატებს ლეგიტიმაციისათვის დემოკრატიული მანდატები უნდა გააჩნდეთ, რასაც მათთვის მიუღებელი პოლიტიკოსების, ჟურნალისტებისა და საკუთარ სახლებში მლოცველი ქრისტიანების ციხეში ჩასმით ვერ მოიპოვებენ!***

მოკლედ, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა, რომელიც, ცხადია, **პრეზიდენტ ტრამპისა** და მისი ადმინისტრაციის სახელით საუბრობდა, მიუნხენის კონფერენციაზე შეკრებილ ევროპელ პოლიტიკოსებს მწარე სიმართლე მიახალა, რაც მათთვის შოკისმომგვრელი და ცრემლის მომდენი აღმოჩნდა!

სხვანაირად თუ ვიტყვით, **ოფიციალურმა ვაშინგტონმა, ვიცე-პრეზიდენტ ვენსის მეშვეობით, ლიბერალური ევრობიუროკრატია სარკეში ჩაახედა, რომელშიც კოლექტიური ურსულა ფონ დერ ლაიენებისა და კაია კალასების პოლიტიკური სიმახინჯე მთელი თავისი შემზარაობით გამოჩნდა!**

**აშკარაა, რომ მიუნხენის კონფერენციის თავმჯდომარე კრისტოფ ჰოისგენი, რომელიც ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის გამოსვლამ ცხარე ცრემლით აატირა, პოლიტიკურად და მორალურად დაუძლურებული ევროკავშირის კრებსით სახეს წარმოადგენს!**

**და მაინც, დაუჯერებს ვაშინგტონი ჰოისგენის თვალთაგან გადმოცვენილ ევროპის ცრემლებს?**

თუ გავითვალისწინებთ, როგორი შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა **დონალდ ტრამპმა** ფაშიზმში გადაზრდილ ნეოლიბერალიზმს, რომლის ადეპტებიც დღეს ევროკავშირს მართავენ, შეგვიძლია, ცალსახად დავასკვნათ, რომ **ვაშინგტონს ბრიუსელის ცრემლების არ სჯერა!**

ამდენად, ევროკავშირის სათავეში მდგარმა **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** მარიონეტებმა რამდენიც არ უნდა იტირონ, მოახლოებულ პოლიტიკურ აღსასრულს მაინც ვერსად წაუვლენ!

კაცმა რომ თქვას, **ურსულა ფონ დერ ლაიენები, კაია კალასები, ანდრიუს კუბილიუსები, რასა იუკნევიჩიენეები** და მათნაირი პოლიტიკური არარაობები უკვე მიიბარა კიდეც გუშინდელმა დღემ, მსოფლიო პოლიტიკის დღევანდელი და ხვალინდელი დღე კი **დონალდ ტრამპს, ჯეი დი ვენსსა** და მათნაირ მამაც პოლიტიკოსებს ეკუთვნით!

**ჯაბა ხუბუა**

**★ მოსკოვს ცრემლების არ სჯერა!**

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-60; 2025 წლის №1-7*

## ერთთავიანი ურჩხული...

მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პერსონალური საქმეების გარჩევა რომ დამთავრდა, დანაშაულებრივი ორგანიზაციების საკითხის განხილვას შეუდგნენ.

ბრალმდებელმა **დოდმა** ასე დაახასიათა ნაციონალ-სოციალისტური გერმანია:

— ეს იყო საშინელი ურჩხული, რომლის **თავია მთავრობა, ტანი — ნაცისტური პარტია, მკლავები — ესესი (SS)** და **ესა (SA)**, ხოლო, როცა ეს ურჩხული დაიძრა საომრად, არმია იქცა მის ფეხებად. დამცველებმა ამ ალეგორიის რამდენადმე შეცვლილი ვარიანტი წარმოადგინეს:

— **თავი იყო ჰიტლერი, ესენი** (ბრალდებულები) **კი ხელები და ფეხებიო...**

ამით ის უნდოდათ ეთქვათ, რომ თავია დამნაშავე და არა კიდურებიო.

ასეა თუ ისე, ეს **„ურჩხული“** რკინით დაჭედილი ჩექმებით დაალაჯებდა ევროპის სახელმწიფოებში და გადათელვით ემუქრებოდა მთელ მსოფლიოს. შემდეგ ის შეიპყრეს და საბრალდებო სკამზე დასვეს. თან, მის **„ნაწილებს“** დამცველები დაუნიშნეს და ისევე წაუყენეს ბრალდება, როგორც **გერინგს, ჰესს, რიბენტროპსა** და სხვებს. ვის შეუძლია, წარმოიდგინოს ამგვარი ბრალდებულის სახე? იგი რამდენიმე მილიონია და, იმავე დროს, კონკრეტულად არავინ. **მთავრობა, პარტია, გენშტაბი, ესესი, ესა, ესდე,** მაგრამ კონკრეტულად ვინ? ეს მერე უნდა გაარკვიონ ადგილობრივმა სასამართლოებმა, ახლა კი, მართლაც, ვის ასამართლებენ? **„დანაშაულებრივ ორგანიზაციებსო,“** — ამბობენ ბრალმდებლები. **„ორგანიზაცია“** ხომ პიროვნება არ არის, — მხრებს იჩეჩენ დამცველები. მართლმსაჯულება მხოლოდ პერსონალურ დამნაშავეს სჯის და არა ვიღაცას, ვისაც **„ორგანიზაციას“** უწოდებენ. მართალია, მთელი ეს საშინელი ბოროტება ამ ორგანიზაციების საქმეა, მაგრამ **„ორგანიზაცია“** ხომ საზოგადოებაა და არა კონკრეტული პიროვნება. დამცველები კი უარყოფდნენ ამგვარი კოლექტიური პასუხისმგებლობის უფლებას. განსაკუთრებით **დოქტორი სერვაციუსი** აქტიურობდა:

— საზოგადოებას არ შეუძლია, ჩაიდინოს დანაშაული! — წამოიძახა მან და მოჰყვა: მარტო პოლიტიკური ხელმძღვანელობის კასტა **139 000** კაცს შეადგენს, თუ **ჰიტლერი** საერთოდ სჯიდა ებრაელებს, თქვენც ხომ იგივე არ უნდა გააკეთოთ?!

ამ ფრიად განათლებულმა ვექილმა მაგალითებიც მოიტანა ისტორიიდან, ბიბლიიდან და სახარებიდან:

**— ღმერთი სოდომს არ დაანგრევდა, — თქვა მან, — იქ რომ თუნდაც ერთი უდანაშაულო ყოფილიყო. ასეთი მაგალითი არც ისტორიას ახსოვს...**

ვიღაცამ გაიხსენა და უპასუხა, როგორ არა, ორი ათასი წლის წინ იყო ამის მსგავსი, **რომაელებისა** და **ჰანიბალის** ომის დროსო.

მერე სამხედრო პირების გასამართლებაც უკანონოდ გამოაცხადეს და საბუთად ისევ ისტორიას მიადგნენ.

**„საცოდავი“** ისტორია! სიცრუის დადასტურება სურთ თუ ჭეშმარიტებისა, სულ იმის მაგალითებს იშველიებენ ხოლმე. იმას კი ანგარიშს არავინ უწევს, რომ ისტორიული ფაქტების ბოროტად გამოყენება დანაშაულია. **გოეთეს** ყველაზე დიდ ბოროტებად სწორედ ისტორიის გაყალბება მიაჩნდა. ამ მხრივ ცოდვა ბევრს მიუძღვის, მაგრამ ფაქტებზე ძალდატანების ყველაზე ფანტასტიკურ მაგალითებს მაინც **ჰიტლერელები** იძლეოდნენ. ისინი თვითონ თხზავდნენ მათთვის სასურველ **„ფაქტებს“** ან სრულიად თვითნებურ შეფასებას აძლევდნენ მათ...




... ისტორიაზე ამგვარი ძალდატანების მაგალითი იყო, გენშტაბის დამცველმა **ლატერზნერმა სოკრატეს** სიტყვები რომ გაიხსენა: **ყოველი სარდალი მსჯავრდებულ უნდა იქნეს, როგორც ცალკეული პიროვნება და მხოლოდ თავისი პირადი დანაშაულისათვის** რებს უკეთებდნენ ამგვარ ცნობებს. ამბობდნენ, თუ არამთავარ სამხედრო დამნაშავეებს სიკვდილს უსჯიან, **„მთავარ სამხედრო დამნაშავეებს“** რა ხეირს დააყრიანო. ამან შახტივით **„უდარდელი“** ბრალდებულებიც შეაშფოთა, თუმცა, გულის დასაიმედებლად ისიც თქვეს, ხომ ხედავთ, პოლკოვნიკ **პაიპერს** სიკვდილი მიუსაჯეს, ხოლო მის უფროსს, გენერალ **ზეპ-დიტრიხს** — სამუდამო პატიმრობა; მაშასადამე, უმცროსს შეიძლება მეტი სასჯელი დაადონ, ვიდრე უფროსსო.

— გარდა ამისა, გენერალ **შტუდენტს** მსუბუქი სასჯელი აკმარეს, რადგან ამერიკელ ოფიცრებს მოეწონათ მისი ხასიათი, — თქვა **გერინგმა** და თვითონაც სცადა, ამერიკელების სიმპათია გამოეწვია...

იგრძნეს, რომ მათმა საბედისწერო ზარმა ჩამოჰკრა და... მუქარაზე გადავიდნენ. თუმცა, უკვე რაღა მუქარა შეეძლოთ, გარდა იმისა, რომ **ჯილბერტს** მისცვივდნენ:

— გერმანელი ხალხი ისევ აღდგება, თქვენ მას ვერ გასრესთ! — უყვირა მას **გერინგმა.** მერე სხვებიც წაეშველენ:

— დაიცადეთ, ერთ ოც წელიწადში თქვენც იძულებული გახდებით, იგივე გააკეთოთ, რაც ჩვენ გავაკეთეთ, — თქვა **როზენბერგმა.**

— ჩვენ უნდა დაგვემსხვრია რუსული კოლოსი, ახლა კი თქვენ მოგიხდებათ ამის გაკეთება, — შეუძახეს **ჯილბერტს** აქეთ-იქიდან. **ჯილბერტი** არ აჰყვა მათ აყიოტაჟს და მშვიდად თქვა:

— ასეთი აზრები რომ გიტ-

# ას ერგასის




**დაისაჯოს. სოკრატეს** ეს გაფრთხილება ყურად იღო სამსჯავრომ, რომელიც სამხედრო ტყვეებს ასამართლებდა.

**ნიურნბერგშიც** ამბობდნენ, ექვსი მილიონი კაცის კოლექტიურად დასჯა ვინ გაიგონაო. **ესესის** დამცველმა **ჰელკმანმა** კი პათეტიკურად წამოიძახა:

— ბატონო მოსამართლენო! მოკავშირეთა არმიებმა გაათავისუფლეს გერმანია ნაციზმის ტირანიისაგან, ახლა თქვენ უნდა გაათავისუფლოთ მსოფლიო შურისძიების საშინელებისაგან!..

**1946 წლის ორ თებერვალს** რომის **პაპიც** გამოვიდა **„კოლექტიური დასჯის“** წინააღმდეგ, ღმერთია მათი გამკითხავიო.

მართალია, ეს **„საბუთი“** არც მითებს ეხამება და არც ისტორიას, მაგრამ დანაშაულებრივ ორგანიზაციათა დამცველებმა მაინც სცადეს მისი მოშველიება. ბრალდებულები კი არც ისე დიდ იმედებს ამყარებდნენ მათ მჭევრმეტყველებაზე. ან რა **„იმედებზე“** შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა ციხეში ასეთი არასაიმედო ცნობები მოდიოდა: ამერიკელებმა **73 ესესელი** გაასამართლეს, რომელთაგანაც **43-ს** სიკვდილი მიუსაჯესო. ისინი თავისებურ კომენტა-

•

ტრიბუნალის დარბაზში სრულიად ბუნებრივად გაისმა **რუდენკოს** სიტყვები:

— ბატონო თავმჯდომარე, ბატონებო!

ჩემი სიტყვით მთავრდება ბრალმდებელთა გამოსვლა.

გამოვდივარ რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა სახელით, მე დამტკიცებულად მიმაჩნია ყველა ბრალდება, რაც ბრალდებულების მიმართ იყო წარდგენილი, ამიტომ, მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის სახელით, რომელთაც უდიდესი მსხვერპლი გაიღეს მშვიდობის, თავისუფლებისა და კულტურის გადასარჩენად, მილიონობით დაღუპული უდანაშაულო ადამიანების ხსოვნის სახელით... მომავალ თაობათა ბედნიერებისა და მშვიდობიანი შრომის სახელით — მე მოვუწოდებ სასამართლოს, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ყველა ბრალდებულს გამოუტანოს სასჯელის უმაღლესი ზომა — **სიკვდილით დასჯა...**

ასეთ განაჩენს კმაყოფილებით შეხვდება მთელი მოწინავე კაცობრიობა...

ყოველივე ამის შემდეგ ბრალდებულებმა, რა თქმა უნდა, რიალებთ თავში, ალბათ, ამიტომაც უშვებდით ამდენ შეცდომებს...

ამაზე **გერინგი** აყვირდა:

— ჩქარა ნახავთ თქვენს სეირს. მე კი ამას სიამოვნებით ვუყურებ ზეციდან ან სხვა რომელიმე ადგილიდან.

ეს რომ თქვა, ნერვული სიცილი აუტყდა, მერე ისევ განაგრძო:

— სხვისი ტერიტორიების დაპყრობა ახლა იქცა დანაშაულად?! **მექსიკა? კალიფორნია?!** ყველა საუკუნეში ასე ხდებოდა. იარაღი იცვლება და არა ადამიანის ბუნება... იმის დასადასტურებლად, რომ ვიარაღდებოდით, რად გინდოდათ ამდენი ფილმების ჩვენება და დოკუმენტების კითხვა. რა თქმა უნდა, ვიარაღდებოდით. მე მხოლოდ იმას ვნანობ, რომ უკეთ არ შევიარაღდით. ცხადია, მე მინდოდა დიდი გერმანია. ეს რომ მშვიდობიანად მომხდარიყო, კარგი იქნებოდა, არადა, რაც მოხდა, ისიც მშვენიერი იყო. მაშინ ბევრი პარტია არსებობდა. მე ვარჩიე ნაციონალ-სოციალისტური, რადგან **ჰიტლერმა** გამოაცხადა, ჯანდაბას ვერსალიო...

**ფრანკმა შარპანტიე დე რიბს** ირონიულად **აპოლონი** უწოდა და ეს **ბისმარკის** სიტყვებით განმარტა:

— **აპოლონი** ნამდვილი **ფრანგის** ტიპია, იგი ვერ აიტანს, ფლეიტაზე მასზე უკეთ რომ სხვა უკრავდეს...

ცხადია, ყველა მიხვდა, რაც იგულისხმებოდა ამ **„ფლეიტაში“.**

— ინგლისელს ვერავინ ვერ დაარწმუნებს, რომ ის მართალი არ არის, — ჩაერია საუბარში **შტრაიხერი.** მერე ამერიკელებს მოდგნენ, მაგრამ **ჯილბერტის** მოერიდათ და გაჩუმდნენ...

... ასეთი საუბარი **„ლენჩრუმსა“** და ციხის საკანში ჰქონდათ, თორემ ტრიბუნალის დარბაზში უფრო აწონილ-დაწონილ გამოთქმებს ირჩევდნენ. საბოლოო სიტყვებშიც უფრო ისტორიას მიმართავდნენ, ვიდრე სამსჯავროს. აქაოდა, თვითონ ისტორიაა ჩვენი უმაღლესი მსაჯულიო. ყველა იმას ცდილობდა, როგორმე შეელამაზებინა საკუთარი სახე ისტორიის წინაშე. **შტამერმაც,** ალბათ, ამიტომ თქვა:

— **გერინგი** იცავს არა თავის თავს, არამედ თავის სახეს...

ბრალდებულებმაც ასეთი რამ






### ბრალმდებელმა დოდმა ასე დაახასიათა ნაციონალ-სოციალისტური გერმანია:

— ეს იყო საშინელი ურჩხული, რომლის **თავია მთავრობა, ტანი — ნაცისტური პარტია, მკლავები — ესესი (SS)** და **ესა (SA)**, ხოლო, როცა ეს ურჩხული დაიძრა საომრად, არმია იქცა მის ფეხებად!

თქვეს თავიანთ საბოლოო სიტყვებში:

**გერინგი:** მე ვგმობ ამ საშინელ მასობრივ მკვლელობებს. პირადად მე არავის მოკვლაზე ბრძანება არ გამიცია და, როგორც შემეძლო, წინააღმდეგობასაც ვუწევდი ამას. გერმანელმა ხალხმა თავისი ბედი თვითონ მიანდო **ფიურერს** და სხვას, ასეთ შემთხვევაში, არ შეეძლო გავლენის მოხდენა საქმეთა ვითარებაზე. ხალხმა არ იცოდა ის მძიმე დანაშაულობანი, რაც ჩადენილ იქნა და რაც ახლა გამოირკვა. იგი ერთგულად აწარმოებდა თავის სამკვდრო-სასიცოცხლო ომს და მას ბრალი არ მიუძღვის. მე ომი არ მინდოდა და არც გამომიწვევია, მაგრამ, რაკი დაიწყო, ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ გამარჯვებით დაგვეგვირგვინებინა ის. რაკი სამი დიდი და სხვა სახელმწიფოები გაერთიანდნენ ჩვენს წინააღმდეგ, იძულებული გავხდით, დავმორჩილებოდით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს. ახლა მე ვდგავარ იმის პირისპირ, რაც გამიკეთებია და გადაჭრით უარვყოფ ბრალდებას, თითქოს სხვა ხალხების დამონება მინდოდა. ჩემი ერთადერთი მამოძრავებელი ძალა იყო ჩემი ხალხის სიყვარული, მისი ბედი, თავისუფლება და სიცოცხლე. ამის მოწმედ მოვუხმე მე ყოვლისშემძლესა და გერმანელ ხალხს...

...ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, ბრალდებულთა საბოლოო სიტყვის რეგლამენტი 20 წუთით იყო განსაზღვრული. მიუხედავად **ლოურენსის** არაერთგზის გაფრთხილებისა, **ჰესმა** ყურადღება არ მიაქცია ამას, ითხოვა, ნება მომეცით, ფეხზე არ ავდგეო და იმდენი ილაპარაკა, რამდენიც უნდოდა. ერთხელ **გერინგმაც** შენიშნა, საქმეზე ილაპარაკეო, მაგრამ **ჰესმა** უყვირა:

— თავი დამანებე!..

მერე უცებ წამოხტა, ჯერ განმკლავი გააკეთა, მერე — ზემკლავი, ისევ დაჯდა და განაგრძო რაღაც აბნეულ-დაბნეული და უმისამართო ლაპარაკი.

— თვითონ ბრალდებულების მიერ აქ ბევრი უსირცხვილო სიტყვა ითქვა ჩვენი **ფიურერის** შესახებ. **მილჰმა** განაცხადა, უკანასკნელ თვეებში, მგონი, შეშლილი იყოო. ეს სხვებმაც გაიმეორეს. ნორმალურ ადამიანს, მართლაც, არ შეეძლო ამგვარი ბრძანებების გაცემა...

ამასობაში თვითონაც აურია და, რას ლაპარაკობდა, კაციშვილი ვერ გაიგებდა:

— თვალები... თვალები... შიში თვალების წინაშე... ვიღაცების ჩამქრალი თვალები, — **„ბოდავდა“** იგი.

მერე ინგლისურ საკონცენტრაციო ბანაკებს გადასწვდა. იქ, სადაც **26 370 ადამიანი დაიღუპა,** ახლა ძეგლია აღმართულიო.

— **ლოიდ ჯორჯიც** კი აცხადებდა ამაზე პროტესტს, — თქვა მან, — მაგრამ ინგლისელები მაშინ ისეთივე ამოცანების წინაშე იდგნენ **სამხრეთ აფრიკაში,** როგორც ახლა ჩვენ **გერმანიაში...**

ეს ფრაზა მან, რატომღაც, სამჯერ გაიმეორა. მერე ისევ წამოხტა და **ფიცის** სიტყვები წარმოთქვა:

— ვფიცავ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთს, რომ ვიტყვი ყველაფერს მართალს, არაფერს არ დავფარავ და არც არაფერს მივუმატებ.

შემდეგ ისევ დაჯდა და განაგრძო:

— მე ვთხოვ ტრიბუნალს, რასაც ამის შემდეგ ვიტყვი, მიიღოს, როგორც ფიცდადებული ადამიანის ჩვენება. ამასთან, შემიძლია დავუმატო, რომ მე არა ვარ ეკლესიის ადამიანი. არც არავითარი შინაგანი ურთიერთობა მაქვს ეკლესიასთან, მაგრამ, ამის მიუხედავად, ღრმად რელიგიური პიროვნება გახლავართ. დარწმუნებულიც ვარ, რომ ჩემი ურთიერთობა ღმერთთან უფრო ძლიერია, ვიდრე სხვებისა...

**ლოურენსმა** ისევ შეახსენა **ჰესს,** რომ რეგლამენტი ამოიწურა. **ჰესმა** არც ამას მიაქცია ყურადღება, მხოლოდ ისა თქვა, მე ერთადერთი ვარ ბრალდებულთა შორის, რომელმაც პირველად ამოვიღე ხმაო და რაღაც სისულელეები ილაპარაკა **სიონის ბრძენების** შესახებ, საიდუმლო საშუალებებზე, რითაც ადამიანებს ალაპარაკებენ იმას, რაც სურთ და სხვა ასეთი. ბოლოს გამოაცხადა, რომ იგი თავისი ფიურერის ერთგული რჩება.

— მე რომ თავიდან მომიხდეს, დავუბრუნდე იმას, რითაც დავიწყე, ისევ იმასვე გავაკეთებდი, რაც გავაკეთე, იმ შემთხვევაშიც, თუკი ბოლოს კოცონს დაანთებდნენ და დამწვავდნენ, — თქვა მან, — დამოუკიდებლად იმისაგან, რასაც სჩადიან ადამიანები, ახლა მე ვდგავარ უზენაესის სამსჯავროზე. მხოლოდ მის წინაშე ვარ მე პასუხისმგებელი და ვიცი, რომ იგი გამამართლებს...

... მე პასუხს მაგებინებენ საგარეო პოლიტიკაზე, რასაც სხვები წარმართავდნენ, — თქვა **რიბენტროპმა.** მერე ისევ ძველ ამბებს დაუბრუნდა. მთელი ამ უბედურების მიზეზი ვერსალიაო. მე ომი არ მინდოდაო და სხვა ასეთი. ბოლოს კი:

— ერთადერთი დანაშაული, რაც მე მიმიძღვის, ის არის, რომ ჩემი საგარეო გეგმები განუხორციელებელი დარჩა...

...**კაიტელმა** თქვა, რომ იგი სიკვდილს არჩევდა დანაშაულობათა ისეთივე ბადეში ხელმეორედ გაბმას.

**კალტენბრუნერმა** განაცხადა:

— მე მწამდა **ჰიტლერის,** მაგრამ მივხვდი, რომ ვტყუვდებოდი. ახლა გავიგე, რომ **ჰიტლერის ანტისემიტიზმი ბარბაროსობა იყო.** მე მის ბრძანებებს ვასრულებდი და, თუ რამეში ვცდებოდი, ესეც ჩემი ბედისწერა ყოფილა.

**ფრანკი** ისევ **„მთავარ ბრალდებულს“ ჰიტლერს** დაესხა თავს. იგი ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ თავის ხალხსა და კაცობრიობას არ უთხრა **„უკანასკნელი სიტყვა“** და სხვ.

— ახლა ჩვენ უნდა მოვუწოდოთ გერმანელ ხალხს: არცერთი ნაბიჯი იქით, საითკენაც თქვენ მიჰყავდით **ადოლფ ჰიტლერს, რადგან ეს იყო ღმერთისა და ქრისტეს საწინააღმდეგო გზა.**

ეს იმიტომ განაცხადა, რომ მერე ეთქვა: **„მე არ შემიძლია, ჩემს თავზე ავიღო პასუხისმგებლობა, რაც ჰიტლერს ეკისრებაო“.**

**ფრიკმა** ყველაზე მოკლედ მოჭრა: მე ვემსახურებოდი ჩემს ხალხს, ვასრულებდი ჩემს მოვალეობას და არავითარი მორალური დანაშაული არ მიმიძღვისო.

**შტრაიხერმა, ცხადია, ისევ ებრაელებს შეუტია,** მაგრამ უარყო ბრალდება მათი გაჟლეტის მოთხოვნის შესახებ. აქ ჩემი თვალსაზრისი განსხვავდება **ჰიტლერისაგანო.**

— მე პროცესის დასაწყისში ვთქვი, რომ დამნაშავე არა ვარ. ახლა ეს დადასტურდა. ებრაელების დახოცვის ბრძანებას იძლეოდა **ჰიტლერი,** ასრულებდა **ჰიმლერი...**

**ფუნკი** ისევ თავს ისაწყლებდა:

— მე პატარა კაცი ვიყავი და ასეთი ბოროტების ჩადენა როგორ შემეძლო. ადამიანის ცხოვრება შედგება შეცდომებისა და დანაშაულისაგან. მეც ვცდებოდი, გულუბრყვილო ვიყავი, ადვილად მჯეროდა სხვისი და მოვტყუვდი...

**შახტმაც** განაცხადა, პოლიტიკური შეცდომები მეც მქონდა, მაგრამ დანაშაულებრივი არაფერი ჩამიდენიაო.

**დენიცმა, რედერმა** და **იოდლმა** თქვეს, ჯარისკაცები ვიყავით და ბრძანებებს ვასრულებდითო.

**შირახმა,** საერთოდ, ბევრი რამ დაგმო, მაგრამ საკუთარი დანაშაულის ბოლომდე აღიარება მაინც გაუჭირდა და მხოლოდ მოწოდებებით დაკმაყოფილდა.

**ზაუკელმა** სულ ის იძახა, მე მუშა კაცი ვარ და არავის დამონება არ მინდაო.

— ახლა შეძრწუნებული ვარ... მე ათი შვილი მყავს... ღმერთო, დაიფარე ისინი და ჩემი ხალხი! — წამოიძახა მან.

**პაპენმაც,** რა თქმა უნდა, თავი იმართლა: ბოროტების ძალა უფრო ძლიერი აღმოჩნდა გერმანიაში, ვიდრე სიკეთისა და ამან მიიყვანა იგი კატასტროფამდეო.

**ზეის-ინკვარტმა** საჭიროდ ჩათვალა, ეთქვა:

— **ჰიტლერი** ყველა საგნის საზომს თავის თავში ხედავდა. მან შეძლო, დიდი გერმანიის იდეა სინამდვილედ ექცია, მე იმ კაცს ვემსახურებოდი, ახლა კი არ შემიძლია, ჯვარს ვაცვა იგი, ვისაც ჯერ კიდევ გუშინ ხოტბას ვასხამდი...

**შპეერმა** თქვა, ამ პროცესის შემდეგ გერმანელი ხალხი დასწყევლის **ჰიტლერსო.** იგი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაემიჯნა ჩადენილ საშინელ დანაშაულებს და ისეთი **„საპროგრამო სიტყვა“** წარმოთქვა, გეგონებოდათ, ქვეყნის ბედს ისევ მას ანდობენო...

**ნოირატმა** განაცხადა, დამნაშავე არა ვარ, მაგრამ, თუ ინებებთ, სასჯელი დამადოთ, მივიღებ, როგორც ჩემს უკანასკნელ მსხვერპლს გერმანელი ხალხისთვისო.

**ფრიჩემ** აღიარა, დიდი დანაშაულია ჩადენილი, მაგრამ მე არაფერ შუაში ვაროო...

დასასრულ, **ლოურენსმა** მადლობა გადაუხადა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს და გამოაცხადა, რომ ტრიბუნალი **23 სექტემბრამდე** წყვეტს საჯარო სხდომებს და მიდის განაჩენის გამოსატანად. ეს კი ფაქტიურად პირველ ოქტომბერს მოხდა. მანამდე კი ჟურნალისტები შეიკრიბნენ და ფარული კენჭისყრით თავიანთი განაჩენი გამოუტანეს ბრალდებულთ, უნდა ითქვას, რომ არც ისე განსხვავებული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ნამდვილი განაჩენისაგან. ამაზე ბევრი ლაპარაკი იყო მაშინ. ზოგი ამბობდა, ეს უტაქტობააო, ზოგიც — საზოგადოებრივი აზრის ჭეშმარიტი გამოხატულებააო. ასეა თუ ისე, ჟურნალისტებმა სიკვდილით დასჯა ერთხმად მიუსაჯეს **გერინგს, რიბენტროპს, კალტენბრუნერს** და **კაიტელს; ზაუკელს — 29; ფრანკს — 27; როზენბერგს — 24; ჰესს — 17; შტრაიხერს და დენიცს — 14; რედერს — 15; იოდლს — 14.** ამასთან დაკავშირებით **იოდლის ცოლმა მისწერა ქმარს, შენ უკეთ გამოიყურები, ვიდრე რედერიო...**



იბეჭდება შემოკლებით. ტ. III „ნემეზიდას მახვილი“

# დღე


გერინგი, რიბენტროპი, კალტენბრუნერი, კაიტელი

**ლოურენსმა** მადლობა გადაუხადა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს და გამოაცხადა, რომ ტრიბუნალი **23 სექტემბრამდე** წყვეტს საჯარო სხდომებს და მიდის განაჩენის გამოსატანად. ეს კი ფაქტიურად პირველ ოქტომბერს მოხდა. მანამდე კი ჟურნალისტები შეიკრიბნენ და ფარული კენჭისყრით თავიანთი განაჩენი გამოუტანეს ბრალდებულთ, უნდა ითქვას, რომ არც ისე განსხვავებული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ნამდვილი განაჩენისაგან. ამაზე ბევრი ლაპარაკი იყო მაშინ. ზოგი ამბობდა, ეს უტაქტობააო, ზოგიც — საზოგადოებრივი აზრის ჭეშმარიტი გამოხატულებააო. ასეა თუ ისე, ჟურნალისტებმა სიკვდილით დასჯა ერთხმად მიუსაჯეს **გერინგს, რიბენტროპს, კალტენბრუნერს** და **კაიტელს; ზაუკელს — 29; ფრანკს — 27; როზენბერგს — 24; ჰესს — 17; შტრაიხერს და დენიცს — 14; რედერს — 15; იოდლს — 14.** ამასთან დაკავშირებით **იოდლის ცოლმა მისწერა ქმარს, შენ უკეთ გამოიყურები, ვიდრე რედერიო...**


ზაუკელი, ფრანკი, როზენბერგი, ჰესი


შტრაიხერი, დენიცი, რედერი, იოდლი

## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 1 მარტი, 1950 წ. № 46 (8606). ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ.

ეს დადგენილება ჩვენი სამშობლოს ურყევი ძლიერების, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მზრუნველობის ახალი ბრწყინვალე გამოხატულებაა.

დიდება და დღეგრძელობა ჩვენი ხალხის ბედნიერი და საამური ცხოვრების შემოქმედს ამხანაგ სტალინს!

★ 75 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ

# ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲪᲐᲚᲝ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

1949 წელს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში ახალ წარმატებებთან, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შესაძლებლად მიიჩნიეს 1950 წლის 1 მარტიდან განხორციელდეს მასობრივი მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი—სათვალავით მესამე—შემცირება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლიან, რომ სახელმწიფო ვაჭრობაში ფასების ახალი შემცირების შედეგად მოსახლეობა ერთ წელიწადში მოიგებს სულ მცირე 80 მილიარდ მანეთს.

გარდა ამისა, იმის გამო, რომ სახელმწიფო ვაჭრობაში ფასების შემცირების გავლენით ფასების დაახლოებით ასეთივე შემცირება მოხდება საკოლმეურნეო ბაზარზე და კოოპერაციულ ვაჭრობაში, მოსახლეობა მიიღებს სულ მცირე 30 მილიარდ მანეთ დამატებით მოგებას.

მაშასადამე, ფასების ახალი შემცირებით მოსახლეობის საერთო მოგება იქნება სულ მცირე 110 მილიარდი მანეთი.

უეჭველია, რომ ფასების ახალი შემცირების შედეგად:

1) კვლავ მნიშვნელოვნად გადიდდება მანეთის მყიდველობითი ძალა;

2) საბჭოთა მანეთის კურსი უფრო გაუმჯობესდება უცხოეთის ვალუტების კურსთან შედარებით;

3) მოხდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის შემდგომი სერიოზული გადიდება;

4) სერიოზულად გაუმჯობესდება პენსიონერებისა და სტიპენდიატების მდგომარეობა, რამდენადაც ფასების შემცირების დროს უცვლელი დარჩება პენსიებისა და სტიპენდიების ოდენობა;

5) მოხდება გლეხთა შემოსავლის შემდგომი სერიოზული გადიდება გაიაფებული სამრეწველო საქონლის ყიდვაზე გლეხთა ხარჯის მნიშვნელოვანი შემცირების გამო და იმის მეოხებით, რომ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო ფასები უცვლელი რჩება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. 1950 წლის 1 მარტიდან სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები შემცირდეს შემდეგი ოდენობით:

### ᲞᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲚᲙᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘ

| | |
|---|---|
| ფორმაში გამომცხვარი ჭვავის პური და ჭვავისა და ხორბლის გაწმენდილი ფქვილის სხვა ხარისხის პური | 25,9 პროცენტით |
| ხორბლის პური ხარისხოვანი ფქვილისა | 30,0 პროცენტით |
| ბულკი, კვერი, ბლითი, ორცხობილი და ბულკის სხვა ნაწარმი ხორბლის ხარისხოვანი ფქვილისა | 30,0 პროცენტით |
| საფუარი | 20,0 პროცენტით |

### ᲤᲥᲕᲘᲚᲘ

| | |
|---|---|
| ხორბლის გაწმენდილი და ჭვავის გაწმენდილი ფქვილი | 25,0 პროცენტით |
| პირველი და უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილი | 30,0 პროცენტით |
| ხორბლის მსხვილნაფქვავი ფქვილი | 21,0 პროცენტით |
| ხორბლის სხვა ხარისხის ფქვილი, აგრეთვე სიმინდის, ქერის და სხვა ფქვილი | 25,0 პროცენტით |

### ᲑᲣᲠᲦᲣᲚᲘ, ᲑᲠᲘᲜᲯᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲙᲝᲡᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘ

| | |
|---|---|
| ფეტვი | 14,8 პროცენტით |
| ბურღული უგრეხელისა, სხვა ბურღული, მუხუდო და პარკოსანი კულტურები | 20,0 პროცენტით |
| ბრინჯი | 12,0 პროცენტით |

### ᲛᲐᲙᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘ

| | |
|---|---|
| მაკარონის ნაწარმი | 25,0 პროცენტით |
| ვერმიშელი | 25,0 პროცენტით |

### ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲢᲔᲑᲘ

| | |
|---|---|
| მუხუდოს სუპ-პიურე და ფეტვის ფაფა ცხიმით | 15,2 პროცენტით |
| საბავშვო ფქვილი | 14,5 პროცენტით |
| კარტოფილის სახამებელი | 14,6 პროცენტით |
| ქუმელი, ჰერკულესი, დაღერღილი სიმინდი, საგო, საკისელე ფხვნილი, დანარჩენი საკვები კონცენტრატები | 15,0 პროცენტით |

### ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲣᲠᲐᲟᲘ

| | |
|---|---|
| ჭვავი, ხორბალი, ქერი და სხვა სახის მარცვლეული | 20,0 პროცენტით |
| შვრია | 22,7 პროცენტით |
| ქატო | 22,0 პროცენტით |
| კომბინირებული საკვები | 25,0 პროცენტით |
| ბამბის კოპტონი | 25,0 პროცენტით |
| დანარჩენი ხარისხის კოპტონი და შროტი | 22,0 პროცენტით |
| თ ი ვ ა | 25,0 პროცენტით |

### ᲮᲝᲠᲪᲘ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ

| | |
|---|---|
| ძროხის ხორცი საშუალო სიმსუქნისა და მსუქანი | 24,0 პროცენტით |
| ძროხის ხორცი საშუალოზე ნაკლები სიმსუქნისა | 30,0 პროცენტით |
| ცხვრის ხორცი საშუალო სიმსუქნისა და მსუქანი | 28,0 პროცენტით |
| ცხვრის ხორცი საშუალოზე ნაკლები სიმსუქნისა | 35,0 პროცენტით |
| ღორის ხორცი | 24,0 პროცენტით |
| ფრინველი | 24,0 პროცენტით |
| კურდღლის ხორცი | 30,0 პროცენტით |
| სხვა ხორცი საშუალო სიმსუქნისა და მსუქანი | 24,0 პროცენტით |
| სხვა ხორცი საშუალოზე ნაკლები სიმსუქნისა | 30,0 პროცენტით |
| თავ-ფეხი, ღვიძლი და სხვა სუბპროდუქტები | 24,0 პროცენტით |
| ძეხვი | 24,0 პროცენტით |
| სოსისი და სარდელი | 30,0 პროცენტით |
| ლორი | 27,0 პროცენტით |
| კატლეტი მოსკოვური | 35,0 პროცენტით |
| კულინარიის დანარჩენი ნაწარმი | 25,0 პროცენტით |
| ხორცისა და ხორც-მცენარეულის კონსერვი | 25,0 პროცენტით |

### ᲗᲔᲕᲖᲔᲣᲚᲘ

| | |
|---|---|
| ფარგა გაციებული და გაყინული | 10,2 პროცენტით |
| ზუთხი | 10,0 პროცენტით |
| შორეული აღმოსავლეთის ორაგული, ნავაგა და სკუმბრია | 30,0 პროცენტით |
| ჩრდილოეთის ნავაგა | 25,0 პროცენტით |
| გოჯა და ორაგული დამარილებული | 20,0 პროცენტით |
| ორაგულის, სიგისა და ზუთხის ზურგიელი | 30,0 პროცენტით |
| წყნარი ოკეანის ქაშაყი | 30,0 პროცენტით |
| კასპიის, ოლიუტორის, ჟუპანოვის და სხვა ქაშაყი | 10,1 პროცენტით |
| თევზის სუკი | 25,0 პროცენტით |
| ნაფოტას შაშხი | 10,0 პროცენტით |
| ლორჯოს შაშხი | 30,0 პროცენტით |
| ქაშიყი დამარილებული | 12,5 პროცენტით |
| ქაშიყის შაშხი და წვრილი ქაშიყი | 25,0 პროცენტით |
| დანარჩენი თევზი | 10,0 პროცენტით |
| შავი ხიზილალა | 30,0 პროცენტით |
| წითელი ხიზილალა | 25,0 პროცენტით |
| ზეთიანი კონსერვი | 25,0 პროცენტით |
| ორაგულის კონსერვი საკუთარ წვენში, ვირთევზას და ლოქას ღვიძლი, ვირთევზა და კამბალა ზეთში | 35,0 პროცენტით |
| თევზის სხვა კონსერვი | 30,0 პროცენტით |

### ᲪᲮᲘᲛᲔᲣᲚᲘ, ᲧᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ

| | |
|---|---|
| ერბო-კარაქი | 30,0 პროცენტით |
| ყველი საბჭოთა, შვეიცარიული, ჰოლანდიური, ნადნობი და სხვა ყველი | 20,0 პროცენტით |
| ადგილობრივი ყველი და ბრინზა | 15,0 პროცენტით |
| რძე მოუხდელი, ნაღები, მაწონი და კეფირი | 10,0 პროცენტით |
| არაჟანი, ხაჭო და რძის სხვა პროდუქცია | 20,0 პროცენტით |
| რძის კონსერვი, რძის ფხვნილი | 15,0 პროცენტით |
| ნაყინი | 20,0 პროცენტით |
| საჭმელი ზეთი | 10,0 პროცენტით |
| მარგარინი | 35,0 პროცენტით |
| საჭმელი ქონი გადადნობილი და გადაუდნობელი | 18,0 პროცენტით |
| ვიტამინიზებული სამედიცინო ცხიმი | 25,0 პროცენტით |
| სოუსი, მაიონეზი და სხვ. | 20,0 პროცენტით |

### ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘ ᲓᲐ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡ ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ

| | |
|---|---|
| კვერცხი | 15,0 პროცენტით |
| კვერცხის ფხვნილი | 20,0 პროცენტით |

### ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲡᲐᲙᲝᲜᲓᲘᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲥᲐᲚᲔᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ

| | |
|---|---|
| შაქარი ფხვნილი | 15,0 პროცენტით |
| შაქარი რაფინადი | 12,0 პროცენტით |
| მონპასიე შაქარყინულისა და შეუხვეველი კარამელი | 8,0 პროცენტით |
| შეხვეული კარამელი, რომელშიც არ არის კაკაოს პროდუქტები | 11,0 პროცენტით |
| რბილი კანფეტი, შოკოლადი, მარმელადი, ნამცხვარი და თაფლის კვერი | 20,0 პროცენტით |
| კაკაო, შაქარლამა და ტორტი | 16,7 პროცენტით |
| სხვა საკონდიტრო საქონელი (ვაფლი, კექსი, რულეტი, აღმოსავლური ტკბილეული, დიეტური, სამკურნალო და სხვა) | 18,0 პროცენტით |
| მურაბა, ჯემი, თათარა და ჟელე | 25,0 პროცენტით |
| ვიტამინები | 20,0 პროცენტით |
| მარილი დაფქული და გამოხარშული | 40,0 პროცენტით |
| მარილი დაუფქვავი | 50,0 პროცენტით |
| ჩაი ნატურალური | 10,0 პროცენტით |
| ჩაის, ყავისა და კაკაოს სასმელები | 18,0 პროცენტით |

### ᲐᲠᲐᲧᲘ, ᲚᲘᲥᲘᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲦᲕᲘᲜᲝ

| | |
|---|---|
| არაყი | 16,7 პროცენტით |
| ლიქიორი | 25,0 პროცენტით |
| ნაყენი და კრემი ტკბილი | 18,0 პროცენტით |
| ნაყენი მწარე | 20,0 პროცენტით |
| კონიაკი | 25,0 პროცენტით |
| სუფრის ღვინო | 35,0 პროცენტით |
| მაგარი და სადესერტო ღვინო საშუალოდ | 49,0 პროცენტით |
| საბჭოთა შამპანური | 16,2 პროცენტით |
| ციმლიანსკური შამპანური | 30,0 პროცენტით |
| ხილ-კენკრის ღვინო | 20,0 პროცენტით |

### ᲚᲣᲓᲘ, ᲮᲘᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲠᲐᲮᲘ

| | |
|---|---|
| ლუდი | 30,0 პროცენტით |
| ნატურალურ წვენსა და სიროპზე დაყენებული სასმელები | 16,0 პროცენტით |
| გურახი პურისა | 22,0 პროცენტით |
| სხვა სასმელები | 20,0 პროცენტით |
| სოდა სასმელი | 21,0 პროცენტით |

### Ხ Ი Ლ Ი

| | |
|---|---|
| ვაშლი და მსხალი | 20,0 პროცენტით |
| ყურძენი | 25,0 პროცენტით |
| მანდარინი და ფორთოხალი | 15,0 პროცენტით |
| ჩირი და კაკალი | 20,0 პროცენტით |
| ხილის კონსერვი და წვენი | 30,0 პროცენტით |
| გაყინული ატამი, ჰერამი, ქლიავი, შავი მოცხარი და სხვა დაშაქრული | 20,0 პროცენტით |
| სხვა ხილი და კენკრა გაყინული უშაქროდ | 30,0 პროცენტით |

### ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ

| | |
|---|---|
| კარტოფილი | 10,0 პროცენტით |
| კომბოსტო | 14,7 პროცენტით |
| სტაფილო | 14,7 პროცენტით |
| ჭარხალი | 10,0 პროცენტით |
| ცერცველა მწვანე | 32,0 პროცენტით |
| სხვა ბოსტნეული | 10,0 პროცენტით |
| კომბოსტო დამჟავებული | 16,7 პროცენტით |
| სხვა წნილი და დამჟავებული ბოსტნეული | 15,0 პროცენტით |
| კარტოფილი გამხმარი | 11,1 პროცენტით |
| კომბოსტო გამხმარი | 20,8 პროცენტით |
| სხვა გამხმარი ბოსტნეული | 13,0 პროცენტით |
| წვენი ტომატისა დაკონსერვებული | 32,0 პროცენტით |
| ბადრიჯნის კონსერვი, კიტრის წნილი და სხვა ბოსტნეულის კონსერვი | 20,0 პროცენტით |
| ცერცველა მწვანე, გაყინული | 35,7 პროცენტით |
| სხვა გაყინული ბოსტნეული | 30,0 პროცენტით |

### ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘ

| | |
|---|---|
| ბამბის ქსოვილი | 15,0 პროცენტით |
| წმინდა შალისა და შალნარევი კამვოლური ქსოვილი | 12,0 პროცენტით |
| წმინდა შალის თხელი მაუდის ქსოვილი | 12,0 პროცენტით |
| შალნარევი თხელი მაუდის ქსოვილი | 22,0 პროცენტით |
| უხეში მაუდის შალის ქსოვილი | 24,0 პროცენტით |
| აბრეშუმნარევი ქსოვილი და ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილი | 12,0 პროცენტით |
| სელის ქსოვილი | 15,0 პროცენტით |

### ᲛᲖᲐ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ, ᲢᲠᲘᲙᲝᲢᲐᲟᲘ, ᲥᲣᲓᲔᲑᲘ

| | |
|---|---|
| პალტო, კოსტიუმი, კაბა და სხვა შეკერილი ნაწარმი შალისა: | |
| კამვოლური და შალის წმინდა მაუდისა | 10,0 პროცენტით |
| შალნარევი წმინდა მაუდისა | 20,0 პროცენტით |
| მქისე შალისა | 22,0 პროცენტით |
| კაბა, ზედატანი, თეთრეული და სხვა შეკერილი ნაწარმი აბრეშუმნარევი ქსოვილისა და ხელოვნური აბრეშუმისა | 10,0 პროცენტით |
| პალტო, კოსტიუმი, კაბა, თეთრეული და სხვა შეკერილი ნაწარმი ბამბის ქსოვილისა | 13,0 პროცენტით |
| კაბა, ზედატანი, თეთრეული და სხვა შეკერილი ნაწარმი სელის ქსოვილისა | 14,0 პროცენტით |
| ბამბეულის, აბრეშუმნარევი და ვისკოზის ტრიკოტაჟის ნაწარმი | 10,0 პროცენტით |
| ტრიკოტაჟის ხელთათმანი, ვისკოზის საზაფხულო ხელთათმანი გლუვი ტილოსი | 30,0 პროცენტით |
| წინდა კაპრონის ბოჭკოსი | 25,0 პროცენტით |
| წინდა ბამბეულის, აბრეშუმისა და მატყლისა | 15,0 პროცენტით |
| კეპი და სხვა ქუდები ქსოვილისა | 25,0 პროცენტით |
| მამაკაცის კეპი წმინდა შალისა | 35,0 პროცენტით |
| ქალის ქუდი, ბერეტი, სარქმელი ფეტრისა, თივთიკისა და მატყლისა | 10,0 პროცენტით |
| ბეწვის საყელო და ქუდი | 10,0 პროცენტით |
| საბანი შალისა | 20,0 პროცენტით |
| ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა 1 ხარისხის ატელიეში | 10,0 პროცენტით |
| ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა მე-2 ხარისხის ატელიეში და სახელოსნოებში | 15,0 პროცენტით |

### ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ

| | |
|---|---|
| ფეხსაცმელი ტყავისა | 15,0 პროცენტით |
| ფეხსაცმელი ქსოვილისა და კომბინირებული | 20,0 პროცენტით |
| მოგვის უყელო წაღა და ფეხსაცმელი მამაკაცისა და ქალისა | 25,0 პროცენტით |
| რეზინის ფეხსაცმელი ბავშვისა | 15,0 პროცენტით |
| რეზინის ფეხსაცმელი მამაკაცისა და ქალისა | 10,0 პროცენტით |
| ფეხსაცმელი თექისა | 25,0 პროცენტით |

### ᲡᲐᲒᲐᲚᲐᲜᲢᲔᲠᲘᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲣᲕᲔᲚᲘᲠᲝ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘ

| | |
|---|---|
| ბამბის, შალის, ხელოვნური აბრეშუმისა და აბრეშუმნარევი ქსოვილის გალანტერია | 20,0 პროცენტით |
| ტყავეულისა და ტყავშემცვლელის გალანტერია | 20,0 პროცენტით |
| ლითონის გალანტერია | 15,0 პროცენტით |
| ფაბრიკაში დამზადებული ბაბთა, ნაკერავი და მაქმანი | 12,0 პროცენტით |
| ბაბთისა და ფარდა-მაქმანის საცალო ნაწარმი | 30,0 პროცენტით |
| საკერავი ნემსი ხელისა | 20,0 პროცენტით |
| სუნამო, ოდეკოლონი და სასიურპრიზე კოლოფები: „კამელია", „მაგნოლია", „თეთრი ღამე", „თეთრი იასამანი" და „სანობათო" | 15,0 პროცენტით |
| პარფიუმერია-კოსმეტიკის დანარჩენი ნაწარმი | 25,0 პროცენტით |
| ძაფი და ძაფის ნაწარმი | 20,0 პროცენტით |
| ოქროს და ვერცხლის წონითი ნაწარმი | 10,0 პროცენტით |
| საიუველირო ნაწარმი და ლითონის საიუველირო გალანტერია | 15,0 პროცენტით |
| განმასხვავებელი ნიშნები ქსოვილისა | 20,0 პროცენტით |

### ᲙᲣᲚᲢᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲔᲑᲘ

| | |
|---|---|
| რადიომიმღები | 15,0 პროცენტით |
| რეპროდუქტორი, რადიონათურა და დანარჩენი რადიოსაქონელი | 20,0 პროცენტით |
| ფოტოაპარატი და სხვა ფოტოსაქონელი | 20,0 პროცენტით |
| სათეატრო ბინოკლი | 25,0 პროცენტით |
| პატეფონი, მისი სათადარიგო ნაწილები, აკორდეონი და ბაიანი | 25,0 პროცენტით |
| გარმონი | 20,0 პროცენტით |
| პატეფონის ფირფიტა | 16,7 პროცენტით |
| პიანინო | 10,0 პროცენტით |
| საწერი ქაღალდი | 10,0 პროცენტით |
| სასკოლო რვეულები და ქაღალდისა და მუყაოს ნაწარმი | 20,0 პროცენტით |
| საფარგლე | 30,0 პროცენტით |
| საწერი მანქანა და მისი სათადარიგო ნაწილები | 22,0 პროცენტით |
| სასკოლო-საწერი ნივთები და საკანცელარიო საქონელი, გარდა კალმებისა და გრაფიტის ფანქრებისა | 20,0 პროცენტით |
| ავტომატური კალმისტარი | 30,0 პროცენტით |
| სათამაშოები რეზინისა | 10,0 პროცენტით |
| სათამაშოები ცელულოიდისა | 20,0 პროცენტით |

### ᲯᲣᲠᲭᲔᲚᲘ

| | |
|---|---|
| ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი და ფაიფურის მხატვრული ნაწარმი | 20,0 პროცენტით |
| ჩაის ჭიქა და შუშის სხვა ხარისხოვანი და საოჯახო ჭურჭელი | 15,0 პროცენტით |
| ჭურჭელი ალუმინის პირველადი შენადნობებისა | 15,0 პროცენტით |
| ჭურჭელი ალუმინის მეორადი შენადნობებისა | 30,0 პროცენტით |
| ჭურჭელი რკინისა მომინანქრებული და რკინისა მოთუთიებული | 15,0 პროცენტით |
| ჭურჭელი თუჯისა შავი | 15,0 პროცენტით |
| ჭურჭელი თუჯისა მომინანქრებული | 10,0 პროცენტით |
| ჭურჭელი უჟანგავი ფოლადისა და მელქიორისა | 20,0 პროცენტით |
| ჭურჭელი თითბრისა | 15,0 პროცენტით |

### ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ

| | |
|---|---|
| საპონი სარეცხი | 40,0 პროცენტით |
| საპონი ხელისა | 50,0 პროცენტით |
| ნავთი | 10,0 პროცენტით |
| საკერავი მანქანა და მისი სათადარიგო ნაწილები | 20,0 პროცენტით |
| სამოვარი თითბრისა | 20,0 პროცენტით |
| ელექტრონათურები | 11,0 პროცენტით |
| ელექტროუთო | 25,0 პროცენტით |
| ელექტრომტვერსასრუტი | 20,0 პროცენტით |
| დანარჩენი ელექტროსაქონელი | 20,0 პროცენტით |
| ხორცის საკეპი მანქანა, ნავთქურა, კეროგაზი, პრიმუსი და მათი სათადარიგო ნაწილები | 20,0 პროცენტით |
| დანა-ჩანგალი უჟანგავი ფოლადისა | 30,0 პროცენტით |
| დანა-ჩანგალი ნახშირბადიანი ფოლადისა | 12,0 პროცენტით |
| უთო ქურაზე დასადგმელი და ნახშირისა | 20,0 პროცენტით |
| თოკი, ბაწარი და კანაფი | 15,0 პროცენტით |
| სასარაჯე საქონელი | 15,0 პროცენტით |
| ლითონის საწოლი მონიკელებული | 10,0 პროცენტით |
| დანარჩენი საწოლები ლითონისა | 20,0 პროცენტით |
| კლიტე | 25,0 პროცენტით |
| კაუჩული ნაწარმი | 20,0 პროცენტით |
| მუშამბა, დერმატინი, გრანიტოლი, დელერინი და რეზინიანი ქსოვილი | 10,0 პროცენტით |
| ნოხ-ფარდაგი ფაბრიკისა და ხელით ნაქეთები | 20,0 პროცენტით |
| აბაჟური ქსოვილისა და ქაღალდისა | 25,0 პროცენტით |
| გერმა-ბუმბულის ნაწარმი | 15,0 პროცენტით |
| ბამბა | 20,0 პროცენტით |
| პლასტმასის ნაწარმი | 20,0 პროცენტით |

### ᲡᲐᲨᲔᲜᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ

| | |
|---|---|
| ლურსმანი | 20,0 პროცენტით |
| ცემენტი და შიფერი | 20,0 პროცენტით |
| ტოლი, რუბეროიდი და სხვა რბილი სახურავი | 20,0 პროცენტით |
| მინა ფანჯრისა | 20,0 პროცენტით |
| სანდალოზი სპირტისა, ლიპარა და სამხატვრო საღებავები | 20,0 პროცენტით |
| სანდალოზი და დანარჩენი საღებავები | 10,0 პროცენტით |
| შპალერი | 20,0 პროცენტით |

### ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘ, ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲘ, ᲡᲐᲐᲗᲘ, ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘ, ᲐᲡᲐᲜᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ

| | |
|---|---|
| ველოსიპედი და მისი სათადარიგო ნაწილები | 20,0 პროცენტით |
| მოტოციკლი საგზაო იჟ-350 ტიპისა და მისი სათადარიგო ნაწილები | 20,0 პროცენტით |
| დანარჩენი მოტოციკლები და მათი სათადარიგო ნაწილები | 25,0 პროცენტით |
| სანადირო თოფი | 12,0 პროცენტით |
| ველოშინები, ველოკამერები, საფეხბურთო, საკალათბურთო და საფრენბურთო საფარები და კამერები და საჩოგბურთო ბურთები | 10,0 პროცენტით |
| საათი „ხოდიკი" ხის კორპუსით | 11,0 პროცენტით |
| საათი „ხოდიკი" ლითონის კორპუსით | 28,6 პროცენტით |
| საათი მაჯის, ჯიბის და სხვა | 20,0 პროცენტით |
| ბანქო | 20,0 პროცენტით |
| სანთიის ქვა | 40,0 პროცენტით |
| პაპიროსი, სიგარეტი, თამბაქო და წეკო | 20,0 პროცენტით |
| ასანთი | 25,0 პროცენტით |

2. სათანადოდ შემცირდეს ფასები რესტორანებში, სასადილოებში, საჩაიეებში და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებში.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ
Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Გ. ᲛᲐᲚᲔᲜᲙᲝᲕᲘ

1950 წლის 28 თებერვალი.



ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
**„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# „ეს მუხლები ახალგორისა და კოდორის დაკარგვაში დამნაშავე სააკაშვილის რეჟიმის ექვემიტანილებსაც ეხებათ!“



## ნანა კაკაბაძე:

# მივესალმები სამშობლოს ღალატის მუხლის აღდგენას!



***სისხლის სამართლის კოდექსში მრავალწლიანი პაუზის შემდეგ სამშობლოს ღალატის მუხლი აღდგა. რამ განაპირობა ეს ცვლილება, რა შედეგი მოჰყვება და ვინ არის აღნიშნული მუხლით გასამართლების კანდიდატი? გვესაუბრება უფლებადამცველი, ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ლიდერი ნანა კაკაბაძე:***

— კოდექსში ნებისმიერი მუხლის გაჩენა ქვეყანაში შესაბამისი დანაშაულის მოხშირებით არის განპირობებული. რეჟიმის პიკში **მიხეილ სააკაშვილმა** გააუქმა სისხლის სამართლის კოდექსში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი **სამშობლოს ღალატის მუხლი,** რათა მომავალში საკუთარი თავისა და უახლოესი გარემოცვისთვის პასუხისმგებლობა აერიდებინა. სათანადო მუხლის არარსებობის გამო აქამდე ვერ ხერხდებოდა პასუხისმგებლობაში სააკაშვილისა და მისი ხროვის მიცემა, თუმცა, მნიშვნელოვანი დაგვიანებით, მაგრამ მაინც ჩნდება რეალური პირობები, რომ სამართალმა პური ჭამოს.

**— მართალია, 2007 წლის გაზაფხულზე სამშობლოს ღალატის მუხლი გაუქმდა, მაგრამ, ყველა ქმედება, რომელიც სამშობლოს ღალატის ჩამონათვალში შედიოდა, სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით ხომ ისედაც ისჯება? მაგალითად, 308-ე მუხლით ისჯება საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა, 309-ე მუხლით — ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება, 310-ე მუხლით — საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა და ა.შ. ამ მუხლების ფარგლებში მაინც რად ვერ მოხერხდა სააკაშვილის რეჟიმის დამნაშავეთა გასამართლება?**

— გეთანხმებით, მაგრამ თქვენ მიერ ჩამოთვლილი მუხლები კონკრეტულ დანაშაულებს ერგება და თუ **სამშობლოს ღალატის** მტკიცებულება არ იარსებებს, მაგ მუხლების მისადაგებაც ძნელია. **სამშობლოს ღალატი** გაცილებით ფართო შინაარსის, ყოვლისმომცველი მუხლია, რაშიც სახელმწიფოს და სამშობლოს წინაშე ჩადენილი ყველა დანაშაულის გაერთიანება შეიძლება.

**— ცნებები — სამშობლოს ღალატი და სახელმწიფოს ღალატი ერთნაირ შინაარსს ატარებს?**

— სამშობლო გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე სახელმწიფო. შესაბამისად, **სამშობლოს ღალატი** თავისი არსით **სახელმწიფოს ღალატსაც** მოიცავს. ასე, მაგალითად, აგენტურა, რომელიც უკვე 3 თვეა, ქვეყანაში არეულობის მოწყობით, რევოლუციის მცდელობით არის დაკავებული, უცხოეთიდან ფინანსდება საქართველოს და ქართველი ერის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად. ისინი საქართველოს ხელისუფლებას კი არა, ევროპულ სტრუქტურებს ემორჩილებიან და ანგარიშვალდებულნიც არა საქართველოს ხელისუფლების, არამედ უცხოელი პატრონების წინაშე არიან.

**— რით ჰგავს სამშობლოს ღალატის თანამედროვე მუხლი საბჭოთა სამართალში არსებულ ანალოგიურ მუხლს? რით იყო დაზღვეული საბჭოთა წყობასთან დაპირისპირებული მოქალაქე, რომ სამშობლოს ღალატში არ დასდებდნენ ბრალს?**

— იმ პერიოდშიც კი **სამშობლოს ღალატის მუხლი** თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში კვალიფიცირდებოდა როგორც მოცემული რესპუბლიკის ინტერესთა ღალატი. ამ მუხლისგან განსხვავდებოდა **საბჭოთა სახელმწიფოს ღალატის ცნება** — 78-ე მუხლი, რომლის ფარგლებშიც ანტისაბჭოთა პროპაგანდისთვის დისიდენტებს გვისწორდებოდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ **სამშობლოს ღალატის მუხლი** ძირითადად ომიანობის დროს გამოიყენებოდა მტრის მხარეს გადასული მოქალაქეების დასასჯელად და სასიკვდილო განაჩენსაც ითვალისწინებდა. მშვიდობიან დროს ეს მუხლი, ფაქტობრივად, არ გამოიყენებოდა. **თანამედროვე ეპოქაში თითქმის არ არსებობს ქვეყანა, რომლის სამართალშიც ანალოგიური მუხლი ვერ მოიძებნება.** სრულიად კანონზომიერია, რომ საკუთარი სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ სხვა სახელმწიფოს ინტერესების გატარება უნდა ისჯებოდეს მკაცრი სასჯელით. ღალატიც ეს არის!

**— ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ხსნა ევროპაშია. მეორე ნაწილს მოკავშირედ რუსეთი ესახება; ზოგი სულ სხვა მხარეს იმზირება. კანონი რა პრინციპით განსაზღვრავს, თუ საზოგადოების რომელი ნაწილი ღალატობს სამშობლოს?**

— საგარეო ორიენტაცია მხოლოდ ინსტრუმენტია, რათა საკუთარი ქვეყნის ბედნიერი მომავალი განსაზღვრო. ვიღაცისთვის ასეთი ინსტრუმენტი რუსეთია და, სხვისთვის — ევროკავშირი. მაგრამ დანაშაულად არ შეიძლება ჩაეთვალოს, თუ ვინმე ფიქრობს, რომ საქართველოს ხსნის გზა, ვთქვათ, ინდოეთზე გადის! დანაშაული ის იქნება, თუ იგი ეცდება, ინდოეთის ის ინტერესები გაატაროს, რომლებიც საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება.

**— ჩვენი ეროვნული ინტერესები რახანია, ილიასეულ პრინციპში „მამული, ენა, სარწმუნოება“ არის კოდირებული. ამის გათვალისწინებით, სამშობლოს ღალატად ჩაითვლება თუ არა ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვა?**

— ვინაიდან ჩვენი ქვეყანა საკმაოდ მცირემიწიანია და ქართველი ეროვნების მოსახლეობაც მცირერიცხოვანია, რა თქმა უნდა, ასეთი საკითხი ჩვენთვის მომეტებულად სათუთია. დიდი დაფიქრებაა საჭირო და, ვფიქრობ, **რეფერენდუმის დონეზე უნდა წყდებოდეს, რა ფორმით** (იჯარით, მიყიდვით, 50 წლით, 100 წლით თუ სულაც, სამუდამოდ) **შეიძლება ქართული მიწა უცხოელს მფლობელობაში გადაეცეს.** სამუდამოდ გასხვისება მე პირადად **ღალატად** მიმაჩნია. პრინციპში, 50 და 100 წლით გასხვისებაც დავის საგნად უნდა იქცეს. **თუ გაირკვევა, რომ ხელისუფლებამ ქვენა გრძნობებით და პირადი გამორჩენის მიზნით გაასხვისა მიწა, აუცილებლად სამშობლოს ღალატის მუხლი უნდა მიესადაგოს ასეთ ქმედებას.**

ასე, მაგალითად, სააკაშვილის რეჟიმის მიერ დავითგარეჯის კომპლექსის ნაწილის უცხოელებზე გასხვისება აშკარად ჩვენი ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელი გარიგების ფარგლებში მოხდა და მაშინ სამშობლოს ღალატის მუხლი კოდექსში რომ ყოფილიყო, დღეს იმ დანაშაულის ჩამდენებს სწორედ ამ მუხლით გაასამართლებდნენ. **სამწუხაროდ, ამ მუხლის გაუქმებიდან** (2007 წლის აპრილიდან) **ვიდრე ამ მუხლის აღდგენამდე ჩადენილი დანაშაულები სამშობლოს ღალატის მუხლით დაუსჯელი დარჩება, რადგან კანონს უკუქცევის ძალა არ გააჩნია.** თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსში არის ორი მუხლი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ნაწილზე ხელისუფლების მხრიდან ნებსით თუ უნებლიეთ კონტროლის დაკარგვის გამო სანქციებს არეგულირებს და სხვა სასჯელთა შორის, უვადო პატიმრობასაც ითვალისწინებს! **ეს მუხლები ახალგორისა და კოდორის დაკარგვაში დამნაშავე სააკაშვილის რეჟიმის ექვემიტანილებსაც ეხებათ,** მითუმეტეს, როცა ეს ტერიტორიები დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა მტრისთვის გადასაცემად, უფრო მეტიც, ამ მიზნით „სამხრეთ ოსეთისა“ და „ზემო აფხაზეთის“ განსაზღვრებებიც იქნა შემოღებული.

**— ახალგორისა და კოდორის დაკარგვის გამო თუ ემუქრებათ დამნაშავეებს სასჯელი ამ მუხლების ფარგლებში?**

— მიმაჩნია, რომ ეს ადამიანები აუცილებლად უნდა დაიბარონ დაკითხვაზე ახლახან შექმნილმა საპარლამენტო კომისიამ და გაარკვიოს, კოდორის ხეობისთვის „ზემო აფხაზეთის“ დარქმევით ან ცხინვალის ოლქის საზღვრების იმ მასშტაბით გაზრდით, რაც საბჭოთა პერიოდშიც არ არსებულა —- რა კონკრეტულ შედეგებს ელოდნენ? ფაქტია, რომ ასეთი ქმედების საფუძველზე ჩვენ მარტო იმ ტერიტორიაზე კი არ დავკარგეთ კონტროლი, რომელზეც 2008 წელს სამდღიანი ომი გაიმართა, არამედ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებიც გადაიქცნენ რიგი ქვეყნების მიერ აღიარებულ **„დამოუკიდებელ რესპუბლიკებად“!** დამატებით დევნილები შეემატა მოსახლეობას, ხოლო აფხაზეთი და ცხინვალის ოლქი მთლიანად დაიცალა ქართველებისგან მას მერე, რაც ერგნეთის ბაზრობის წყალობით ოსი მოსახლეობა, ფაქტობრივად, შემორიგებული იყო საქართველოსთან, ხოლო ქართველები რაჭაში ცხინვალის გავლით დაიარებოდნენ!

**— ამჟამად საქართველოში რევოლუციის მოსაწყობად და ქართველების ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ უცხოური ფული რომ შემოედინება, ამას თუ დაარეგულირებს ახლად აღდგენილი სამშობლოს ღალატის მუხლი?**

— წინასწარ ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისთვის **სამშობლოს ღალატი** ნომერ პირველი პრობლემაა იმ ფონზე, როცა აშშ-ის პრეზიდენტმაც აღიარა, რომ ამერიკული ფონდები სხვა ქვეყნებში მათთვის მიუღებელი ხელისუფლებების დამხობას აფინანსებდნენ. ეჭვგარეშეა, ამერიკულ ფონდებს საქართველოში ამ მიზნების შემსრულებლებიც უხვად ჰყავდა. აქედან გამომდინარე, **სამშობლოს ღალატის მუხლის აღდგენა** და ამუშავება ძალზე მნიშვნელოვანია, რათა საქართველოს ამჟამინდელ ან მომავალ ხელისუფლებებს სამშობლოს წინაშე არაფერი შეეშალოთ!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**გიორგი თავდგირიძე**
*სამხედრო ექსპერტი*



**დემოკრატიული სისტემა** მოიშალა, **ველურ სისტემაში** დავრჩით!

„ახალი თაობა“

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



დაძაბულობა ქვეყანაში, რაც გამოიხატება **ყოველდღიურ საპროტესტო აქციებში,** ეკონომიკაზე ახდენს უარყოფით გავლენას და **ეს საფრთხეა საქართველოს ეკონომიკისთვის.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი კობერიძე**
*ანალიტიკოსი*



საქართველოს გეოპოლიტიკურად შეიძლება, **უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს,** ვიდრე უკრაინას.

„კვირის პალიტრა“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**ტრამპმა ბიძინა ივანიშვილს სხვა ლიდერი რომ ამჯობინოს,** საჭიროა, ის სხვა არსებობდეს და ჰქონდეს რეალური ძალა.

„კვირის პალიტრა“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



**კეთილი ინებოს ოპოზიციამ და ცოტა სხვაგვარად იმოქმედოს!** ბრძოლა ამ მონსტრების კორპორაციასთან, **მარშებით, ლოზუნგებით და რაღაც კრეატიული დადგმებით,** შეუძლებელია! „ახალი თაობა“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



**ორბელიანების სასახლეში წანწალზე** ჩვენ თვითონ ვთქვით უარი.

„აჭარის ტელევიზია“



# ლაზარე ჯორბენაძე:

# თუ „ქართული ოცნება“ მართლა რამის გამოძიებას აპირებს, სწორედ ამ ხალხის პასუხისგებაში მიცემით უნდა დაიწყოს!

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-53, 2025 წლის №1-2, 3-8

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე აცხადებს, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე საakaშვილი ბიძინა ივანიშვილის მოწამვლას გეგმავდა, ხოლო ციხის ბუნტის დროს 18 პატიმარი კამერებში ჩახოცეს:***

— ის ფაქტი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო საგამოძიებო კომისია შექმნა, ძალიან კარგია. მართალია, ე.წ. ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც თავიანთი თავი პარლამენტს გარეთ დააყენეს, ამ კომისიაში უკვე ადგილებს ვეღარ დაიკავებენ, თუმცა, **გახარიას** პარტიას ჯერ კიდევ აქვს შანსი, პარლამენტში შევიდეს და კომისიას შეუერთდეს. **გიორგი გახარიას** დღეს თავი ისე უჭირავს, თითქოს ნაცმოძრაობასთან არაფერი აკავშირებს, არადა, ამ დროს მისი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ნათია მეზვრიშვილი** ზურაბ ადეიშვილის მოადგილე იყო. მოკლედ, ე.წ. ოპოზიციაში სიტუაცია ასეთია — ადეიშვილის ერთი მოადგილე გახარიას პარტიის ლიდერია, ხოლო ადეიშვილის მეორე მოადგილე **გიორგი ვაშაძე** მეორე პარტიის ლიდერი! **ზურაბ ადეიშვილს** ნათია მეზვრიშვილი და ე.წ. ჭუჭუ ვაშაძე რომ არ მოსწონებოდა, თავის მოადგილეებად არცერთს არ დანიშნავდა. ასე რომ, **გახარიამ** დროზე დაასრულოს ეს თამაში და გადაწყვიტოს, შედის თუ არა პარლამენტში! თუ არ შევა, ამით ამ პარლამენტს არაფერი დააკლდება... საქართველომ უნდა იცოდეს, რომ **ფარული დასი, ანუ დიფ სთეითი** რეალურად ე.წ. ოპოზიციაა, რომელიც არც 2028 წელს არის პარლამენტში შესაშვები, რადგან ესენი უცხო ქვეყნების ბრძანებით იგნორირებას უკეთებენ იმ 730 ათას ხმას, რომელიც მათ ქართველმა ხალხმა მისცა. ე.წ. ოპოზიცია პარლამენტში იმიტომ არ შევიდა, რომ ამაში უცხოეთიდან ფული აქვთ აღებული! ასე რომ, **ფარული დასი,** რეალურად, ესენი არიან... საქართველოს სერიოზულ პრობლემას უქმნის ისიც, რომ ნაცმოძრაობის ნომენკლატურის 47 დეპუტატი უკვე „ქართულ ოცნებაშია“...

**— საპარლამენტო კომისიის მუშაობა მოგწონთ?**

— დიახ, მომწონს და განსაკუთრებით ის, რომ ამ კომისიის თავმჯდომარედ **თეა წულუკიანი** დაინიშნა. ეს სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან იუსტიციის მინისტრობის დროს მის ხელში გაიარა ყველა იმ სისხლის სამართლის საქმემ, რომელიც ნაცსექტის დანაშაულებრივ საქმიანობას უკავშირდება.

**— თქვენ რისი მიწოდება შეგიძლიათ ამ კომისიისთვის?**

— თქვენი გაზეთი იყო პირველი, რომელმაც გაახმაურა ჩემ მიერ მოწოდებული ცნობები იმის შესახებ, რომ სააკაშვილმა პირდაპირი წესით საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა 53 118 უცხოელს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. ეს ტენდენცია გააგრძელეს **გიორგი მარგველაშვილმა და სალომე ზურაბიშვილმა,** რომლებმაც 30 ათასზე მეტ არაქართველს უკანონოდ უბოძეს საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს გენერალურ პროკურატურას ეს საქმე აწერია, მაგრამ გამოძიება დაწყებული არ არის და ჯერ დასაკითხად არავის დავუბარებივარ. არადა, მზად ვარ, პროკურატურას ამ საკითხზე ჩვენება მივცე! თუ ადრე **ფარული დასის, ანუ დიფ სთეითის** ეშინოდათ, ახლა პროკურატურაში რისი ეშინიათ? სუს-ს მიმდინარე გამოძიების ფარგლებში უკვე ჩავაბარე **განცხადება №292653** და **განცხადება №310780,** სადაც თავმოყრილია მასალები საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ძირგამომთხრელი და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის შესახებ.

„ასავალ-დასავალის“ მკითხველმა კარგად იცის, რომ მთელი კვლევა ჩავატარე ამ მიმართულებით და დავდე სქემა, თუ როგორ სულდგმულობენ და რა სქემებით ღებულობენ ესენი ფულს უცხოეთიდან! გამოძიება დაწყებულია, მაგრამ ჯერ არც ამ საქმეზე დავუბარებივარ ვინმეს. უფრო მნიშვნელოვანია ის, რაც 2012 და 2015 წლებში გავაკეთე, როცა „ქართული ოცნების“ გამოძიებას 32 და 30-ფურცლიანი ჩვენებები მივეცი...

**— მაინც რა ჩვენებები მიეცით?**

— ჩვენება მივეცი ყველა იმ საკითხზე, რაც მაშინ „ქართულ ოცნებას“ სამართლიანობის აღსადგენად გამოადგებოდა. საუბედუროდ, „ქართული ოცნება“ მაშინ ნაცრეჟიმს შეეკრა და სამართლიანობა არ აღადგინა. მოკლედ, **თუ „ქართულ ოცნებას“ სამართლიანობის აღდგენა უნდა, ჩამოიღოს თაროდან ჩემ მიერ 2012 და 2015 წლებში 32 და 30-ფურცლიანი ჩვენებები და დამიბაროს პროკურატურაში,** რათა აღნიშნულ საკითხებზე უფრო ღრმა და დეტალური ინფორმაცია მივაწოდო!

**— მაშინ რატომ არ მიეცით დაწვრილებითი და სიღრმისეული ჩვენება?**

— მაშინ პროკურატურას ჩვენება ბოლომდე იმიტომ არ მივეცი, რომ ნაცების დანაშაულებს „იძიებდა“ **გოჩა ფარულავა,** რომელიც ნაცმოძრაობის დროს აჭარის პროკურორის მოადგილე იყო, ხოლო დღეს გენერალურ პროკურატურაში განყოფილების პროკურორია. რაღაც არ მაქვს იმედი, რომ ნაცმოძრაობის პროკურორები ნაცების დანაშაულებს გამოიძიებენ, მაგრამ კიდევ ერთხელ გადავდგამ ამ ნაბიჯს და მზად ვარ, გენერალურ პროკურატურას ყველაფერი დაწვრილებით ვუამბო!

**— მაინც რა შეიძლება უთხრათ კომისიას?**

— დავიწყოთ იმით, რომ სამშობლოს ღალატის მუხლის აღდგენას მივესალმები! ეს დაგვიანებულია, მაგრამ მაინც კარგია. **სააკაშვილმა და ბოკერიამ** სისხლის სამართლის კოდექსიდან 307-ე მუხლი, ანუ სამშობლოს ღალატი 2007 წლის 27 აპრილს ამოიღეს! საერთოდ, ნაცები ჯერ კიდევ 2004 წელს აპირებდნენ ომს, მაგრამ მაშინ ამერიკიდან „პრიკაზი“ არ ჰქონდათ. 2007 წელს სამშობლოს ღალატის მუხლი იმიტომ გააუქმეს, რომ ომის დაწყება გადაწყვეტილი ჰქონდათ, თუმცა, ამერიკიდან „პრიკაზი“ ჯერ კიდევ არ იყო მოსული. ამიტომ დაგეგმეს წვრილ-წვრილი პროვოკაციები, რათა პატრონების ყურადღება მიექციათ. თავიდან განმუხურში დაგეგმეს პროვოკაცია და რუს ჯარისკაცებს ფული გადაუხადეს.

**— რას გულისხმობთ?**

— გაიხსენეთ, **სააკაშვილი** საოკუპაციო ხაზზე რომ გადავიდა, რუს ჯარისკაცებს ვითომ უკან დაახევინა და დედა აგინა. ამაში მაშინ ნაცებმა რუსებს ფული გადაუხადეს... ეს იყო სპექტაკლი პროვოკაციისთვის, რათა თოფი გავარდნილიყო,




მოქმედი მოსამართლე ჯემალ კოპალიანი

## „მომსწრე ვარ, ამ 48 სამხედრო მოსამსახურის საქმე როგორ „შეკერა“ ჯემალ კოპალიანმა, რომელიც დღესაც მოსამართლეა!“



ყოფილი პროკურორი რობერტ გრიგალა-შვილი

## „კომისიას მოვუყვები, როგორი საშინელი ზეწოლა ხორციელდებოდა ამ ჯარისკაცებზე და რა საშინელებებს სჩადიოდა პროკურორი რობერტ გრიგალაშვილი!“

## კვირგვინოსნები

**სოსო მანჯავიძე**
*პოლიტოლოგი*



სამხედრო თვალსაზრისით, **საქართველოს ომი რუსეთის ფედერაციასთან რომ სრული აბსურდი და სიგიჟეა,** ეს 5 წლის ბავშვსაც ესმის, გარდა რა თქმა უნდა, ჩვენი **თავგაცხელებული ოპოზიციისა...** პირდაპირ ქვეყანა შეატოვეს ამ გამძვინვარებულ დათვს... **ეს იყო ტერორისტული რეჟიმი.**

„აჭარის ტელევიზია“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



არაა საკმარისი კომისიამ **მხოლოდ გახმაურებული და საზოგადოებისთვის ცნობილი საქმეები** გამოიძიოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია, **სწორედ ის საქმეები გამოიტანონ სააშკარაოზე,** რომლებზედაც ფართო საზოგადოებამ ბევრი არ იცის.

„იმედინიუსი“

**აჩიკო ბერიძე**
*პარლამენტარი*



ხომ გამოჩნდა, **რა მასშტაბების დაფინანსებებით უთხრიდნენ ძირს** USAID და სხვა **ევროპული გრანტებით გამდიდრებული ენჯეოშნიკები** ქვეყანას. ეს ხომ ჩვენ არ მოგვიგონია, იმ დასავლეთმა ამხილა ისინი, ასე რომ „ვშორდებოდით“ მას.

„იმედინიუსი“

**რენდ პოლი**
*სენატორი*



**ჩვენი საგარეო პოლიტიკის ნაწილი არ უნდა იყოს ლგბტ იდეოლოგიების სხვა ქვეყნებისთვის დაძალება — ტრამპი და მასკი** მართლები არიან, როდესაც ამბობენ, რომ **უნდა გამოვავლინოთ USAID-ის თაღლითური საქმიანობა.**

„იმედინიუსი“

# „თეა წულუკიანის კომისიას მოვუყვები, თუ როგორი ჯალათი მოსამართლეა ჩემი ძმის ყოფილი თანაშემწე და შემდგომში საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მაია თეთრაული, რომელმაც ციხის ბუნტის პატიმრები გაასამართლა!“


თეა წულუკიანი

მაგრამ მაშინ რუსის გენერლები უფრო ჭკვიანები აღმოჩნდნენ და არ აჰყვნენ. 2008 წელს სულ სხვაგვარად მოხდა ყველაფერი, რადგან სააკაშვილს მაშინ უკვე ამერიკელებისგან ჰქონდა მწვანე შუქი ანთებული, რათა ომი დაეწყო. 2008 წლის აგვისტოს ომში მან გააკეთა რუსის საქმე და ჩაიდინა სამშობლოს ღალატი, რაც ომის დროს რეგულირდება ომის კანონმდებლობით. კერძოდ, **მთავარსარდალი, რომელიც ქვეყანას უღალატებს, შესაძლოა, ადგილზე დახვრიტონ!** სააკაშვილსა და მის ხროვას ჩაფიქრებული ჰქონდათ ქვეყნის ღალატი და იმის გამო, რომ არ გაესამართლებინათ, სისხლის სამართლის კოდექსიდან 307-ე მუხლი, ანუ სამშობლოს ღალატი ამოიღეს!

**— 2008 წელს ჩადენილი სამშობლოს ღალატისთვის, რომელიც მაშინ დანაშაულად არ ითვლებოდა და გაუქმებული იყო, სააკაშვილსა და მის ხროვას დღეს გაასამართლებენ?**

— ეს იურიდიული კაზუისტიკაა და წარმოდგენა არ მაქვს, აღდგენილი სამშობლოს ღალატის მუხლით როგორ უნდა გასამართლდნენ ეს მართლაცდა მტარვალები, რომლებმაც 2008 წლის ომში ქვეყანას უღალატეს! **სამშობლოს ღალატის მუხლით სააკაშვილისა და მისი ხროვის გასამართლება იურიდიულად ძალიან ძნელი იქნება, რადგან დანაშაულის ჩადენის მომენტი არის 2008 წელი, როცა სამშობლოს ღალატის მუხლი უკვე გაუქმებული იყო!**

**— 2012 და 2015 წლებში პროკურატურას სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულების შესახებ მაინც რა ჩვენება მიეცით?**

— მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ **სააკაშვილის რეჟიმის** ყველაზე ბინძური და ბოროტი მხარე იყო სასამართლო და პროკურატურა! დაახლოებით ორმოცდაათი მოსამართლისა და ოთხმოცი პროკურორის შესახებ უმძიმესი ჩვენება მაქვს მიცემული, მაგრამ არავითარი სამართლებრივი შედეგი ამას არ მოჰყოლია! 2015 წელს პროკურატურა ძალიან იყო დაინტერესებული იმის გარკვევით, თუ რას ხლართავდა **სააკაშვილი** ივანიშვილის წინააღმდეგ. პროკურატურას მივეცი ჩვენება, თუ როგორ აპირებდა იგი **ბიძინა ივანიშვილის** მოწამვლას, მაგრამ არც ამას მოჰყვა შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას შეეძლო დამნაშავეებზე გასვლა.

**— მაინც ვის უნდა მოეწამლა ბიძინა ივანიშვილი?**

— 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე სააკაშვილი ბიძინას მოწამვლას გეგმავდა! ეს უნდა გაეკეთებინა მის მზარეულს, რომელიც არაქართველი იყო...

**— რა ეროვნების იყო მზარეული?**

— როცა პროკურატურას ჩვენება მივეცი, იქ ბევრ რამეზე გაუთქმელობის შესახებ მოვაწერე ხელი და მაგას ვერ გეტყვით! მოკლედ, მადლობა ღმერთს, **სააკაშვილის** გეგმა ვერ განხორციელდა და **ბიძინა ივანიშვილი** გადარჩა, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2012 წლის არჩევნებს ოპოზიცია ვერ მოიგებდა და საცოდავ ქართველ ხალხს კიდევ დიდხანს მოუწევდა რუსთაველის პროსპექტზე აღმა-დაღმა სიარული. **სააკაშვილს** მაშინდელი ოპოზიციის ნახევარი — მოსყიდული, ხოლო ნახევარი კომპრომეტირებული და დაშანტაჟებული ჰყავდა. ოპოზიცია დღისით **სააკაშვილს** აგინებდა, ხოლო ღამით **ადეიშვილთან და მერაბიშვილთან** დაძვრებოდა და ფულს ღებულობდა, რაც ივანიშვილმა იცოდა. სწორედ მას ვერ მოუხერხა **სააკაშვილმა** ვერაფერი და საქართველო გადარჩა, რაც **ივანიშვილს** ქართველმა ხალხმა უნდა დაუფასოს!

რეალურად, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების დროს ნაცმოძრაობას საშუალო და დაბალმა რგოლმა უღალატა, რომელიც უკვე „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობდა და გადარჩენის გზებს ეძებდა. სხვათაშორის, მოწამვლას რომ უპირებდნენ, ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა შეიტყო და მოხდა ისე, რომ კუდ-ის მიერ მზარეულისთვის გამოყოფილი დიდძალი თანხა ისე უცბად გაქრა, რომ მზარეულამდე არც მივიდა... ზუსტად რა მოხდა, არ ვიცი.

**— რა შეგიძლიათ უთხრათ წულუკიანის კომისიას ისეთი, რაც საზოგადოების ფართო ფენებმა არ იცის?**

— საზოგადოებამ ციხის ბუნტის შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი იცის... იმხანად მე ვიყავი იმ პატიმრების ადვოკატი, რომლებიც **ბაჩო ახალაიამ** და მისმა ჯალათებმა ჯერ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაამტვრიეს ძვლებში, ხოლო შემდეგ საკნებში, ფაქტობრივად, მკვდარი დატოვეს. მაშინ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორი იყო **ალექსანდრე მუხაძე,** ანუ იგივე **„ქილერა“,** რომელიც მერე სააკაშვილმა გლდანის ციხის დირექტორად დანიშნა. „ქილერა“ პირადად მცემდა გლდანის ციხეში, რადგან მოსამართლე **მაია თეთრაულთან** ბაჩო ახალაია და **ალექსანდრე მუხაძე** სწორედ მე დავკითხე. აი, ეს არ მაპატიეს... **თეა წულუკიანის** კომისიას მოვუყვები, თუ როგორი ჯალათი მოსამართლეა ჩემი ძმის ყოფილი თანაშემწე და შემდგომში საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **მაია თეთრაული,** რომელმაც ციხის ბუნტის პატიმრები გაასამართლა. არადა, სინამდვილეში ბუნტი მოაწყო **ბაჩო ახალაიამ,** რომელიც **გიგა ბოკერიასთან** ერთად ავტომატით დარბოდა სასჯელაღსრულების მე-5 დაწესებულებაში. ციხის ბუნტის დროს 18 პატიმარი კამერებში ჩახოცეს! ამას გარდა, **სააკაშვილმა, ბოკერიამ და ბაჩო ახალაიამ** ჩაიდინეს მორიგი სისხლის სამართლის დანაშაული, როცა ორთაჭალის ციხე თავის არქივიანად გააქრეს!

**— რა იყო ამის მიზეზი?**

— ციხის ბუნტიდან ორ თვეში მე-5 დაწესებულების შენობა და არქივი ისე დაიკარგა, რომ პატიმრებს ხან სად დავეძებდით და ხან — სად... ამის მიზეზი ის იყო, რომ **სააკაშვილმა, ბოკერიამ და ბაჩო ახალაიამ** ციხის ბუნტის დროს ჩადენილი საშინელი დანაშაულის ყოველგვარი კვალი წაშალეს. როგორც გითხარით, იქ 18 კაცი მოკლეს და უამრავი დაასახიჩრეს... ამ ყველაფრის კვალი რომ წაეშალათ, შენობა დაწვეს და იქაურობა მიწასთან გაასწორეს. თუ **თეა წულუკიანის** კომისიას აინტერესებს, როგორ უკანონებდა საპელაციო სასამართლოს დღევანდელი მოსამართლე **მაია თეთრაული** ნაცჯალათებს ამ საშინელ დანაშაულს, კი ბატონო, დამიძახონ და ყველაფერს ვიტყვი!


მოსამართლე
მაია თეთრაული

## „მზად ვარ, გენერალურ პროკურატურას ყველაფერი დაწვრილებით ვუამბო!“

## „დაახლოებით ორმოცდაათი მოსამართლისა და ოთხმოცი პროკურორის შესახებ უმძიმესი ჩვენება მაქვს მიცემული!“

**— კიდევ რა შეიძლება უამბოთ წულუკიანის კომისიას?**

— ე.წ. მუხროვანის ამბოხის საქმეში ჯარისკაცებს ვიცავდი და ჩემი თვალით რაც ვნახე, იმას მოვყვები. ნაცხროვამ 48 ჯარისკაცი სააკაშვილის ერთი ხუშტურის გამო გაწირა... მომსწრე ვარ, ამ 48 სამხედრო მოსამსახურის საქმე როგორ „შეკერა“ **ჯემალ კოპალიანმა,** რომელიც დღესაც მოსამართლეა.

**ჯემალ კოპალიანის** გარდა, სხვა მოსამართლეებიც მონაწილეობდნენ ამ უბედურებაში, მაგრამ ეს 48 კაცი თავდაპირველად ციხეში სწორედ მან გაუშვა. მახსოვს, ერთი კარგი ბიჭი იყო — **შალვა გოგოლაძე,** სამხრეთ აფრიკაში, ერაყსა და ავღანეთში ნაბრძოლი... მას სწორედ მუხროვანის ამბოხების დღეს დაუმთავრდა შვებულება. ვაზიანში რომ ავიდა, კაციშვილი არ დახვდა. როცა ამბავი იკითხა, უთხრეს — ბიჭები მუხროვანში არიან, რაღაც ხდებაო... **შალვა გოგოლაძე** ტრასაზე დადგა და სამხედრო პოლიციის მანქანას გაჰყვა გომბორის ბატალიონამდე. ნაწილში რომ მივიდა, ჰკითხეს — აქ რა გინდაო? **შალვა გოგოლაძემ,** როგორც წესიერმა კაცმა, უპასუხა — აქ ჩემი მეგობრები ყოფილან და იმათი ამბის გასაგებად მოვედიო! — აჰა, შენც ამათ თანაუგრძნობო? — ჰკითხეს **შალვა გოგოლაძეს** და სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი დაიჭირეს. მოსამართლე **ჯემალ კოპალიანმა** სწორედ ასეთი მართალი კაცი გაუშვა ციხეში სამი წლით... კომისიას მოვუყვები, როგორი საშინელი ზეწოლა ხორციელდებოდა ამ ჯარისკაცებზე და რა საშინელებებს სჩადიოდა პროკურორი **რობერტ ბრიგალაშვილი.** „ქართული ოცნება“ რომ ხელისუფლებაში მოვიდა, განგაში ავტეხე, თორემ პროკურორი **რობერტ ბრიგალაშვილი** კინაღამ სამხედრო პოლიციის უფროსად დანიშნეს. სწორედ **ჯალათმა პროკურორმა რობერტ ბრიგალაშვილმა და ჯალათმა მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა** დაღუპეს ის 48 ბიჭი! თუ „ქართული ოცნება“ მართლა რამის გამოძიებას აპირებს, სწორედ ამ ხალხის პასუხისგებაში მიცემით უნდა დაიწყოს, რადგან რეჟიმი **რობერტ ბრიგალაშვილისა და ჯემალ კოპალიანის** მსგავს ჯალათებზე იდგა! ბევრი რამის გახსენება შემიძლია, ოღონდ ჯერ იმას დავაკვირდები, კომისიის მუშაობა რა სახეს მიიღებს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი*



**ხელახალი არჩევნები რომ ჩატარდეს, შედეგი იგივე იქნება,** რადგან თორმეტი წლის განმავლობაში **ოპოზიცია არჩევნებს ერთი მარტივი მიზეზის გამო აგებს:** ის ყოველთვის ნაცების, ანუ **მიშას გარშემოა შეკრებილი.**

„საერთო გაზეთი“

**თამარ ჩუგოშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



საუდის არაბეთში **ამერიკა-რუსეთს შორის მოლაპარაკება** ცხადყოფს, რომ ეს იყო არა **რუსეთ-უკრაინის,** არამედ, **რუსეთ-ამერიკის** ომი. **ტრამპმა** ამ ომს თავისი სახელი დაარქვა.

„იმედინიუსი“

**ტეროი ჰელსანენი**
*ევროპული სამეზობლო საბჭოს მრჩეველი*



**აშშ აღარ არის სანდო პარტნიორი ევროპისთვის,** ევროპამ უნდა იმოქმედოს და **საქართველო არის ბრძოლის ველი,** საიდანაც ჩვენ ვიწყებთ.

„პირველი არხი“

**თიერი მარიანი**
*ევროპარლამენტარი*



ევროკავშირი რატომ არის ასე შემართული, რომ **ძირი გამოუთხაროს საქართველოსა და სერბეთის მთავრობებს?** მას არ სურს სუვერენული სახელმწიფოები.

„პირველი არხი“

**გია ღვინიანი**
*მომღერალი*



ამაზე მაგარი ქვეყანა არ არსებობს, ამიტომ **მოვეფეროთ ერთმანეთს, გავუფრთხილდეთ სამშობლოს.** შეიძლება ვიღაცას გაეცინოს, მაგრამ გული მიგრძნობს, **მჯერა, რომ 5 წელიწადში ჩვენი ქვეყანა გაბრწყინდება.**

„კვირის პალიტრა“

# იაგო ხვიჩიას საავტორო გადაცემაში მერაბ კოსტავას გარდაცვალებაზე სკანდალურმა ცნობებმა გაიჟღერა!

**მამუკა ხაზარაძის მიერ მერაბ კოსტავასათვის ხელის მოქნევიდან 6 თვის შემდეგ, 1989 წლის 13 ოქტომბერს, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითთან საეჭვო ავტოკატასტროფაში დაიღუპა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამორჩეული წარმომადგენელი. ავტომანქანას, რომელსაც „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ერთ-ერთი ლიდერი თამრიკო ჩხეიძე მართავდა, გზად „რაღაცამ" გადაურბინა, რის გამოც მან მანქანის საჭე ვერ დაიმორჩილა. საბედისწერო „ნივაში" მერაბ კოსტავასა და თამრიკო ჩხეიძის გარდა იმყოფებოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭავჭავაძე, რომელიც მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.**

იმთავითვე გაჩნდა ეჭვი, რომ ავარია მოწყობილი იყო, რასაც დღემდე აძლიერებს თამრიკო ჩხეიძის პერსონა, რომელიც ზვიად გამსახურდიას დროს საქართველოს დამაქცევართა რიგებში ჩადგა და საქართველოში „მეორედ მოსულ" **შევარდნაძეს** უსაპნოდ შეუძვრა, ხოლო დღეს ნაცსექტის მხარდამჭერი და აპოლოგეტია...

**უფრო მეტიც, დღეს უკვე ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ როგორც გია ჭანტურიას „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" და ჯაბა იოსელიანის „მხედრიონი", ისე თამრიკო ჩხეიძის „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაც", ერთი მხრივ, საბჭოთა „კაგებესა" და, მეორე მხრივ, ედუარდ შევარდნაძის „კასირის" — გურამ მგელაძის ფულებით იყო შექმნილი!**

სხვათაშორის, ჭაბუა ამირეჯიბმა **თამრიკო ჩხეიძეს** შევარდნაძის „იმელის" პარლამენტის სხდომაზე ერთხელ წამოაძახა: **„შენ კაცი მოკალი!"**

საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრისა და პარტია „გირჩის" ლიდერის **იაგო** **ხვიჩიას** საავტორო გადაცემაში „საქართველოს დაბადება" ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა ცნობილი ჟურნალისტი, 9 აპრილის მუზეუმის შემქმნელი და ხელმძღვანელი **თამაზ ბიბილური,** რომელმაც სხვა უამრავ ისტორიასთან ერთად ბორითთან მომხდარი ავტოკატასტროფაც გაიხსენა და მერაბ კოსტავას გარდაცვალების საქმეში ფართო საზოგადოებისთვის უცნობი არაერთი უაღრესად საინტერესო დეტალი გააჟღერა! მან ხაზგასმით განაცხადა, რომ მერაბ კოსტავას გარდაცვალების საქმის გაყალბებაში აქტიურად მონაწილეობდა **თამრიკო ჩხეიძის მამა, ცნობილი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე,** რომელიც ნაძალადევში გამართულ სასამართლო პროცესზე ვიღაც მილიციონერთან ერთად საგანგებოდ გამოცხადდა და მოსამართლეს ავტოავარიის ალტერნატიული ექსპერტიზა გადასცა, რის შემდეგაც მოსამართლემ **თამრიკო ჩხეიძე** გაათავისუფლა!

**„ასავალ-დასავალი" გთავაზობთ იაგო ხვიჩიას საავტორო პროგრამის ამ უაღრესად საინტერესო მონაკვეთის ბეჭდურ ვერსიას და იმედს იტოვებს, რომ, როგორც მერაბ კოსტავას, ისე ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების**






## თამაზ ბიბილური:

ზვიადს უშიშროებიდან თავისმა ახლობელმა საიდუმლოდ მოუტანა ამბავი —

## „კაგებე" გეგმავს ორი კაცის მკვლელობას, ეს ორი კაცი ხართ შენ და მერაბი და ძალიან ფრთხილად იყავითო!



## კვირგვინოსნები



**დოდო შონავა**
ტელეჟურნალისტი

**ვასილ მაღლაფერიძემ** სამსახურიდან გამიშვა, სადაც **40 წელი ვიმუშავე.** ბევრი **ზვიადისტი** დღეს **პუტჩისტად** მომიხსენიებს.

„კვირის პალიტრა"



**სვიმონ მასხარაშვილი**
ისტორიკოსი

**თუ საქართველო მოახერხებს ომის თავიდან აცილებას,** როგორც საგარეო ურთიერთობებში, ასევე ქვეყნის შიგნით **შეინარჩუნებს მშვიდობას,** საქართველოსთვის **დიდგორის ტოლფასი გამარჯვება იქნება!**

„აიპრესი"



**მიხეილ ქელიძე**
ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელი

**ეკონომიკაში კრიზისი არ არის,** ისეთი თაობა ვართ, ვიცით და გამოგვივლია ნამდვილი ეკონომიკური კრიზისი, **ახლა ამაზე ლაპარაკი სრულიად უადგილოა,** აქამდე არ მისულა საქმე და არც ნიშნებია.

„რეზონანსი"



**კახა გოგიძე**
მსახიობი

ყველაზე მეტად იცით, რისი მეშინია? იმის კი არა, რომ დიქტატურა დამყარდება, არა, **იმის მეშინია, რომ ქართველს ტვინი არ გადაუტრიალდეს,** ყელში რომ ამოუვა, თორემ მერე ნახეთ, ვინ როგორ იგზენს. „ახალი თაობა"



**კახა მიქიაშვილი**
მსახიობი

**ძალიან ბევრ რამეში გამიმართლა,** თუნდაც იმაში, რომ **საქართველოში და ქრისტიანად დავიბადე.**

„თბილისელები"



**როლანდ ოქროპირიძე**
მსახიობი

ძალიან გაუჭირდება ადამიანს, რომ **მომატყუოს,** მე თვითონ თუ **მოვიტყუებ** თავს.

„თბილისელები"

*საიდუმლოს ფარდა ერთხელ და სამუდამოდ აეხდება!*

# „ასე გაწირეს შესანიშნავი პიროვნება მერაბ კოსტავა, ხოლო მამა-შვილი რეზო და თამრიკო ჩხეიძეები ამის შემდეგ შერიგდნენ!“





„ეჭვი მაქვს, რომ თამარ ჩხეიძეს ჰქონდა დავალება და, ალბათ, აიძულეს, რომ ქუთაისში მარტო არ წასულიყო და მერაბიც წაეყვანა!“

თამარ და რეზო ჩხეიძეები

**თამაზ ბიბილური**, ***ჟურნალისტი:*** — ბარემ გეტყვით, რა მოხდა კოსტავას ეზოში, მერაბ კოსტავას გარდაცვალების წინა დღეს. მანამდე ერთი თვით თუ რამდენიმე თვით ადრე, ეს ჩემთან აქვს ზვიად გამსახურდიას ნათქვამი... კერძოდ, ზვიადს უშიშროებიდან თავისმა ახლობელმა საიდუმლოდ მოუტანა ამბავი — **„კაგებე“ გეგმავს ორი კაცის მკვლელობას, ეს ორი კაცი ხართ შენ და მერაბი და ძალიან ფრთხილად იყავითო!** ზვიად გამსახურდიამ მითხრა — მერაბს ორი კაცი გამოვუყავი და გავაფრთხილე — აი, ამათ გარეშე ფეხი არსად გაადგა, ასე და ასეა საქმე-მეთქი! მეც დაცვით დავიწყე სიარულიო! ცოტა ხანში ასეთი რამ ხდება: მერაბ კოსტავას გარდაცვალების წინა დღეს, 1989 წლის 12 ოქტომბერს, მერაბ კოსტავა თავისი სახლის ეზოშია, რუსთაველის ძეგლის უკან დაცვასთან და მეგობრებთან ერთად. ამ დროს გამოდის მერაბის დედა, ცნობილი **ოლღა დეიდა** და მერაბ კოსტავას ეძახის — **თამრიკო ჩხეიძე** ტელეფონზე რეკავსო! მერაბი სახლში შედის და **თამრიკო ჩხეიძეს** ელაპარაკება. თამრიკო მერაბს სთავაზობს ქუთაისში წასვლას, მაგრამ მერაბი უარს ეუბნება... მე ამ საკითხზე მისაუბრია **ოლღა დეიდასთან** და მან მითხრა — მერაბს ხუთჯერ მაინც დაურეკა **თამრიკო ჩხეიძემ,** ქუთაისში წასვლას აძალებდაო! რომ არ მოეშვა, **მერაბ კოსტავამ,** თურმე, ბოლოს ხელი ჩაიქნია და თქვა — ეჰ, ბიჭებო, ერთი დღით წავალ და რომ ჩამოვალ, ისევ თქვენი დაცვის ქვეშ ვიქნებიო! მოკლედ, **მერაბ კოსტავა** მიდის ქუთაისში, მეორე დღეს ბრუნდებიან იქიდან... მანქანაში ისხდნენ: **თამარ ჩხეიძე,** რომელიც საჭესთან იყო, **მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე.** თამრიკო ჩხეიძეს მანქანა დიდი სისწრაფით მოჰყავდა. უღელტეხილზე, სადაც ავარია მოხდა, ადგილი საქვეყნოდ ცნობილია...

**იაგო ხვიჩია**, ***პარტია „გირჩის“ ლიდერი:*** — სოფელი ბორითი!

**თამაზ ბიბილური**, ***ჟურნალისტი:*** — ჰო, ბორითი! არ ვიცი, სპეციალურად, დავალებით თუ გალაღებული იყო და იმიტომ იქცეოდა ასე, მაგრამ **თამრიკო ჩხეიძეს** მანქანა ძალიან სწრაფად მოჰყავდა. რამდენიმე ვერსიაა და ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მანქანას წინ **„რაღაცამ“** გადაურბინა. ზოგი ამბობს, ბორბალი იყოო, ზოგი ამბობს, ღორი იყოო... **თამრიკო ჩხეიძემ** მანქანა კედელს შეახა... მერე მანქანა გადატრიალდა... ამ ამბიდან რამდენიმე წუთში მოდის სასწრაფო! აი, ეს არის... ხელში რომ მობილური გეჭიროს, გზაზე ავარია ნახო და სასწრაფოს დაურეკო, რამდენიმე წუთში სასწრაფო არ მოვა, ნახევარი საათი მაინც დასჭირდება. იქ კი ორ წუთში მოვიდა სასწრაფო... მე როგორც ვიცი, სასწრაფო მაგათ უკან მოჰყვებოდა. **მერაბ კოსტავა** გონზე იყო და სასწრაფოს ექიმებმა გაუკეთეს ნემსი... არადა, მერაბი ექიმებს ეხვეწებოდა — ნემსი არ გამიკეთოთო!

**იაგო ხვიჩია:** — ბატონო თამაზ, ამას ვინ ამბობს, მერაბი ექიმებს ეხვეწებოდა, ნემსი არ გამიკეთოთო?

**თამაზ ბიბილური:** — რაც იქ მოხდა, გადმოცემით ვიცი. მერაბი მიჰყავთ... მერე დაიღუპა ჭავჭავაძეც...

**იაგო ხვიჩია:** — ჭავჭავაძე, როგორც ვიცი, გონზეც მოვიდა!

**თამაზ ბიბილური:** — ჰო, **ზურაბ ჭავჭავაძე** მერე გარდაიცვალა. სასამართლო პროცესზე იყო ერთი კაცი, არ მინდა ახლა მისი გვარისა და სახელის დასახელება...



*თამარ ჩხეიძე და მერაბ კოსტავა*

**იმთავითვე გაჩნდა ეჭვი, რომ ავარია მოწყობილი იყო, რასაც დღემდე აძლიერებს თამრიკო ჩხეიძის პერსონა, რომელიც ზვიად გამსახურდიას დროს საქართველოს დამაქცევართა რიგებში ჩადგა და საქართველოში „მეორედ მოსულ“ შევარდნაძეს უსაპნოდ შეუძვრა, ხოლო დღეს ნაცსექტის მხარდამჭერი და აპოლოგეტია...**



თამარ ჩხეიძის „ნივა“ ავტოკატასტროფის შემდეგ

**იაგო ხვიჩია:** — რომელ სასამართლოს გულისხმობთ?

**თამაზ ბიბილური:** — ნაძალადევის სასამართლოს, სადაც ბორითში მომხდარი ავტოკატასტროფის საქმე ირჩეოდა. **თამრიკო ჩხეიძე** იყო დაპატიმრებული... სხვათაშორის, თამრიკო ჩხეიძესა და მამამისს **რეზო ჩხეიძეს** ამ ავარიამდე ჰქონდათ ძალიან ცუდი ურთიერთობა, ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. შვილი მამას აძაგებდა...

**იაგო ხვიჩია:** — ცნობილ კინორეჟისორ **რეზო ჩხეიძეზეა** საუბარი, ხომ?

**თამაზ ბიბილური:** — დიახ, ცხადია! ნაძალადევის რაიონში გამართულ სასამართლო სხდომაზე ავტოინსპექციის წარმომადგენელთან ერთად მოვიდა **რეზო ჩხეიძე** და მოსამართლეს განუცხადა: — აი, ჩვენ გვაქვს ნამდვილი ოქმი, სადაც დადასტურებულია, რომ თამრიკო ჩხეიძე ავტომანქანას მართავდა საათში 40 კილომეტრი სიჩქარით და სწრაფად არ მოდიოდაო! მოსამართლემ მიიღო ეს ოქმი და თამრიკო ჩხეიძე მომხდარ ავტოკატასტროფაში ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა! სხვათაშორის, მერე მე იმ მოსამართლესაც შევხვდი და მან ყველაფერი დამიდასტურა — კი, ნამდვილად ასე იყოო! აი, ასე გაწირეს შესანიშნავი პიროვნება **მერაბ კოსტავა,** ხოლო მამა-შვილი **რეზო და თამრიკო ჩხეიძეები** ამის შემდეგ შერიგდნენ! ეს მათი პირადი საქმეა და ამ თემას არ შევეხები, მაგრამ ეს ყველაფერი, რაც მოგახსენეთ, არის ფაქტები!

**იაგო ხვიჩია:** — ბატონო თამაზ, თქვენ გამორიცხავთ, რომ ეს იყო უბედური შემთხვევა და უფრო მკვლელობისკენ გაქვთ ეჭვი?

**თამაზ ბიბილური:** — ეჭვი მაქვს, რომ **თამარ ჩხეიძეს** ჰქონდა დავალება და, ალბათ, აიძულეს, რომ ქუთაისში მარტო არ წასულიყო და მერაბიც წაეყვანა! ფაქტია, რომ მერაბ კოსტავა მას არ მიჰყვებოდა ქუთაისში და ტელეფონით ხუთჯერ მაინც დაურეკა. იქ რომ დაცვის ორი ბიჭი ყოფილიყო, შესაძლოა, ეს ამბავი არ მომხდარიყო...

**იაგო ხვიჩია:** — მომხდარი ტრაგედია რა გავლენას ახდენს ქართულ პოლიტიკაზე, რა იცვლება მერაბ კოსტავას სიკვდილით?

**თამაზ ბიბილური:** — **მერაბ კოსტავას** სიკვდილი ქართულ პოლიტიკაზე გავლენას ახდენს! **მერაბსა და ზვიადს** ერთად ძალიან დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ, მაგრამ მერაბის სიკვდილით მას, ფაქტობრივად, მარჯვენა მოაჭრეს და ძალიან ბევრი მომხრე ჩამოაცილეს, რომლებიც მერე „დაამუშავეს“... მაგალითად, მე ვიცი, რომ გადატრიალების წინა დღეებში **კაკო ასათიანს** ტელეფონით ურეკავდნენ და აშინებდნენ — შვილს მოგიკლავთ, ასე და ასე გიზამთო! ცუდად გახდა თუ რაც იყო, დააბრალეს თუ არა, ფაქტია, რომ **კაკო ასათიანი** იმ დღეებში წავიდა ბათუმში. დღეს ეს კაცი გამოდის და ლაპარაკობს — **ზვიად გამსახურდიას** მოველაპარაკე და სამკურნალოდ გამიშვაო! ეს ხომ ზღაპარია?

**იაგო ხვიჩია:** — **ასათიანი** ამბობს ამას?

**თამაზ ბიბილური:** — დიახ, **ასათიანი** ამბობს!

***მოამზადა***
***დიტო ჩუბინიძემ***

## კვირგვინოსნები

**ზაურ ბედია**
*პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი მფრინავი*



მე პირადად **ზვიად გამსახურდიას მეტი პრეზიდენტი არასოდეს მყოლია.** მისი გადაგდების გამო განწირული ჩემი ქვეყნის ფეხზე მყარად დგომას ვერ ვეღირსე. **თუკი გონი არ გვეყო და იგივე განმეორდა,** ვერც ჩემი, თქვენი, ვერავის შვილთაშვილებიც კი ვერ ნახავენ ამ ქვეყნის სიკეთეს.

„კვირის პალიტრა“

**სანდრო ელიზბარაშვილი**
*თეატრისა და კინოს რეჟისორი*



**მეზიზღება დალაგებული სამყარო, დედამიწა, რომელიც წყნარი და მშვიდია.** ის უნდა ჰგავდეს მეწყერს! **როგორც ლექსი უნდა ჰგავდეს მოვარდნილ მეწყერს, ასევე — სიყვარულიც.** შენში თუ არ ინგრევა სამყარო სიყვარულის გამო, აზრი არა აქვს ცხოვრებას.

„სარკე“

**მერიკო კარტოზია**
*ტელეჟურნალისტი*



ამერიკა მუდმივად სიურპრიზებს გთავაზობს და უამრავ შესაძლებლობას გაძლევს. **ძალიან მინდა, რომ ჩემი საქართველო მსოფლიო დონეზეც ვასახელო.** გპირდებით, რომ ისე არ ჩამოვალ, სანამ ყველას არ გავაგებინებ, **რა მაგრები ვართ ქართველები, ვინ და რა ხალხი ვართ.**

„თბილისელები“

**ონისე ონიანი**
*მსახიობი*



მინდა, რომ ვიყო პაპა, მაგრამ ჯერ არ ვარ. **სანამ სარკეს არ ჩავუვლი,** საერთოდ არ მგონია, რომ ვარ 50 პლუსით, მერე, **სარკეში რომ ვიხედები,** მიკვირს, თმაც გამთეთრებია-მეთქი. **როცა სარკეში ჩემს თავს არ ვუყურებ,** საკუთარი თავი 25 წლის ბიჭი მგონია.

„სარკე“



***ცნობილი ჰომეოპათისა და ექიმის კახა საბახტარიშვილის განცხადებით, ფინიკი, რომელიც ხილი არ არის, იშვიათი თვისებების პროდუქტია, რომელსაც უძველესი ისტორია აქვს და უამრავი სიკეთის მოტანა შეუძლია:***

**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აალიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# ფინიკი უებარი წამალია მათთვის, ვისაც გული აწუხებს!

— არსებობს საკვები პროდუქტები, რომლებიც კაცობრიობის ხნისაა და შესაძლოა, კიდევ უფრო ადრე გაჩნდა. ერთ-ერთი ასეთია ფინიკის პალმის ნაყოფი, რომლის სახელიც პირდაპირ უკავშირდება უდიდესი კულტურისა და ცივილიზაციის შემქმნელ ხალხს — **ფინიკიელებს.** ისინი ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, დღევანდელი ისრაელისა და ლიბანის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. **ფინიკიელების** სახელთან დაკავშირებულია ანბანური დამწერლობის შექმნა და ზღვაოსნობის განვითარება. ფინიკიელები საუკეთესო გემებსა და პორტებს ფლობდნენ, ძველ მსოფლიოში ისინი უმდიდრესი ვაჭრები და კომერსანტები იყვნენ.

**ფინიკი** ბიბლიაში ორმოცდაათჯერ არის მოხსენიებული. მას ხშირად ახსენებს მუსლიმთა წმინდა წიგნი ყურანიც... ბიბლიის ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ედემის ბაღის „სიცოცხლის ხე“ სწორედ ფინიკის პალმა იყო... ძველ იუდეაში ფინიკის პალმა იმდენად პატივსაცემი და საღვთო ხედ გახლდათ მიჩნეული, რომ ბიბლიურმა მეფე **დავით წინასწარმეტყველმა** თავის ქალიშვილს **„თამარი“** დაარქვა, რაც ივრითის ენაზე სწორედ **ფინიკს** აღნიშნავს. **დავით წინასწარმეტყველი,** რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-10 საუკუნეში მოღვაწეობდა, ქართველ ბაგრატიონთა წინაპრად არის მიჩნეული. აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ქალის სახელი **თამარი,** რომელიც საქართველოს უდიდეს მეფეს ერქვა, სწორედ დავით წინასწარმეტყველის ქალიშვილის სახელიდან მოდის და **ფინიკის პალმის** აღმნიშვნელია! ეს კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ვარაუდს იმის შესახებ, რომ ედემის ბაღში მოხსენიებული **„სიცოცხლის ხე“** სწორედ **ფინიკის პალმა** უნდა იყოს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იერუსალიმში დიდებით შესულ იესო ქრისტეს მიწაზე **ბზისა და ფინიკის პალმის ტოტები** დაუფინეს... ძველ ქართულ სამედიცინო ტრაქტატში ფინიკი განმარტებულია ასე: **„დანაკის-კუდი ფინიკ, იგივე ხურმა აჯალი“.** სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით კი, ფინიკი არის **„თამარ დანაკისკუდი, გინა რატა“...** ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ძველ საქართველოში ფინიკის პალმასა და თამარს შორის არსებულ ეტიმოლოგიურ კავშირზე კარგად იცოდნენ. **ფინიკი** იყო **ალექსანდრე მაკედონელის** მეომრების შეუცვლელი პროდუქტი. შემორჩენილია ცნობები იმის შესახებ, რომ ბრძოლის წინ მაკედონელი თავის მეომრებს შვიდ ცალ ფინიკს აჭმევდა, რათა მათ ძალა და გამძლეობა ჰქონოდათ!

**— მაინც რატომ შეიძლება იყოს ფინიკი „სიცოცხლის ხე“, ასეთი რა თვისებები აქვს?**

— **ფინიკის** ლათინური სახელწოდებაა **„ფენიქს დაქტილოფერა“.** ლეგენდის მიხედვით, ფენიქსი მითიური ფრინველია, რომელსაც შეუძლია ფერფლიდან აღდგეს. **ფინიკის პალმის თესლი უნიკალურია, რადგან ის ცეცხლის გარდა გარემოს ყველანაირ ზემოქმედებას უძლებს.** 2005 წელს ისრაელში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სხვა არტეფაქტებთან ერთად აღმოაჩინეს ჭურჭელში მოთავსებული ფინიკის თესლი. ჩაატარეს ექსპერიმენტი — ეს თესლი დათესეს! მეცნიერები შოკში ჩავარდნენ, რადგან 2 ათასი წლის წინანდელი თესლიდან მცენარე ფინიკის პალმა აღმოცენდა. ფინიკის პალმას არსებობისთვის სჭირდება მზე, სითბო და ბევრი წყალი. რადგან ეს მცენარე უდაბნოს მოყვარულია, ფინიკის პალმის ფესვთა სისტემა ნიადაგის ღრმა ფენებში ჩადის, რათა წყალი მოიპოვოს. აქედან გამომდინარე, ფინიკის პალმა გაჟღენთილია იმ იშვიათი მიკროელემენტებით, რომლებიც მხოლოდ ნიადაგის ღრმა ფენებში, კერძოდ, 30-50 მეტრის სიღრმეზე მოიპოვება. **ფინიკის პალმის** ნაყოფი, ანუ **ფინიკი** მდიდარია უჯრედისით. 5 ცალ ფინიკში, დღიური ნორმის თვალსაზრისით, კალიუმის 20 პროცენტია, სპილენძის — 18 პროცენტი, მაგნიუმის — 14 პროცენტი... ფინიკი შეიცავს ვიტამინებს — B5-სა და B6-ს, ასევე ფოლის მჟავას და A ვიტამინს...

**— გავრცელებულია აზრი, თითქოს ფინიკი შაქრიან დიაბეტს არ ვნებს!**

— ეს აზრი სწორია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ... მიუხედავად იმისა, რომ ფინიკის ნაყოფის 70 პროცენტი მარტივი შაქარია, მასში შედის ისეთი ნივთიერებები, რომლებიც სისხლში გლუკოზის დონეს აკონტროლებენ. **ფინიკი ხელს უშლის დიაბეტის პროგრესირებას და საუკეთესო ბუნებრივი საშუალებაა დიაბეტური ანგიოპათიისა და ნეიროპათიის პროფილაქტიკისთვის,** მაგრამ ფინიკის ჭამის დროს აუცილებლად უნდა დავიცვათ ნორმა... კერძოდ, **თუ გვინდა, რომ ფინიკმა გვარგოს, დღის განმავლობაში 2-3 ცალზე მეტი არ უნდა ვჭამოთ!**

ფინიკი უებარი წამალია მათთვის, ვისაც გული აწუხებს. იგი აუმჯობესებს ლიპიდურ ცვლას და ახდენს ინფარქტისა და ინსულტის პროფილაქტიკას. **ფინიკი საუკეთესო საშუალებაა შიმშილის მოსაკლავად, რადგან ის შეიცავს შაქარსა და B ჯგუფის ვიტამინებს.** სწორედ ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ **ალექსანდრე მაკედონელის** მეომრებს ხანგრძლივ და მომქანცველ ლაშქრობებში ფინიკი მუდამ თან ჰქონდათ. ფინიკი განსაკუთრებულია იმ მხრივაც, რომ გამომშრალი სახით ძალიან დიდხანს, თვეობით ინახება და არ ფუჭდება.

**— გამიგია, რომ ფინიკის ჭამას ორსულ ქალებს ურჩევენ. რამდენად სასარგებლოა ფინიკი მათთვის?**

— არსებობს მთელი რიგი კვლევები, რომელთა თანახმადაც, ორსულმა ქალებმა, რომლებიც მშობიარობამდე ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში დღეში 4-5 ცალ ფინიკს მიირთმევდნენ, წარმატებით და მსუბუქად იმშობიარეს. ასეთი ქალების მშობიარობის შემდგომი პერიოდიც ასევე მსუბუქად წარიმართა. ფინიკის ეს თვისებები დაკავშირებულია ფინიკში შემავალ ოქსიტოცინთან, რომელიც საშვილოსნოს კუნთოვანი ქსოვილის ტონუსზე დადებით გავლენას ახდენს.

საერთოდ, ყოველი ხილისა და ბოსტნეულის შენახვისა და მოხმარების დროს არსებობს საშიშროება, რომ მასში არ აღმოჩნდეს ბაქტერიები, პარაზიტები და სხვადასხვა მავნე მიკროორგანიზმები. ამ მხრივ **ფინიკი სრულიად უნიკალური პროდუქტია, რადგან მასში ვერავითარი ბაქტერია, პარაზიტი თუ მიკროორგანიზმი ვერ მრავლდება!** ფინიკს მასში არსებული პოლიფენოლების დიდი რაოდენობის გამო ანტიოქსიდანტური თვისებები გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელს უშლის კიბოს უჯრედების გამ-



**„საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ქალის სახელი თამარი, რომელიც საქართველოს უდიდეს მეფეს ერქვა, დავით წინასწარმეტყველის ქალიშვილის სახელიდან მოდის და ფინიკის პალმის აღმნიშვნელია!“**



**„ფინიკი ხელს უშლის დიაბეტის პროგრესირებას და საუკეთესო ბუნებრივი საშუალებაა დიაბეტური ანგიოპათიისა და ნეიროპათიის პროფილაქტიკისთვის!“**

**„არსებობს მთელი რიგი კვლევები, რომელთა თანახმადაც, ორსულმა ქალებმა, რომლებიც მშობიარობამდე ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში დღეში 4–5 ცალ ფინიკს მიირთმევდნენ, წარმატებით და მსუბუქად იმშობიარეს!“**





ალექსანდრე მაკედონელი. პომპეის მოზაიკის ფრაგმენტი

# „შემორჩენილია ცნობები იმის შესახებ, რომ ბრძოლის წინ მაკედონელი თავის მეომრებს შვიდ ცალ ფინიკს აჭმევდა, რათა მათ ძალა და გამძლეობა ჰქონოდათ!“

რავლებას და კარგია ოსტეოპოროზის პროფილაქტიკისთვის! დადგენილია, რომ მამაკაცები, რომლებიც დღეში სამ-ოთხ ცალ ფინიკს მიირთმევენ, ლიბიდოსა და პოტენციას ღრმა სიბერემდე ინარჩუნებენ. ფინიკი ძალიან უხდება ე.წ „იზჟოგას“, ანუ გულწვას. ფინიკის ეს თვისება განპირობებულია მასში არსებული გლუტამინის მჟავით, რომელიც კუჭს იცავს.

**— საქართველოში ფინიკი ყველგან იყიდება, ოდესღაც დეფიციტური პროდუქტი უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომია, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ფინიკი დაჭიანებულია... რა არის ამის მიზეზი?**

— საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს მაღაზიებში ძირითადად უხარისხო ფინიკი იყიდება. გასწავლით უმარტივეს მეთოდს, როგორ უნდა გამოვიცნოთ ფინიკი ხარისხიანია თუ უხარისხო. ამისათვის ფინიკი ხელში ავიღოთ და დავაკვირდეთ... **ფინიკის ნაყოფი უნდა იყოს მთლიანი და ყველაზე მთავარი — თითებს არ უნდა ეწებებოდეს!** ზოგიერთი თაღლითი და არაკეთილსინდისიერი მწარმოებელი, იმისათვის, რომ ფინიკმა ტრანსპორტირებას გაუძლოს და დიდხანს არ გაფუჭდეს, პროდუქტს ზემოდან შაქრის წყალხსნარს ასხამს ხოლმე. სწორედ ამის გამოა ფინიკი წებოვანი და სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი, რომ ფინიკს მატლები ესევა!

**— საერთოდ, ხილი მარგებელია?**

— დავიწყოთ იმით, რომ ფინიკი ხილი არ არის! რაც შეეხება ხილს, მშობლები ბავშვებს დიდი რაოდენობით ხილის ჭამას აძალებენ და ამას იმით ხსნიან, რომ თითქოსდა ხილში ბევრია ვიტამინები, მიკროელემენტები და სხვა სასარგებლო ნუტრიენტები. სინამდვილეში ხილის 85 პროცენტი შაქარია... რაც შეეხება ვიტამინებს, ზოგიერთ ხილში შესაძლოა, მართლაც იყოს ბევრი C ვიტამინი, უჯრედისიც, მაგრამ, ზოგადად, ხილში ძალზე მცირეა ცილა. ე.ი. რა გამოდის, საჭირო რაოდენობის ცილებს ხილისგან ვერ მივიღებთ. ხილში ასევე ძალზე ცოტაა ცხიმიც მაშინ, როცა ცხიმოვანი მჟავები ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ხილში ცოტაა რკინაც, ხოლო B12 ვიტამინი საერთოდ არ არის... ხილში ცოტაა თუთია, კალციუმი, „ომეგა-3“, D ვიტამინი...

**— კი მაგრამ, ხილში სასარგებლო რამე საერთოდ არის?**

— გაგიკვირდებათ, მაგრამ ხილი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ძირითადად უსარგებლო პროდუქტია. მისი ერთადერთი სიკეთე მასში არსებული შაქარია, რომელიც ხილში 5-ჯერ მეტია, ვიდრე ბოსტნეულში. შაქარი რომ მავნეა, ყველამ ვიცით, თუმცა, ხილის შაქარი, ანუ ფრუქტოზა ნამდვილი კატასტროფაა. ფინიკი იმიტომ არის საინტერესო და განსაკუთრებული პროდუქტი, რომ მასში არსებულ ფრუქტოზას სხვა ელემენტები ანეიტრალებენ, რასაც ვერ ვიტყვით ვაშლზე, საზამთროზე, ნესვზე, მსხალზე, ბალზე, ქლიავზე, ლეღვზე და ა.შ. ფრუქტოზა ორგანიზმის არცერთ უჯრედს არ სჭირდება და ის მხოლოდ ღვიძლში ლაგდება შაქრის მარაგის — გლიკოგენის სახით. ზედმეტი ფრუქტოზა იწვევს თირკმელზედა ჯირკვლის მიერ კორტიზოლის გამოყოფას, რაც, თავის მხრივ, მაღლა სწევს ინსულინის დონეს, რომელსაც ინსულინრეზისტენტობამდე მივყავართ. აქედან ღვიძლის გაცხიმოვნებამდე და შაქრიან დიაბეტამდე ერთი ნაბიჯია. საქართველოში ძალზე პოპულარული ვაშლიც კი ყველაზე მავნებელი ხილია. თავად განსაჯეთ, 100 გრამ ვაშლში 16-20 გრამი შაქარია, რაც ოთხ-ხუთ ჩაის კოვზ შაქარს უდრის. ორი ცალი ვაშლის ჭამით ჩვენ 10 ჩაის კოვზ შაქარს ვღებულობთ, რაც კატასტროფაა.

**— თუ ხილის გარეშე ვერ ვძლებთ, მაინც რომლის მირთმევა სჯობს, რომელია ნაკლებად მავნე?**

— ბროწეული, ალბათ, ერთადერთი ხილია, რომელიც შაქრის დონეს დაბლა სწევს! გარდა ამისა, მას აქვს ანტიოქსიდანტური თვისებაც, რის გამოც ძალზე კარგად მოქმედებს გულსისხლძარღვთა სისტემაზე. არაჩვეულებრივია კივიც, ოღონდ ზომიერად უნდა მივირთვათ, რადგან 100 გრამი კივი 14 გრამ შაქარს შეიცავს. სამაგიეროდ, კივში ბევრია C ვიტამინი და გაჯერებულია სასარგებლო ნუტრიენტებით. ერთადერთი, კივს უნდა ერიდონ ის ადამიანები, რომლებსაც თირკმლებში კენჭები აქვთ. ძალიან სასარგებლოა კენკროვნები — მარწყვი, ჟოლო, მოცვი. საერთოდ, ბავშვები თავიდანვე შევაჩვიოთ არა ხილს, არამედ ბოსტნეულს, რომელიც ჯანმრთელობისთვის იდეალური პროდუქტია!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# «ფინიკი ხელს უშლის კიბოს უჯრედების გამრავლებას!»






**იმედის კლინიკა**

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80



**მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!**

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, გულძმარვას, კუჭის წყლულს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას, ფაღარათს), ჭიებს, თმის ჩაბრუნებას, მასტოპათიას. მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ძერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით), სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც), მცენარეული ნაყენით მარილებს გამოჰყავს ორგანიზმიდან.

**ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52**





**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


## საეკლესიო კალენდარი



27 თებერვალი - ხსენება ღირსისა მღვდელ-მონაზონისა ილარიონ ქართველისა, ახლისა

✝ **24 თებერვალი. ორშაბათი.** მღვდელმოწამისა ვლასისა, სებასტიელი მთავარეპისკოპოსისა; მართლისა თეოდორასი, საბერძნეთის დედოფლისა, წმიდათა ხატთა თაყვანისცემის აღმდგენელისა; პოვნა პატიოსანთა ნაწილთა მართლისა ზაქარიასი, იოანე ნათლისმცემლის მამისა.

✝ **25 თებერვალი. სამშაბათი. ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული;** ღირსმოწამეთა: პროხორე ქართველისა, ლუკა იერუსალიმელისა, მოწამისა ნიკოლოზ დვალისა და იერუსალიმის ქართველთა მონასტრებში ცხოვრებულთა ყოველთა ქართველთა მოწამეთა და ღირსთა მამათა.

✝ **26 თებერვალი. ოთხშაბათი.** ღირსისა მარტინიანე პალესტინელისა; ღირსისა ევლოგისა, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა სტეფანესი, ბერობაში სვიმეონისა, სერბეთის მეფისა, მირონმდინარისა; მოციქულთა და მოწამეთა: აკვილასი და პრისკილასი; წმიდათა მოწამეთა მამისა და ძისა, ჯვარცმით აღსრულებულთა.

✝ **27 თებერვალი. ხუთშაბათი. ღირსი შიო დიდისა, მღვიმელისა, სასწაულმოქმედისა, შიოობა. ღირსისა მღვდელმონაზონისა ილარიონ ქართველისა, ახლისა;** ღირსისა ავქსენტი გნდეგილისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა მარონისა, სირიელი მეუდაბნოისა;

✝ **28 თებერვალი. პარასკევი.** მოციქულისა ონისიმესი, 70-თაგანისა; ღირსისა ევსევისა, სირიელი მეუდაბნოისა; მოწამისა მაიორისა; მოწამისა იოანე თესალონიკელისა; ღირსისა ანთიმოზ ქიოსელისა.

✝ **1 მარტი. შაბათი. ყოველთა ღირსთა მამათა და დედათა, ღვაწლით გაბრწყინვებულთა;** მოწამეთა: პამფილე, უალენტი, პავლე, პორფირი, სელევკო, თეოდულე, ივლიანე და ხუთთა მეგვიპტელთა: ელიასი, იერემიასი, ესაიასი, სამოელისა და დანიელისა.

✝ **2 მარტი. კვირა. ყველიერის, მიტევების კვირიაკე. ადამის განდევნის ხსენება.** დიდმოწამისა თეოდორე ტირონისა, ახლად სტრატიოტად განწესებულისა.



27 თებერვალი - ხსენება ღირსისა მარონისა, სირიელი მეუდაბნოისა




საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა

**გიდმედი**

GIDMEDI GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ნანიზმი; 7. კიმპო; 12. ვესტელი; 13. პარია; 14. სომელიე; 15. თერძი; 16. რეალობა; 17. ზანტი; 18. ანონიმი; 22. რანდა; 23. ლაბადა; 26. როენა; 27. კუბატურა; 28. ჯოლი; 30. ცირკონი; 31. კივი; 33. მელომანი; 34. ქოლგა; 35. ონასისი; 39. სიცილია; 43. მალარია; 44. კართაგენი; 45. ფარადეი; 46. ნამიბია; 50. ნეოლითი; 51. ადიდასი; 55. აპოლოგეტი; 57. ვიღაც; 60. არ; 61. პლაგიატი; 62. პირამიდა; 65. ტიბალტი; 66. მელანინი; 67. შინაური.

შვეულად: 1. ნესტა; 2. ნამყო; 3. ზალპი; 4. ივერი; 5. ასტანა; 6. სერობა; 7. კითარა; 8. მარენგო; 9. ოპიზარი; 10. კრენდელი; 11. კანიბალი; 19. ნიუმენი; 20. ნეაპოლი; 21. მოურავი; 23. ლაციო; 24. ბარდა; 25. დიონი; 28. ჯიქი; 29. ლელია; 31. კატარი; 32. ვალიზი; 36. ნარკოზი; 37. სტატიკა; 38. სველია; 39. სოფია; 40. ცირკი; 41. ლიდია; 42. აკინი; 43. მინდორი; 47. მიომა; 48. ბლეფი; 49. ამირანი; 52. დოლჩე; 53. დოგმა; 54. სპარი; 56. პაპი; 57. ვიტი; 58. ღობე; 59. ცელი; 63. რეი; 64. მთა.

**საბადომინოტავრიალავიწიწილადირბილობიორიონი**
**კოზაკითარაზონარინიხრიკისტადიონისელაპისილა**

# აი ექიმი!



***აი ექიმი! აი ადამიანი! — ხმამაღლა ჩაილაპარაკა პროფესორის კაბინეტიდან სამუშაო დღის მიწურულს გამოსულმა პაციენტმა, რომელიც ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ გულწრფელ ღაღადს ექიმთან ინტერვიუს ჩასაწერად მისული ჟურნალისტი გავიგონებდი. თურმე პირის ღრუსა და სახის არეში ნებისმიერ დროს შეიძლება ისეთი პათოლოგია აღმოცენდეს, რომლის დაძლევაც ამ პროფილის გამოცდილი ექიმის გარეშე შეუძლებელია! კაბინეტის კარი შევაღე. ოპერაციებით გადაღლილი წარმოსადეგი დასტაქარი, ჩემი სტუდენტობის მეგობარი ღიმილით შემომეგება და თავისი სასწაულმოქმედი ხელი, რომელსაც ასობით პაციენტი ჯოჯოხეთური ტკივილებისგან ჰყავს გამოხსნილი, გამარჯობის ნიშნად თავმდაბალი ღიმილით გამომიწოდა. როდის და რა შემთხვევებში უნდა მიმართოს ადამიანმა ყბა-სახის ქირურგს?*** *— „ეს დარგი უმარტივესიდან ურთულესის ჩათვლით ძალიან ბევრ ნოზოლოგიას მოიცავს“,* ***— გვითხრა ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის, ასევე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირის ღრუსა და ყბა-სახის ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელმა, მედიცინის დოქტორმა, პროფესორმა ოთარ ბრეგაძემ:***

# აი ადამიანი!

— ჩვენი დარგი საკმაოდ სპეციფიკურია, რადგან მოქმედების სფერო პირის ღრუს და მთლიანად სახეს მოიცავს. ყბა-სახის ქირურგია ემსახურება სახის, პირის ღრუს, კბილების, ყბების და კისრის თანდაყოლილი ან შეძენილი დაავადებების, დაზიანებების და დეფორმაციებისგან განკურნებას. ჩვენთან მოსული პაციენტები ხშირად უჩივიან ანთებით პროცესებს, სანერწყვე ჯირკვლების პათოლოგიებს, სამწვერა ნერვის დაავადებებს და, ზოგჯერ, სიმსივნეებსაც. ყბა-სახის ქირურგიის სფეროა სხვადასხვა სიმსივნეები და კისტები, თუნდაც, ყბის ძვლის კისტა. ისეთი პაციენტებიც მოდიან, რომლებსაც სახის არეში ესთეტიკური ხასიათის კორექციები ესაჭიროებათ. არის თანდაყოლილი ანომალიები, რომლებიც შეიძლება ბავშვთა ასაკში გამოვლინდეს, მაგალითად, კბილების განვითარების, ასევე ყბების განვითარების ფარგლებში. გვხვდება ზედა ან ქვედა ყბის ზრდაში ჩამორჩენები, ასიმეტრიები, თანდაყოლილი ნაპრალები, მაგალითად, ტუჩისა და სასის ნაპრალი. ბრიკეტებით კბილთა რკალის გასწორება ორთოდონტიული ღონისძიებაა, მაგრამ მას შეიძლება ქირურგიული ხელშეწყობაც დასჭირდეს, ანუ მკურნალობას კომბინაციური ხასიათი ჰქონდეს ან ჯერ ქირურგიული მანიპულაცია ჩატარდეს და მერე ორთოდონტიული ღონისძიება დაერთოს.

**— ყველაზე ხშირად ტრავმებით დაზიანებული პაციენტები მოგმართავენ?**

— მშვიდობიან პერიოდში ტრავმების სიხშირე მხოლოდ საყოფაცხოვრებო ტრავმებით — ავტოავარიებით, უბედური შემთხვევებით განისაზღვრება. ყბა-სახის ტრავმების სტატისტიკა განსაკუთრებით საომარი ვითარების პერიოდში მატულობს. 2008 წლის ომის დროს რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვმუშაობდი და ძალიან ხშირი იყო ცეცხლსასროლი იარაღით თუ ყუმბარის ნამსხვრევებით მიყენებული ყბა-სახის ტრავმები. მშვიდობიან პერიოდში კი დაჟეჟილობებს თუ არ ჩავთვლით, ექიმებს პაციენტები ყველაზე ხშირად ყბის და სახის ძვლების მოტეხილობით მიმართავენ. თავის მხრივ, ეს ტრავმები სხვადასხვა სიმძიმისაა, მარტივიდან დაწყებული ისეთ რთულ მოტეხილობებამდე, რომლებსაც სხვადასხვა დეფექტების წარმოქმნა ახასიათებთ. გარდა იმისა, რომ აუცილებელია მოტეხილი ფრაგმენტების რეპოზიცია, იმობილიზაცია, გასწორება, შემდგომში დეფექტების წარმოშობის შემთხვევაში აუცილებელი ხდება მათი შევსება ძვლის გადანერგვით და ტიტანის სუბსტანციის დამატებით.

**— მსმენია, რომ პაციენტები არცთუ იშვიათად სახის არეში ქრონიკული ტკივილებით იტანჯებიან. ეს რით არის განპირობებული?**

— ასეთი ტკივილები განსაკუთრებით ახალგაზრდულ ასაკში აღინიშნება. ხშირ შემთხვევაში სწორი დიაგნოზის დასმა ვერ ხერხდება და პაციენტს სხვადასხვა პროფილის ექიმთან მისვლა უწევს. მაგალითად, ასე ხდება საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის პათოლოგიების დროს, რომელთაც ახასიათებთ ტკივილი, თუმცა, ძალზე ჰგვანან ოტოლარინგოლოგების, ნევროლოგების, ფსიქიატრების კომპეტენციაში შემავალ დაავადებებს. საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის დაავადება შეიძლება სრულიად უსიმპტომოდაც მიმდინარეობდეს და ვლინდებოდეს მხოლოდ ხმაურში, რომელიც ყბის მოძრაობის მომენტში, ვთქვათ ღეჭვისას გაისმის. პაციენტები გაურკვევლობაში არიან, ზოგი სამწვერა ნერვის სხვადასხვა ნევროლოგიური დანიშნულებით მკურნალობს, მაგრამ რეალურად შეიძლება, საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის დაავადება — ქრონიკული ან გამწვავებული ართრიტი ჰქონდეს.

**— სამწვერა ნერვის ანთება ხომ ნევროლოგიის სფეროა?**

— დიახ, თუმცა, მის მკურნალობაში ნევროლოგებთან ერთად ხშირად ყბა-სახის ქირურგებიც ვმონაწილეობთ. არის პაციენტისთვის მეტად შემაწუხებელი და ცხოვრების პირობების გამაუარესებელი დაავადება, სამწვერა ნერვის ნევრალგია, რომელსაც შეტევითი და ისეთი აუტანელი მწვავე ტკივილები ახასიათებს, რომ პაციენტმა მათგან თავის დასაღწევად თვითმკვლელობასაც შეიძლება მიმართოს. ამ დაავადების დროს პაციენტები ვერ ღეჭავენ, ვერ იკვებებიან, ვერ ლაპარაკობენ, წყლის დალევაც კი განუზომელ ტანჯვას აყენებთ! ასეთ დროს ნევროლოგების მხარდამხარ ყბა-სახის ქირურგებიც ვერთვებით საქმეში, რადგან მხოლოდ მედიკამენტურ მკურნალობას შედეგი არ მოაქვს და ტკივილის კუპირების (ტკივილების პერიოდის შემცირება) მიზნით საჭირო ხდება ნერვის ღეროში ბლოკადების ჩატარება, ანდა სულაც ქირურგიული ოპერაცია, ნერვის გადაკვეთის ან სრულად ამოკვეთის მიზნით.

**— ნერვის ამოკვეთა რა შედეგს განაპირობებს?**

— ტკივილი ქრება, მაგრამ იმ უბანზე, სადაც ტკივილის აღმოცენება ხდებოდა, მგრძნობელობის მოშლა ვითარდება. თანდათან ადაპტაცია ამ მდგომარეობასთანაც ხდება. წლების განმავლობაში ნერვმა შესაძლოა, რეგენერაცია განიცადოს და მგრძნობელობა დაბრუნდეს, მაგრამ ამასთან ერთად დაბრუნდეს ტკივილის შეგრძნებაც! უნდა გითხრათ, რომ ბოლო პერიოდში ძალიან მომრავლდნენ სამწვერა ნერვის პათოლოგიებით გატანჯული ადამიანები. შეუძლებელია, ვინმე გულგრილი დარჩეს მათი უზომო ტანჯვის შემხედვარე. ჭეშმარიტი, იდიოპათიური ნევრალგიების გამომწვევი მიზეზები ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია. სიმპტომურ ნევრალგიებს კი მრავალი მიზეზი შეიძლება განაპირობებდეს — დაწყებული თავის ტვინიდან, სადაც შეიძლება კვანძთან დაკავშირებით ნერვულ-სისხლძარღვოვანი კონფლიქტი ჩამოყალიბდეს, დამთავრებული პერიფერიულით, როცა ნერვის გავლის ადგილზე ამ ნერვის არხის ანთებითი პროცესებით, ნაწიბურებით, კისტებით, სიმსივნური წარმონაქმნებით, კომპრესიებით და ტრავმებით განპირობებული შევიწროებები ჩნდება. ასეთი სიმპტომები უფრო ხშირად შუახანს გადაცილებულ, ხანდაზმულ პაციენტებს ახასიათებთ.

**— ძვლის გადანერგვა რა შემთხვევაში ხდება?**

— ძვლის გადანერგვის აუცილებლობა უბნის დეფექტის ზომით განისაზღვრება, მაგალითად, პაროდონტის დაავადებების დროს, მათი მკურნალობის გაუმჯობესების მიზნით, რადგან ასეთ დროს სრულ განკურნებაზე საუბარიც შეუძლებელია. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ანთებითი პროცესების ან სიმსივნის დროს ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის შედეგად ძვლის გარკვეული ნაწილი იკარგება (ამოიკვეთება) და რაღაც ეტაპზე საჭირო ხდება ქსოვილში იმავე მოცულობის დამატება. ძვლის გადანერგვამ ბოლო დროს სისტემატური გამოყენება პოვა იმპლანტოლოგიაში, რადგან პოპულარობით სარგებლობს დაკარგული კბილების იმპლანტებით ჩანაცვლება და ხშირად ძვლოვანი ქსოვილის უკმარისობის აღმოსაფხვრელად კეთდება ოპერაციები ძვლის მოცულობის გასაზრდელად, რათა შემდგომში იმ რეგიონში იმპლანტის მოთავსება გახდეს შესაძლებელი.

## ოთარ ბრეგაძე — დასტაქარი, რომელმაც არაერთი პაციენტის დამსხვრეული ყბის და სახის ძვლები გაამთელა!

**— „ტკაცუნა სახსარს“ რა განაპირობებს?**

— ქრონიკული ანთებითი პროცესები, ართრიტები, გადატანილი ტრავმები, თანმხლები დაავადებები და მავნე ჩვევები. „ტკაცუნა სახსარი“ ხშირად გვხვდება ახალგაზრდებში. ასეთებს ღეჭვის დროს სახსარში მკვეთრად გამოხატული ხმაური ახასიათებთ.

**— სანერწყვე ჯირკვლების პათოლოგიებზე რას გვეტყვით?**

— სანერწყვე ჯირკვლების დაავადებები შეიძლება ზოგად სნეულებებთანაც იყოს კავშირში, მაგრამ ასევე ჰქონდეს, პირობითად, ჯანმრთელ ადამიანსაც. სანერწყვე ჯირკვლის დაავადება შესაძლოა ანთებითი, ანუ ვირუსის პროვოცირებით ჩამოყალიბდეს ანდა პირის ღრუდან (რომელიც ყველაზე მიკრობული გარემოა) სტომატოგენური გზით განვითარდეს. ანთებას ძლიერი ტკივილი ახასიათებს. შეიძლება იყოს კენჭოვანი დაავადება და მისგან გამომდინარე ანთება. მწვავე ფორმის დროს იწყება შეშუპება, სხეულის ტემპერატურა მატულობს და სამედიცინო ჩარევა აუცილებელია. ქრონიკული ფორმის შემთხვევაში ორგანიზმი პრობლემებთან ადაპტირებულია, რადგან გამწვავებები პერიოდულად ხდება, ამიტომ პაციენტი ხშირად თვითმკურნალობას მიმართავს.

**— სახის არეში ოპერაციები განსაკუთრებით სათუთია. რამდენი ხანი სჭირდება ოპერაციას?**

— ოპერაციის სირთულეს გააჩნია. დრო ამის მიხედვით 10-15 წუთიდან 4-5 საათამდე მერყეობს. მაგალითად, სახის დამსხვრეულ ძვლებზე ხანგრძლივი ოპერაციის დროს მთელი ამ ხნის განმავლობაში ფეხზე დგომა და დაძაბულ რეჟიმში ყოფნა მიწევს. ერთდროულად რამდენიმე ოპერაციას ვუტარებ პაციენტს. ქვედა ყბის მოკვეთის და მისი ტიტანის მასალით ჩანაცვლების დროსაც რამდენიმე საათის განმავლობაში დაძაბული ფიზიკური შრომა მიწევს.

**— რას ურჩევთ პაციენტებს, როდის მოგმართონ დაუყოვნებლივ?**

— თუ ადამიანს პრობლემა გააჩნია და ატყობს, რომ ეს პრობლემა მას გარკვეულ საფრთხეს, თუნდაც უხერხულობას უქმნის, უკვე ვალდებულია, ექიმს მიმართოს. ბოლო დროს მოდაში შემოვიდა, რომ პაციენტები პრობლემის გადაჭრას და თვითმკურნალობას ელექტრონული ქსელებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე ცდილობენ, რაც კატეგორიულად დაუშვებელია, კონკრეტულად, ჩემი პროფილის პაციენტებისთვის. პირის ღრუს და სახის არეში ნებისმიერი შეშუპების ან ტკივილის აღმოცენების, მეტყველების შეფერხების და სხვა შემთხვევებშიც, ჯობს, პაციენტმა ექიმს მიმართოს, ვიდრე თვითმკურნალობას შეუდგეს.

**— ამდენი მადლიერი პაციენტის დაგროვება როგორ მოახერხეთ?**

— მადლიერი პაციენტებიც მყავს და გაბრაზებულებიც მყოლია. ისეთი რთულია ყბა-სახის ქირურგის პროფესია, რომ ზოგჯერ პაციენტი ვერ იღებს ისეთ შედეგს, როგორის იმედიც ჰქონდა. თანაც, ამ დარგის ექიმებს ტკივილებისგან განსაკუთრებით გატანჯული პაციენტები ხვდათ წილად და თითოეული ინდივიდუალურ თანადგომას, მისი განცდების აღქმას და განკურნების იმედს საჭიროებს. დიდი ფიზიკური ენერგიის გარდა, ყოველდღიურად ასეთ რეჟიმში ყოფნა ემოციებთან და, შესაბამისად, ფსიქოლოგიურ დატვირთვასთანაც არის დაკავშირებული. ექიმის არჩევანიც ეს არის — არამხოლოდ ფიზიკურად განკურნოს ადამიანი, მას მომავლის იმედი მისცეს და საკუთარი სულიერი ენერგია დაუნანებლად გაუნაწილოს!

## P.S.

დაინტერესებულ პაციენტებს შეუძლიათ, მკურნალობისთვის ან კონსულტაციისთვის ყბა-სახის ქირურგ **ოთარ ბრეგაძეს** მიმართონ მისამართზე: **თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №33, სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა (ყოფილი მე-9 საავადმყოფოს ტერიტორია). ტელ.: 032 221 44 00**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**ნინო ლეჟავა**
*მსახიობი*



**სპორტდარბაზში არ დავდივარ,** არც დრო მაქვს და არც ხალისი. **რასაც მე მთელი დღე დავდივარ, რაღად მინდა სპორტდარბაზი?!** მორბენალი სტრიქონივით ვარ.

„სარკე“

**ვიკა კალანდია**
*მსახიობი*



**იმდენად მიყვარს აქტიური ცხოვრება და ქაოსში ყოფნა,** რომ მისწრებაა ეს ქალაქი ჩემთვის. ძალიან მიყვარს საქართველო და თბილისი, მაგრამ **ნიუ იორკში მქონდა შეგრძნება, რომ ჩემს ქალაქში დავბრუნდი.**

„სარკე“

**დათო ოქიტაშვილი**
*კულტურის პალატის პრეზიდენტი*



სულ რომ არაფერი გავაკეთო, **სოფიკო ჭიაურელთან, მედეა ჩახავასთან და ლეილა აბაშიძესთან** მეგობრობაც მეყოფა.

„თბილისელები“

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №1-2, 3-8*

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი უძველესი ქართული მონეტის ისტორიას იხსენებს და აცხადებს, რომ „კოლხური თეთრი“ დაახლოებით 50 წლით ადრე მოიჭრა, ვიდრე პირველი ბერძნული და სპარსული ფული:***

— მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხანა იყო ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნე, რადგან იმჟამინდელ მოვლენებს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა და სამომავლო ორიენტირების განსაზღვრაშიც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება **„აბრეშუმის გზის“** ფენომენი, რადგან კაცობრიობის ადამიანური რესურსების 80 პროცენტი დღესაც თავმოყრილია ევრაზიის კონტინენტსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. **„აბრეშუმის გზამ“** ეკონომიკურად გააერთიანა ეს სივრცე — **ხმელთაშუა ზღვის აუზი შავ ზღვასთან, ეგვიპტესთან და წინა აზიასთან ერთად დაუკავშირა ინდოეთსა და ჩინეთს.** თანდათანობით ამ სისტემაში ჩაერთო ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპა, ბრიტანეთის კუნძულები, თანამედროვე რუსულ-სლავური სივრცე და იაპონიის კუნძულები, რამაც ერთი ორად გაზარდა არაერთი ტომისა თუ ქვეყნის ეკონომიკა, განათლება და კულტურის დონე, ავტომატურად გამოიწვია სავაჭრო გზებზე პოლიტიკური წესრიგის მოთხოვნილება.

„აბრეშუმის გზის“ შუა ნაწილში, სადაც თავმოყრილი იყო მაშინდელი კაცობრიობის 50 პროცენტი, ძველი წელთაღრიცხვის 550-522 წლებში აქემენიანთა სპარსეთის შაჰინშაჰებმა, **კიროს მეორე დიდმა** (ძვ. წ. აღ. 559-530 წ.წ.) და **კამბის მეორემ** (ძვ.წ. აღ. 530-522 წ.წ.) დაიპყრეს ყველა ძლიერი სახელმწიფო — მიდია, ლიდია და ბაბილონეთი ეგვიპტიანად და შექმნეს მსოფლიოში უძლიერესი სახმელეთო იმპერია, რომელმაც **„აბრეშუმის გზის“** სახმელეთო მონაკვეთზე სრული კონტროლი დაამყარა. პარალელურად, ქალაქმა ათენმა ეგეოსის ზღვის აუზში ძველი წელთაღრიცხვის 478 წელს ჩამოაყალიბა საზღვაო ქალაქ-სახელმწიფოთა კორპორაცია, საზღვაო იმპერია, **„დელოსის კავშირი“** და **კართაგენთან** ერთად „აბრეშუმის გზის“ საზღვაო მონაკვეთის სრულ ჰეგემონად იქცა.

ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნის შუა პერიოდში უკვე არსებულ მსოფლიო სავაჭრო მაგისტრალზე პოლიტიკური წესრიგიც კი დამყარდა. მეტიც, როდესაც **კიროს მეორემ** ძველი წელთაღრიცხვის 539 წელს ბაბილონი აიღო, იქ მას უკვე დახვდა უძლიერესი**საბანკო სახლები.** განსაკუთრებით ცნობილი იყო ეგიბების საბანკო სახლი, რომელიც სერვისით და კვალიფიკაციით თანამედროვე შვეიცარიულ ბანკებსაც არ ჩამოუვარდებოდა. ეგიბები ანაბრებს კრედიტად არასდროს გასცემდნენ, ამისათვის ცალკე სახსრები არსებობდა, ხოლო ანაბრებს, მიბარებულ ნივთებსა და მათ შესახებ ინფორმაციას თვით **კიროს მეორე აქემენიდიც** კი ვერ სწვდებოდა.

ამ საბანკო კაპიტალის მოძრაობა მესოპოტამიას ცდებოდა და ეგვიპტემდე, საბერძნეთამდე, კავკასიამდე და ინდოეთის ყურემდე აღწევდა. როგორც ჩანს, საბანკო სახლები ბერძნებსაც ჰქონდათ. აღარაფერს ვამბობ კართაგენელებზე... მაგრამ ყველაზე საინტერესო მთელ ამ ისტორიაში არის ის, რომ ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში არც ბაბილონში, არც ათენში და არც კართაგენში მონეტარულ სისტემას, ანუ ფულს არ იცნობდნენ. ანგარიშგება ხდებოდა ე.წ. შეკელებით, ანუ ვერცხლის ზოდებით, ცხვრებით, სხვადასხვა ძვირფასი ნივთებით და თვით მიწით და უძრავი ქონებითაც კი.

პირველი ფული, როგორც ამას არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, შესაძლოა, დაბადებულიყო მცირე აზიაში. ეს უნდა მომხდარიყო ძველი წელთაღრიცხვის მე-7-მე-6 საუკუნეების მიჯნაზე იქ, სადაც მესხეთის სამეფო, ანუ ისტორიული ფრიგია არსებობდა. ამ ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნის 80-იან წლებში გრანდიოზული კატაკლიზმები მოხდა, როცა მიდიელებისა და ლიდიელების შემოსევების შედეგად ფრიგიის სამეფომ არსებობა შეწყვიტა. სწორედ ამავე პერიოდში შავიზღვისპირეთში, საქართველოს ტერიტორიაზე იბადება **„კოლხური თეთრი“.**

**— „კოლხური თეთრი“ სამეცნიერო ტერმინია... საინტერესოა, ეს ვერცხლის მონეტა ქართული ფულია თუ ბერძნული?**

— „კოლხური თეთრი“ დაახლოებით 50 წლით ადრე მოიჭრა, ვიდრე პირველი ბერძნული და სპარსული მონეტა! იგი ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში იყო ბრუნვაში იმ ტერიტორიაზე, სადაც ქართული, ანუ კოლხური მოსახლეობა ცხოვრობდა. აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა არეალს ყირიმის ნახევარკუნძულიდან თანამედროვე სინოპამდე, რომელიც ახლა თურქულ პორტს წარმოადგენს. **საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია „კოლხური თეთრის“ ზარაფხანის კვალი,** ხოლო „კოლხური თეთრი“ მსოფლიოს ყველა დროის მონეტათა შორის გამორჩეულია იმით, რომ ბრუნვიდან მთელი 26 საუკუნის განმავლობაში არ გამოსულა!

**— თქვენ იმას ამბობთ, რომ „კოლხური თეთრი“ მე-20 საუკუნეშიც იყო ბრუნვაში?**

— დიახ, რა თქმა უნდა! **„კოლხური თეთრი“** ძველი წელთაღრიცხვის“ მე-6 საუკუნიდან მე-20 საუკუნემდე ნებისმიერ ეპოქაში აღმოჩენილ მონეტათა არქეოლოგიურ საგანძურებში გვხვდება. იმის შემდეგაც კი, რაც 1834 წელს რუსულმა ადმინისტრაციამ თბილისის ზარაფხანა დახურა და ოფიციალური მიმოქცევიდან ამოიღო ყველა ქართული ფული, „კოლხური თეთრი“ მაინც მიმოქცევაში დარჩა.

**— როგორ, რანაირად?**

— „კოლხური თეთრი“ საქართველოში რუსული მმართველობისა და რუსული ფულის დომინაციის პირობებშიც კი ფუნქციონირებდა. ცხადია, ეს ხდებოდა არაპირდაპირი გზით. კერძოდ, „კოლხური თეთრი“ ქცეული იყო ქართველი ქალების თავსაბურავების, ჩიხტიკოპების აუცილებელ სამკაულად. საჭიროების შემთხვევაში, „კოლხურ თეთრს“ ქართველი ქალები ჩიხტიკოპებიდან იხსნიდნენ და მათი გადაცვლის გზით, საჭირო პროდუქტს ყიდულობდნენ. ფაქტობრივად, მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე, ვიდრე ქართველ ქალებს ჩიხტიკოპი ეხურათ, „კოლხური თეთრი“ მიმოქცევაში იყო.

## 26-საუკუნოვანი მიმოქცევის ისტორიის მქონე ფული დედამიწაზე არ არსებობს და ვერც იარსებებს. „კოლხური თეთრით“ ქართველებმა ნამდვილად უნდა ვიამაყოთ.

ჩვენ საამაყო მარტო ის კი არ გვაქვს, რომ დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი ფული საქართველოში მოიჭრა, ქართველებმა ნამდვილად უნდა ვიამაყოთ იმით, რომ მსოფლიოში მცხოვრებ ერთა შორის ჩვენზე ადრე საკუთარი ფული არავის ჰქონია! თუმცა, ამაზე უფრო მთავარი სხვა რამეა — აქემენიანთა იმპერიისა და „დელოსის კავშირის“ ჩამოყალიბებამდე, სულ მცირე, ასი წლით ადრე, უკვე იმდენად იყო კაცობრიობა გამრავლებული, რომ ინდოეთიდან პორტუგალიამდე სავაჭრო ურთიერთობები არსებობდა. **ნაბუფალასარისა** (ძვ.წ. აღ. 626-604 წ.წ.) და **ნაბუქოდონოსორ მეორის** (ძვ.წ. აღ. 605-562) კარზე ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში სამხედრო ელიტაზე დიდი გავლენით დიდვაჭრები და მათთან დაკავშირებული ქურუმები სარგებლობდნენ, მაგრამ ჯერ თვით ქალდეურ-მისნური სიბრძნეც და დელფოს ორაკულებიც კი არ იყვნენ მისული იმ აზრამდე, რომ ვაჭრობის ტემპსა და ხარისხს მონეტარული სისტემის შემოღება რადიკალურად გაზრდიდა. ამ დასკვნამდე დელფოს ორაკულებსა და ბაბილონელ-ქალდეველ მისნებზე ადრე მივიდნენ **კოლხი ქართველების მამამთავრები.** სწორედ ამის დასტურია, რომ ბაბილონელებზე, დელფოსელებზე, აქემენიდებსა და ათენელებზე გაცილებით ადრე კოლხეთის მიწის შვილებმა **„კოლხური თეთრი“** მოჭრეს. მონეტარული სისტემის შემოღება ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნის მოვლენათა შორის ერთ-ერთი უდიდესი ფენომენია, რომლის მნიშვნელობაც დღემდე განუზომელია. თუმცა, იმ პერიოდის მსოფლიოსა და საქართველოში კიდევ მოხდა სხვა დიადი მოვლენები, რომელთა უმეტესობაც კაცობრიობის მომავალს დღემდე განსაზღვრავს.

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*



## სვიმონ მასხარაშვილი:

## ქართველებმა ნამდვილად უნდა ვიამაყოთ იმით, რომ მსოფლიოში მცხოვრებ ერთა შორის ჩვენზე ადრე საკუთარი ფული არავის ჰქონია!

## კვირგვინოსნები

**ხვიჩა მაღლაკელიძე**
*მუსიკოსი*



ერთ-ერთ დაბადების დღეზე, მაშინ წონაში ძალიან ვიყავი მომატებული და **მეუღლემ სარბენი ბილიკი მაჩუქა.** მივედი სამსახურში და ჩემი მეგობრის გამოგზავნილი საჩუქარი დამხვდა — **იქაც სარბენი ბილიკი.** კი მაქვს ახლა ორი ცალი, მაგრამ ვინ დადგა ზედ? **ერთიორჯერ გავიკატავე, კინაღამ დავასხი ტვინი** და მაქვს ახლა აყუდებული.

„თბილისელები“

**თამთა შედანია**
*მოდელი*



სამოდელო სფეროდან არ წავსულვარ, უბრალოდ, **ისეთ შემოთავაზებებს აღარ განვიხილავ,** რომლებიც სხვა ქვეყანაში რამდენიმეთვიან ყოფნას მოითხოვს. **დღეს ჩემთვის პრიორიტეტი ოჯახია** და მინდა, რომ სულ ამ გარემოში ვიყო.

„სარკე“

**თაკო მჭედლიშვილი**
*მსახიობი*



ეჭვიანობა არ მჭირდება, **სიცრუის დეტექტორი ვარ,** თანდაყოლილი ნიჭი მაქვს.

„თბილისელები“

**მარინა დარასელია**
*მსახიობი*



**ოჯახი რომ არ შევქმენი,** ამას ასაკში ძალიან განვიცდი. **მე ვინც მიყვარდა,** იმას არ ვუყვარდი, **მე ვისაც ვუყვარდი,** ის მე არ მიყვარდა.

„თბილისელები“

**მეგი ვიბლიანი**
*ჩინეთში მოღვაწე ქართველი მოდელი*



**ჩემს დედამთილს ძალიან ვუყვარვარ,** საერთო გარდერობი გვაქვს.

„თბილისელები“

# ᲛᲝ ᲒᲔᲚᲐ ᲜᲓᲔᲑᲘᲗ!

## ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲔᲚᲐ ᲮᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ



# ᲛᲙᲕᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲘ

ვინ ხართ, **ᲗᲥᲕᲔ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐ,** რა გინდათ, ვის დაჰკარგვიხართ? ვინ მუდრეგი იყო ეგ ტიელი **ᲛᲐᲙᲙᲔᲘᲜᲘ,** საიქიოდანაც რომ არ გვასვენებს?

ვერ ხედავთ, რომ **მკვდარი გიყენებთ ჩვენ წინააღმდეგ?**

თუ ნაგავის გატანაზე ვინმე „ატკაზს" დაარტყამს, სხვა მოვა და გაიტანს, რა პრობლემაა?

თუ ბანკების მოლარეები გაიფიცებიან, ისევ **ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲘᲐᲜᲔᲑᲘ** იზარალებენ... რაც შეეხება სატვირთოების მძღოლების სახლებში დარჩენას, სხვა მოიტანს **თქვენს თავზე დასაყრელ მიწას!**





### ᲚᲝᲠᲐ ᲗᲝᲠᲜᲢᲝᲜᲘ:

**ნაგავის არგატანა, ბანკების მოლარეების გაფიცვა, სატვირთო ავტომობილების მძღოლების სახლში დარჩენა ეკონომიკის პარალიზებას გამოიწვევდა და მნიშვნელოვნად გააძლიერებდა ზეწოლას „ქართულ ოცნებაზე".**

# ᲛᲘᲣᲜᲰᲐᲣᲖᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ



### ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

**ტრამპი ხუმრობდა, კარგია, რომ სააკაშვილს არ შეუძლია კენჭისყრა აშშ-ის პრეზიდენტად, თორემ კონკურენცია მექნებოდაო.**

აბა, კაცო, როდესაც **ᲛᲘᲮᲐ** სანზონაში დააპატიმრეს, **ᲢᲠᲐᲛᲞᲛᲐ** შვებით ამოისუნთქა — მთავარი კონკურენტი მოვიშორეო!

მიმიქარავს **ბარონი მიუნჰაუზენი, ᲠᲣᲓᲝᲚᲤ ᲔᲠᲘᲮ ᲠᲐᲡᲞᲔ** ცოცხალი რომ იყოს, ამ ნაწარმოებს ან **ᲛᲘᲮᲐᲡ** მონაყოლის მიხედვით ჩაასწორებდა, ან კიდე სულაც მასზე დაწერდა.

**ესე იგიო, კიდევ კარგი, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ კენჭს არ იყრის აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე, თორემ ძალიან დიდი თავსატეხი გამიჩნდებოდა და აუცილებლად წავაგებდიო.**

არადა, მედიცინაში მართლაც არსებობს **მიუნჰაუზენის სინდრომი:** ეს არის ფსიქოლოგიური და ქცევითი დარღვევა, როცა ადამიანი შეგნებულად იგონებს ან ხელოვნურად იწვევს ფიზიკური თუ ფსიქიკური დაავადების სიმპტომებს. **ეს საკმაოდ რთული და ჯერ კიდევ შეუსწავლელი პათოლოგიაა. პაციენტების უმეტესობა უარს ამბობს როგორც ფსიქიატრის, ისე ფსიქოლოგის დახმარებაზე და სისტემატურად იკიდებს ხელს ერთ ადგილზე.**

# ᲐᲠ ᲒᲨᲕᲔᲜᲘᲡ, ᲮᲐᲠᲐᲜᲐᲣᲚᲝ!


ᲛᲖᲘᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲝᲑᲔᲚᲘ


ᲑᲔᲡᲘᲙ ᲮᲐᲠᲐᲜᲐᲣᲚᲘ

**ᲑᲔᲡᲘᲙᲐ ᲞᲐᲞᲐᲛ** ახალი „შედევრი" გამააცხო!

და ეს „შედევრი", არც მეტი, არც ნაკლები, **ᲛᲖᲘᲐᲡ** მიუძღვნა:

**გაზაფხულს ია ამშვენებს,**
**სანთელი ეკლესიასა,**
**რა გაზაფხული მოვიდეს,**
**წავალ და დავკრეფ იასა,**
**მივართმევ, მივუსათუთებ,**
**გატანჯულ ქალაიასა,**
**ციხეს ზის ეგზომ მაღალსა,**
**ქორი ვერ გადაიარსა,**
**იქ არც გაზაფხულს ამბობენ,**
**დღეს არ აქებენ მზიანსა,**
**სიო არ ჩამოუქროლებს,**
**მკერდს არ გაუღელს ნიავსა.**

თქვენი არ ვიცი და... მე კი აშკარად დავინახე, რომ **ᲑᲔᲡᲘᲙᲐ ᲞᲐᲞᲐᲛ** რაღაც-რაღაცები (რიტმი, ფორმა, წყობა) **ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ** მოჰპარა:

**იას უთხარით ტურფასა,**
**მოვა და შეგჭამს ჭიაო,**
**მაგრე მოხდენით, ლამაზო,**
**თავი რომ აგიღიაო!**
**შენ თუ გგონია სიცოცხლე**
**სამოთხის კარი ღიაო;**
**ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,**
**მოსვლაში არა ყრიაო.**
**ნუ ნახავს მზესა, ინანებს,**
**განა სულ მუდამ მზეაო!**
**მიწავ, შენ გებარებოდეს**
**ეს ჩემი ტურფა იაო,**
**შენ უპატრონე, ემშობლე,**
**როგორაც შენი ზნეაო.**

ისე, **ᲑᲔᲡᲘᲙᲐ ᲞᲐᲞᲐᲡ** შეეძლო, ბევრი აღარ ეწვალა გადაკეთება-გადმოკეთებაში და ვაჟას ლექსში **„ᲘᲐ"**-ს ნაცვლად **„ᲛᲖᲘᲐ"** ჩაესვა. თუმცა, ეგეც, მგონი, არ იყო საჭირო, **ᲕᲐᲟᲐᲡᲐᲪ** ბევრგან აქვს გამოყენებული **„მზესა", „მზეაო"** და ასე შემდეგ.

**ნუთუ მართლა დაბერდა ბესიკა პაპა?**

ვაი, რომ ასე იცის **ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲔᲑᲗᲐᲜ** და **უბორნიის პოეტებთან** წანწალმა!

# ᲑᲐᲑᲝᲡ ᲤᲐᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ

ჰხედამთ, **ფალოსოფოს ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲕᲘᲗ** ალაპარაკდა — **საქართველოს მდგომარეობა ეგზისტენციურიაო!**

**ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲑᲐᲑᲝᲡ ფალოსოფიური მოსაზრებითა და ღრმა რწმენით,** საქართველომ დაკარგა ორიენტაცია სამყაროში და ამიტომაც არის **ეგზისტენციური.**

დიახ! მას შემდეგ, რაც **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲑᲐᲑᲝᲡ** ვადა გაუვიდა, მაგრამ მაინც დარჩა ერთადერთ ლეგიტიმურ ადამიანად ამ ქვეყანაში, ჩვენ უგზოდ და უკვლოდ დავბოდიალობთ უკიდეგანო სამყაროში, ვითარცა ასტეროიდები, ვითარცა მეტეორები და ვეღარ გაგვიგია, საით წავიდეთ.

დიახ! ქართველი ხალხი მზადაა, ბოლომდე იბრძოლოს, ოღონდ ვის უნდა ებრძოლოს, არ იცის!

**ქართველ ხალხს ისიც მოეხსენება, რომ მის ნაცვლად ვერავინ იბრძოლებს და ან კი რა სჭირს სამაგისო, მის ნაცვლად სხვამ იბრძოლოს? ბოლოს და ბოლოს, თამარის შემდეგ განა საქართველოს ასეთი მხედართმთავარი ჰყოლია?**

☺

ადრეც დავწერე და ვიმეორებ: **ჩვენ ბედი გვწყალობს, ყოველ საჭირო მომენტში გამოგვიჩნდება ხოლმე ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲑᲐᲑᲝᲡ მსგავსი პატრიოტი, რომელსაც სამშვიდობოს გავყავართ. ამიტომაც მოვაღწიეთ დღემდე, თორემ დედამიწაზე ისეთ იმპერიებს დეერხათ, როგორიც, მაგალითად, რომი იყო.**



### ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

**ქართველი ხალხი მზადაა, ბოლომდე იბრძოლოს, დღეს არავის ჰგონია, რომ ვინმე სხვამ უნდა იბრძოლოს ჩვენ მაგივრად, საქართველოს მდგომარეობა ეგზისტენციურია.**

არა, რა გინდათ, რაც ლეგიტიმურ პრეზიდენტად დავნიშნეთ, ხომ ისწავლა ერთი **ფალოსოფიური** სიტყვა? კვირაში ერთი ეგეთი რამე რომ ისწავლოს, **გათხრა-გამოთხრები** აღარ დასჭირდება და შეიძლება **ფალოსოფოს ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ** პირდაპირ კარტოფილის გადარჩევაშიც დაეხმაროს!



### ᲙᲣᲑᲘᲚᲘᲣᲡᲘ:

**სამართლიანი მშვიდობის მისაღწევად უკრაინელებს დამატებითი ძალა სჭირდებათ და ეს ძალა მხოლოდ ჩვენი, ამერიკისა და ევროპის მხრიდან შეიძლება მოვიდეს. ჯერ ძალა და შემდეგ მშვიდობა.**

# ᲙᲣᲘᲚᲘᲣᲡᲘ ᲐᲠ ᲪᲮᲠᲔᲑᲐ!

**სად გაქრა კუილიუსი?** — იკითხა ამასწინებზე გაზეთმა „ასავალ-დასავალმა", მაგრამ, როგორც ხედავთ, არსადაც არ გამქრალა, ლენინივით ცოცხლობს ჩვენს გულებში და აფრქვევს მოსაზრებებს უკრაინასთან დაკავშირებით.

**უკრაინამ უნდა იბრძოლოს, სანამ არ დაამარცხებს რუსეთს და არ დაამყარებს მშვიდობას მთელ დუნიაზეო. ეს ძალა უნდა წამოვიდეს აშშ-დან და ევროპიდანო...**

გაიგონეთ, რას ქადაგებს **ᲙᲣᲘᲚᲘᲣᲡᲘ?** ომი უნდა გაგრძელდესო, უკრაინამ რუსეთს ძალა უნდა აჩვენოსო, შემდეგ **ᲞᲣᲢᲘᲜᲘ** იძულებული იქნება, კაპიტულაცია მოითხოვოსო, 2014 წლამდელ საზღვრებს დაუბრუნდესო, ეს **ᲢᲠᲐᲛᲞᲘ** კიდე უკუღმა ლაპარაკობს, ჯერ მშვიდობა უნდაო...

აი, ამიტომაც აქვს ევროპას საქმე კარგად, **ეგეთი დუპლეტები** რომ სხედან ზემო თაროზე და მხოლოდ ჰაერის გაფუჭება იციან!



### ᲒᲘᲐ ᲮᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

**ტრამპის განცხადებები მთლიანად იმეორებს რუსულ ნარატივს და კატასტროფულ ხასიათს ატარებს.**



# ᲐᲡᲔᲗᲡ ᲠᲐᲡ ᲮᲣᲮᲐᲕᲡ?!

კაცი აშშ-ის ორგზის პრეზიდენტია და **ᲮᲣᲮᲐ** იძახის — მთლიანად **რუსულ ნარატივს იმეორებსო.**

**ᲮᲣᲮᲐᲡ** მსჯელობიდან აშკარად ჩანს, ესეც იყიდა ვიღაცამ და რასაც ამას აძლევენ, სართიჭალელ **ᲛᲐᲛᲔᲓᲐᲡ** მისცენ, უკეთეს ანალიზს გააკეთებს. რაც მთავარია, **ᲛᲐᲛᲔᲓᲐ** ეგეთი ჯიუტი არ არი, რასაც იტყვის, ასიანია. მგონი, საერთოდ არ ცდება, მთავარია დათვის ქონი, ყვავის ბუმბული და ბატის სკლინტი მიუტანო **პოლიტიკური ანალიზის ჩასატარებლად!**

**ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით, თევზები ხშირად მშვიდად მიჰყვებიან ცხოვრების დინებას, თუმცა, არსებობენ ისეთებიც, ვინც დინების საწინააღმდეგოდ ცურავს და სათქმელსაც ხმამაღლა ამბობს. სწორედ ასეთია ჩვენი დღევანდელი სტუმარი, თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული მსახიობი ასმათ ტყაბლაძე, რომელსაც 25 თებერვალს 81 წელი უსრულდება:**



ასმათ ტყაბლაძე შვილთან და შვილიშვილთან ერთად

# ასმათ ტყაბლაძე: ვარ თევზი, რომელიც დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!

— თევზების ნიშანი ცნობილია თავისი ემოციურობით, უყვარს წყალი და სისუფთავე. ვინაიდან მეც ზოდიაქოს ამ ნიშნით დავიბადე, ჩემი გამორჩეული დამოკიდებულება მაქვს წყალთან, მიყვარს რეცხვა, ხეხვა და, განსაკუთრებით, ბანაობა. ჩემთვის ეს ერთგვარი განტვირთვაა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ბავშვობაში ზღვამ კინაღამ დამახრჩო, წყლის შიში დამეუფლა და დიდი ხნის მანძილზე აღარ მინდოდა ზღვაზე წასვლა, მაგრამ გავიდა დრო და ეს შიშიც დავძლიე, რასაც ჩემი მებრძოლი ხასიათით ვხსნი და დინების საწინააღმდეგოდ ცურვაში მეხმარება.

**— ის თევზი ხართ, დინების საწინააღმდეგოდ რომ მიცურავს?**

— დიახ, ადვილად არაფერი მიმიღია, გარდა ბავშვობაში დამსახურებული ჯილდოსი, როდესაც სასკოლო ოლიმპიადაზე გავიმარჯვე და მაჯის საათი გადმომცეს ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერით. მაშინ ის კომკავშირის სათავეში იდგა. ერთადერთი, რაც იოლად გამომივიდა, თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩაბარება იყო. ჩემი მიზანი არასოდეს ყოფილა მედლებისა და ვარსკვლავების მიღება, ყველაზე დიდ ჯილდოდ მიმაჩნია ხალხის სიყვარული, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ.

სადაც არ უნდა მივიდე, უცხო ადამიანები მეუბნებიან, რომ ვუყვარვარ და მაფასებენ ჩემი გულწრფელობისა და სიმართლის გამო. **თევზების ზოდიაქოს ნიშანს ყველაზე მეტად ადამიანებთან ემოციური კავშირი და სითბო აბედნიერებს.**

**— თევზების ყველაზე გამორჩეული თვისება ინტუიციის სიძლიერეა...**

— წინათგრძნობის უნარი მაქვს. ბოლო დროს **მედეა კუჭუხიძეზე** ვფიქრობდი, მასთან დარეკვასა და მოკითხვას რომ ვაპირებდი, სწორედ იმ დღეს გარდაიცვალა. წინათგრძნობას მივაწერ იმასაც, როცა სრულიად შემთხვევით მეზობლის ბავშვი აივნიდან გადავარდნას გადავარჩინე. არ ვაპირებდი მათთან ჩასვლას, მაგრამ რაღაც აუხსნელი მიზეზით ჩავედი. ინტუიციამ მიკარნახა ჩემი ერთი მეგობრის გარდაცვალებაც, სიზმარში ვნახე და რაღაც მენიშნა... იმავე დილით დამირეკეს და მისი გარდაცვალების ამბავი მამცნეს. საერთოდ, ეს წინათგრძნობა ცხოვრებაში მეხმარება...

**— თევზებს ძლიერი ემოციური კავშირი აქვთ მეგობრებთან...**

— განსაკუთრებული მეგობრობა მაკავშირებდა **სოფიკო ჭიაურელთან,** მსახიობებს იშვიათად აქვთ ხოლმე ერთმანეთთან ასეთი დამოკიდებულება, შური და ბოღმა ჩვენთვის უცხო იყო. ის გახლდათ საოცარი ქალი, ხარის წელში დაბადებული, ზოდიაქოს ნიშნით — ტყუპი. 2 მარტს მისი გარდაცვალებიდან 17 წელი სრულდება, ამ დღეს ყოველწლიურად მივდივარ მის საფლავზე, რადგან ვგრძნობ, რომ ეს ჩემი ვალდებულებაა. არ მავიწყდება მასთან ბოლო შეხვედრა, მითხრა: **ასმათ, გიკვდებიო**. ერთგულება და სულიერი მიჯაჭვულობა თევზების ნიშნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და სოფიკოსთან მეგობრობაში ეს ყველაზე მეტად იგრძნობოდა.

ჩემი უფროსი მეგობარი გახლდათ **სესილია თაყაიშვილი,** სექტემბერში იყო დაბადებული, ქალწულის ზოდიაქოს ნიშნით. იყო შრომისმოყვარე, ორგანიზებული, უყვარდა დისციპლინა. ზაფხულობით ჩემს სახლში, დუშეთში, ისვენებდა ხოლმე, მაშინაც კი ჩადიოდა, როცა იქ მე არ ვიყავი. მიხარია, რომ ასეთი ადამიანები იყვნენ ჩემს ცხოვრებაში და ძალიან მინდა, რომ მათ შესახებ ბევრი რამ იცოდეს ახალმა თაობამ.



**„თევზების ზოდიაქოს ნიშანს ყველაზე მეტად ადამიანებთან ემოციური კავშირი და სითბო აბედნიერებს!“**



სესილია თაყაიშვილი და ასმათ ტყაბლაძე

**„ჩემი უფროსი მეგობარი გახლდათ სესილია თაყაიშვილი, სექტემბერში იყო დაბადებული, ქალწულის ზოდიაქოს ნიშნით!“**



ასმათ ტყაბლაძე ვერიკო ანჯაფარიძის ოჯახში

**— ხელოვნებისადმი მიდრეკილება თევზების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა...**

— თევზების ნიშნით დაბადებული ადამიანები განსაკუთრებული ემოციურობით გამოირჩევიან. არც მე ვარ გამონაკლისი, ჩემი ხალხის სიყვარული მაძლევდა ძალას, სცენაზე ბოლომდე დავხარჯულიყავი. მახსოვს ყველა ჩემი სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში, ყველა როლის კოსტიუმი... ცნობილი მოვლენების დროს, როცა მე და ჩემი კოლეგები მარჯანიშვილის თეატრიდან გაგვათავისუფლეს, ბევრი ბედს შეეგუა, მე კი ვერ ავიტანე უსამართლობა და, მიუხედავად იმისა, რომ თევზებს ნაკლებად ახასიათებთ მებრძოლის თვისებები, არ დავნებდი და ბევრს დავუმტკიცე, რომ არ ვიყავი სუსტი ადამიანი. ჩემთვის ეს იყო ძალიან მტკივნეული პროცესი, მაგრამ მჯეროდა, რომ ღმერთი ყოველთვის გვერდში უდგას იმ ადამიანს, ვინც სიმართლეს ემსახურება.

პოლიტიკაშიც რომ წავსულიყავი, დარწმუნებული ვარ, იქაც წარმატებული ვიქნებოდი და, ვფიქრობ, რომ ჩემს მიერ გადადგმული იმ ნაბიჯიდან, როცა თბილისის მერის არჩევნებში მივიღე მონაწილეობა, წარმატებული ვიყავი. თბილისის მოსახლეობის 4-მა პროცენტმა მომცა ხმა. ეს პატარა ამბავი არ არის, მითუმეტეს, რომ არც ბანერები მქონია, არც ყოველდღიური შეხვედრები ხალხთან, არც დაპირებები ჩამომიწერია. ხმა მომცეს ხალხთან მართალი და გულწრფელი დამოკიდებულებისთვის.

**— რა არის თქვენი უარყოფითი თვისება?**

— პირად ცხოვრებას არასოდეს ვაყენებდი წინა პლანზე და ახლაღა ვხვდები, რომ ეს იყო შეცდომა. ადამიანი უნდა ახერხებდეს დროის სწორად განაწილებას, რომ, არც ოჯახს დააკლდეს, არც — კარიერას. ჩემი გამოცდილებით ვიტყვი, რომ ცხოვრებაში მთავარი მხოლოდ საქმე არ არის, ბედნიერებისთვის აუცილებელია, გაგაჩნდეს შენი პირადი ცხოვრება. მყავს შვილი და შვილიშვილი, ისინი არიან ჩემი ცხოვრების აზრი, სულიერი სიმშვიდისა და სიხარულის წყარო. მეამაყება ჩემი შვილი — ნიჭიერი და განათლებული გოგონა, რომელმაც ოთხი ენა იცის, უყვარს წიგნის კითხვა... ასევე მიყვარს ჩემი ძმისშვილები და დისშვილები, ბებოს მეძახიან და ეს ძალიან მახარებს.

**— თევზების გამოცდილება ხშირად სხვებისთვის შთაგონების წყაროა...**

— ახალგაზრდებს მინდა ვურჩიო, არ დაელოდონ რაღაც ნიშანს, ცხოვრება თავად მოიწყონ და იშრომონ. მთავარია თვითდისციპლინა და მტკიცე ნებისყოფა. თევზებს ხშირად სჭირდებათ ბიძგი, მაგრამ ჩემი გამოცდილებით ვიტყვი, საკუთარ ბედს თავად ქმნით, სირთულეები იქნება, მაგრამ ბრძოლა საბოლოო წარმატებამდე მიგიყვანთ.

**— სად აღნიშნავთ 81-ე დაბადების დღეს?**

— ჩემმა შვილმა და შვილიშვილმა შარშან სტამბოლში წამიყვანეს, წელს კახეთში მეპატიჟებიან. მათთან ერთად ყოფნა ყველგან მიხარია. სინანულით ვიხსენებ იმ დროს, როცა ჩემს დაბადების დღეზე მოდიოდნენ ჩემი საყვარელი ადამიანები, სესილია, სოფიკო... ძალიან მაკლია ისინი...

**— გული ბერდება?**

— არა, სიცოცხლის ხალისი ისევ შემომრჩა და ჩემს ასაკში იმდენ საქმეს ვაკეთებ, ბევრი რომ ვერ წარმოიდგენს.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

# თევზების ზოდიაქოს ნიშანი –

***თევზების ზოდიაქო წარმოადგენს მისტიკურ ნიშანს, ახასიათებთ გამორჩეული ინტუიცია, ხშირად ოცნებებში იძირებიან, თუმცა, ეს მათ უნიკალურ შემოქმედებით უნარს მხოლოდ აძლიერებს. ეს ნიშანი წყლის სტიქიას ეკუთვნის, უპირატესობას ანიჭებენ გარემოს ენერგეტიკას, ჰარმონიას და სულიერ კომფორტს. სიამოვნებთ სხვებზე ზრუნვა და დახმარება, მათთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ სულიერი და ემოციური კავშირები.***

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.



**წადში,** დაიბადა მიტროპოლიტი **გაიოზ (ერისკაცობაში ბიძინა) კერატიშვილი.** გარდაიცვალა 71 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1961 წლის 24 თებერვალს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ილუზიონისტი, ილუზიონიზმის თანამედროვე კულტურის დამფუძნებელი საქართველოში **ზურაბ ვადაჭკორია.** გარდაიცვალა 57 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1975 წლის 24 თებერვალს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ტელეჟურნალისტი, თოქშოუ „ღამის კურიერის“ წამყვანი **გიორგი სანაია.** მოკლეს 26 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1927 წლის 25 თებერვალს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი **ელგუჯა ბერძენიშვილი.** გარდაიცვალა 91 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1930 წლის 25 თებერვალს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ნეიროფიზიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი **ვაჟა ოკუჯავა.** გარდაიცვალა 81 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1887 წლის 26 თებერვალს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ენათმეცნიერი, დიალექტოლოგი, ფილოლოგი, ლექსიკოლოგი, რუსთველოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი, აკადემიკოსი **აკაკი შანიძე.** გარდაიცვალა 100 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1899 წლის 27 თებერვალს, ღორის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი **ლეონარდ (ლეო) ესაკია.** მისი ცნობილი ფილმებია „ბაში-აჩუკი“,

## მიმდინარე კვირა - 24 თებერვალი - 2 მარტი

### თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1952 წლის 24 თებერვალს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა რუსთაველის თეატრის მსახიობი **თათული დოლიძე.** უყვარს თავისი ბედნიერი ბავშვობის გახსენება, საკუთარ ძალებში დარწმუნებულია, ახასიათებს სიბრძნე, არის კეთილშობილი.



**1988 წლის 26 თებერვალს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი **ნინო (ნინუცა) მაყაშვილი.** არის წინააღმდეგობებით სავსე, მგრძნობიარე, პოზიტიური ადამიანი.



**1968 წლის 27 თებერვალს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა დიპლომატი, საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი **დავით ზალკალიანი.** მას ახასიათებს თევზების ძირითადი თვისებები: ყოველთვის იცის, რა უნდა, თავდაუზოგავად ცდილობს თავისი გეგმების განხორციელებას, უფრთხილდება ოჯახურ ურთიერთობებს.



**1971 წლის 27 თებერვალს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ტელეწამყვანი **ზაალ უდუმაშვილი.** ბუნებით რომანტიკოსი, სახელოვნებო სფერო იქნებოდა მისთვის რეალური წარმატების მომტანი.



**1974 წლის 27 თებერვალს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი **პეტრე ცისკარიშვილი.** ერთი შეხედვით, აუღელვებელი, თუმცა, შეიძლება, სიმშვიდე უცებ გარდაექმნას სიბრაზედ და ნებისმიერი ხერხებით შეეცადოს მიზნის მიღწევას.



**1978 წლის 27 თებერვალს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი, თბილისის „დინამოს“, კიევის „დინამოსა“ და „მილანის“ საფეხბურთო კლუბების ყოფილი წევრი, თბილისის მერი **კახა კალაძე.** გამოირჩევა ლიდერული თვისებებით, აქვს კრეატიული, გამომგონებლური გონება, რაც საშუალებას აძლევს, შეეჭიდოს ნებისმიერი სახის სამუშაოს.



**1937 წლის 28 თებერვალს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **გრიგოლ წიტაიშვილი.** გულჩვილი, ემოციურად რეაგირებს მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკაზე, წყენას იმახსოვრებს, მაგრამ არ არის შურისმაძიებელი.



**1944 წლის 28 თებერვალს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, მწერალი, მოცეკვავე და სპორტსმენი **გივი სიხარულიძე.** არაპროგნოზირებადი, ენერგიული, შრომისმოყვარე.



**1953 წლის 28 თებერვალს, გველის წელიწადში,** დაიბადა ფერმწერი და გრაფიკოსი, თბილისის საპატიო მოქალაქე **ქეთევან მატაბელი.** ამ ნიშნით დაბადებულ ქალბატონებს აქვთ წინასწარმეტყველების უნარი, ხშირად მიმართავენ მათ რჩევისათვის.



**1981 წლის 28 თებერვალს, მამლის წელიწადში,** დაიბადა იურისტი, ყოფილი პარლამენტარი **ჩიორა თაქთაქიშვილი.** არ არის მშიშარა, აგრესიულადაც შეუძლია თავის გამოვლენა, ყოველთვის სურს მეტის გაკეთება, ვიდრე შეუძლია.



**1959 წლის 1 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა პოეტი **მაყვალა გონაშვილი.** ახასიათებს სტაბილურობა, სიდინჯე.



**1967 წლის 1 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის ყოფილი მინისტრი, უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, საქართველოს სადაზვერვო სამსახურის ყოფილი უფროსი **გელა ბეჟუაშვილი.** არის თავდაჯერებული, ზომიერი, მიმნდობი, მაგრამ უყვარს გადამოწმება.



**1975 წლის 1 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა მოსამართლე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი **ლევან მურუსიძე.** ერიდება კონფლიქტს, არ უყვარს გაურკვევლობა, მზად არის ცვლილებებისთვის.



**1957 წლის 2 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ბიზნესმენი **დავით იაკობაშვილი.** ადვილად ალაგებს ურთიერთობას ზოდიაქოს სხვა ნიშნებთან, ფრთხილია, იშვიათად მიდის კომპრომისზე.

### თევზების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1942 წლის 24 თებერვალს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი **მედეა ძიძიგური.** გარდაიცვალა 57 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1945 წლის 24 თებერვალს, მამლის წელი-**

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 24 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.44 საათზე, ჩადის 17.45 საათზე. **მთვარე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 04.41 საათზე, ჩადის 13.21 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 07.54 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** შესაძლებელია, ძველმა საქმემ წარმატება მოგიტანოთ. დაიცავით ადრე დასახული გეგმების თანმიმდევრობა. პარტნიორული ურთიერთობა გახდება უფრო ღრმა და ვნებიანი. მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელებთან ურთიერთობებს, ვაჭრობას, გაცვლით ოპერაციებს, ქორწინებას, ახალ კავშირებს, სტომატოლოგიურ პროცედურებს, მანუალურ თერაპიას, მკვეთრ მოძრაობებს, სიმძიმეების აწევას, თხილის, ციტრუსების და სხვა ალერგიის გამომწვევი პროცედურების ჩატარებას, ტატუს გაკეთებას. პოზიტიური დღეა კარგად მოფიქრებული საქმეებისთვის, მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის, მიწათმოქმედებისა და მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, კოლექციის შესაგროვებლად, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ნადირობისა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ეპილაციისთვის, მშენებლობისთვის, ექსპერტიზისთვის, წესრიგის დასამყარებლად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **ფერები:** ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ვერცხლისფერი, მწვანე. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

### 25 თებერვალი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.42 საათზე, ჩადის 17.47 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოში 09.53 საათზე. ამოდის 05.24 საათზე, ჩადის 14.34 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 08.18 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.29 საათიდან 09.41 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** საქმიანობის, ენერგიის მმართველი პლანეტა მარსი ხდება დირექტიული (სწორად მავალი), რაც ხელს შეუწყობს საქმეების სწორად და წარმატებით წარმართვას, ახალი პროექტების განხორციელებას, ინტუიციაზე დაყრდნობით მოქმედებას, ხელშეკრულების დადებას, მოლაპარაკების წარმოებას, აქტიურად მოქმედების უნარს. დღეს შესაძლებელი იქნება საჩუქრის შექმნა, პარტნიორულ ურთიერთობებში საკამათო თემების წარმატებით გადაჭრა. აკონტროლეთ მავნე ჩვევები, ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. საკვებ რაციონში შეიტანეთ ყავისფერი ბრინჯი, წიწიბურა, ფეტვი. მოერიდეთ მცენარეების დარგვა-გადარგვას, ფეხზე დიდხანს დგომას, ჯობს, იაროთ, თვალების გადაღლას. სასიკეთო დღეა სამეცნიერო კვლევისთვის, კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად, ადგილსამყოფლის შესაცვლელად, სარემონტო-სამღებრო საქმეებისთვის, დიეტის დასაცავად, რეკლამისთვის, განცხადებებისთვის, სწავლისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, მხედველობა, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი, ტოპაზი. **ფერები:** ნეონის, ცისფერი, ვერცხლისფერი, ყვითელი, წითელი, ვარდისფერი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

### 26 თებერვალი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.40 საათზე, ჩადის 17.48 საათზე. **მთვარე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 05.59 საათზე, ჩადის 15.51 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 08.33 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** უმაღლესი ძალებისაგან მხარდაჭერა გამახვილდება დილიდან, საღამოს კი მოიმატებს დეპრესია, შესაძლებელია დაავადებების გამწვავება, მოტყუება, ღამე კი ცუდი სიზმრები. პარტნიორული კუთხით შესაძლებელი იქნება ბედნიერი შეხვედრა. ნუ იფორიაქებთ, ზედმეტ ენერგიას ნუ დახარჯავთ, ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. საკვებ რაციონში ნუ შეიტანთ ხორცს და ალკოჰოლურ სასმელს. ნეგატიური დღეა მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. დიდხანს ფეხზე ნუ იდგებით, ჯობია, იაროთ, მეგობრულ წრეში საიდუმლო არ შეინახება. მოერიდეთ ურთიერთობებს ხელმძღვანელ პირებთან. სიფრთხილე გმართებთ ელექტროობასთან, გაზთან მიმართებით. ნუ აჰყვებით ფანტაზიებს, დაეყრდენით რეალურ ფაქტებს. მანდილოსნები დღეს უფრო რეალურად აზროვნებენ. კარგი დღეა საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმეებისთვის, სწავლისთვის, საიუბილეო საღამოებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, უძრავი ქონების, მინერალებით ვაჭრობისთვის, სახლის მშენებლობისთვის, ელექტრო და კომპიუტერული აპარატურის შესაძენად, ადგილსამყოფლის შესაცვლელად. სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ვენები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ცირკონი, ციტრინი, ლაბრადორი. **ფერები:** ნეონის, ვარდისფერი, ყვითელი, წითელი, ცისფერი, ვერცხლისფერი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

### 27 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.39 საათზე, ჩადის 17.49 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს თევზების ზოდიაქოში 12.57 საათზე. ამოდის 06.29 საათზე, ჩადის 17.09 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 08.42 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.06 საათიდან, 12.48 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის და საყოფაცხოვრებო საქმიანობისთვის. მოერიდეთ მკვეთრ სინათლეს და მძაფრ სურნელებას. დღეს და ხვალ ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. ხვალინდელი ახალმთვარეობის წინ სუსტდება იმუნიტეტი, ნერვული სისტემა, მხედველობა. მოერიდეთ ახალ საქმეებს, ცდუნებებს, ტყუილს, ალკოჰოლურ სასმელებს, ნარკოტიკულ ნივთიერებას, ფსიქოტროპულ პრეპარატებს, საიდუმლო საქმეებს. საიდუმლო დღეს ადვილად გამოაშკარავდება. არ ვარგა სესხის აღება ან გაცემა, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპიის გაკეთება, ახალი ფეხსაცმლის ყიდვა ან ჩაცმა. პოზიტიური დღეა იურისტებთან კონტაქტისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, ქველმოქმედებისთვის, კულინარიისთვის, მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი მიმართვისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, მგზავრობისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, თევზაობისთვის, საზოგადოების წინაშე გამოსვლისთვის. თავს ნუ დაიბანთ. კარგია პოეზიასთან, ხელოვნებასთან ურთიერთობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, თვალები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **ფერები**: იისფერი, ვერცხლისფერი, მწვანე, ლურჯი, ფირუზისფერი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულისთვის.

# 19 თებერვალი – 20 მარტი

„ნინო“, „გლახის ნაამბობი“. გარდაიცვალა 70 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1910 წლის 27 თებერვალს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ბიოქიმიკოსი, მცენარეთა ბიოქიმიისა და ტექნიკური ბიოქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში **სერგი დურმიშიძე.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1927 წლის 27 თებერვალს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი **ალექსანდრე ბანძელაძე.** მისი მოხატულია თბილისის დიდუბის ეკლესია, გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1940 წლის 27 თებერვალს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა კინორეჟისორი **დიმიტრი (დიმა ბათიაშვილი),** ფილოსოფოს **ირაკლი ბათიაშვილის** მამა. მისი ცნობილი ფილმებია „შნო“, „არასერიოზული კაცი“. გარდაიცვალა 67 წლის ასაკში ღორის წელიწადში.



**1857 წლის 28 თებერვალს, გველის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, რეჟისორი საქართველოს სახალხო არტისტი **ლადო ალექსი-მესხიშვილი.** მისი სახელი აქვს მინიჭებული ქუთაისის დრამატულ თეატრს. გარდაიცვალა 63 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1928 წლის 28 თებერვალს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, ყოფილი სსრ კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი **რამაზ ჩხიკვაძე.** გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1929 წლის 28 თებერვალს, გველის წელიწადში,** დაიბადა ცნობილი ფილმების — „ჯარისკაცის მამა“, „ნერგები“, „ღიმილის ბიჭები“ პროდიუსერი **შოთა ლაფერაძე.** გარდაიცვალა 66 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1932 წლის 28 თებერვალს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა **გულჩინა დადიანი,** რომელმაც ქართულ ფილმებში: „ღვინის ქურდები“, „პირველი მერცხალი“, „სოფლის აშიკი“ შექმნა სახასიათო სახეები. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის კოსმიური სხივების ლაბორატორიაში. გარდაიცვალა 73 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1939 წლის 1 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა დიპლომატი, პედაგოგი და პუბლიცისტი **ბელა ჩარკვიანი.** გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1955 წლის 1 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა კინოსა და თეატრის მსახიობი **მამუკა ლორია.** გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1882 წლის 2 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **ალექსანდრე იმედაშვილი.** რევოლუციამდელ ქართულ თეატრში ის ოტელოს როლის საუკეთესო შემსრულებლად ითვლებოდა. გარდაიცვალა 60 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1917 წლის 2 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა პოეტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (მიენიჭა სიკვდილის შემდეგ) **მირზა გელოვანი.** გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომში 27 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1919 წლის 2 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა ქართული წარმომავლობის ამერიკელი ბალერინა, მსახიობი, ჯორჯ ბალანჩინის საბალეტო დასის პრიმაბალერინა **თამარ თუმანიშვილი (თამარა თუმანოვა).** გარდაიცვალა 77 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1947 წლის 2 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს ეროვნული გმირი, ქალაქ სოხუმის მერი **გურამ გაბესკირია,** რომელიც 46 წლის ასაკში, 1993 წელს (მამლის წელიწადი) აფხაზმა სეპარატისტებმა მოკლეს.

## თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ:



**1942 წლის 28 თებერვალს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი ფეხბურთელი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი **დინო ძოფი.** მე-20 საუკუნის 100 საუკეთესო ფეხბურთელს შორის დასახელებულია 41-ე ადგილზე.



**1954 წლის 26 თებერვალს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა თურქეთის პრეზიდენტი **რეჯეფ თაიფ ერდოღანი.**



**1982 წლის 28 თებერვალს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა რუსი ტოპ-მოდელი **ნატალია ვოდიანოვა.** დაქორწინებულია მილიარდერ ბერნარ არნოს ვაჟზე ანტუან არნოზე.



**1969 წლის 1 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, ოსკარის, ოქროს გლობუსის, ბაფტასა და გოიას ჯილდოების მფლობელი **ხავიერ ბარდემი.**



**1994 წლის 1 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა კანადელი მომღერალი **ჯასტინ ბიბერი.** პედაგოგის გარეშე ისწავლა დაკვრა ინსტრუმენტებზე: პიანინოზე, გიტარაზე, დოლზე და საყვირზე.



**1962 წლის 2 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მომღერალი, სიმღერების ავტორი და მუსიკალური პროდიუსერი **ბონ ჯოვი.**

## თევზების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1955 წლის 24 თებერვალს, თხის წელიწადში,** დაიბადა კომპიუტერული ინდუსტრიის წამყვანი ფიგურა, Apple Inc-ის თანადამფუძნებელი **სტივ ჯობსი.** გარდაიცვალა 56 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1841 წლის 25 თებერვალს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მხატვარი და მოქანდაკე **პიერ ოგიუსტ რენუარი.** გარდაიცვალა 78 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1871 წლის 25 თებერვალს, თხის წელიწადში,** დაიბადა უკრაინელი პოეტი და მწერალი **ლესია უკრაინკა — ლარისა კოსაჩ-კვიტკა.** გარდაიცვალა 42 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1873 წლის 25 თებერვალს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი, მსოფლიო ოპერის ისტორიაში განთქმული ტენორი **ენრიკო კარუზო.** გარდაიცვალა 48 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1802 წლის 26 თებერვალს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მწერალი, პოეტი და დრამატურგი **ვიქტორ ჰიუგო.** გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1829 წლის 26 თებერვალს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ჯინსების მწარმოებელი კომპანიის „Levi Strauss & Co“ -ს დამაარსებელი **ლევი სტრაუსი.** გარდაიცვალა 73 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1861 წლის 27 თებერვალს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ავსტრიელი ფილოსოფოსი, სოციალური რეფორმატორი და პედაგოგი, ეზოთერიკოსი **რუდოლფ შტაინერი.** გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1932 წლის 27 თებერვალს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, ინგლისელ-ამერიკელი ვარსკვლავი **ელიზაბეთ ტეილორი.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1926 წლის 28 თებერვალს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა **იოსებ სტალინის** ქალიშვილი, ფილოლოგი, მთარგმნელი **სვეტლანა ალილუევა.** გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1942 წლის 28 თებერვალს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი მუსიკოსი, კომპოზიტორი, ინგლისური ჯგუფის **„როლინგ სტოუნზის“** დამაარსებელი **ბრაიან ჯონსი.** გარდაიცვალა 27 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1931 წლის 2 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა სკკპ-ს ცენტრალური კომიტეტის ბოლო გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი **მიხეილ გორბაჩოვი.** გარდაიცვალა 91 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1883 წლის 2 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა ბერძენი მწერალი, ბერძნული პროზის საუკეთესო წარმომადგენელი **ნიკოს კაზანძაკისი.** ის ცხრაჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე. გარდაიცვალა 74 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 28 თებერვალი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.37 საათზე, ჩადის 17.50 საათზე. **მთვარე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.54 საათზე, ჩადის 18.27 საათზე (**ახალმთვარეობის პირველი დღე** იწყება 04.47 საათზე. მე-2 დღე იწყება 08.50 საათზე. პირველი ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს **ახალმთვარეობაა — მძიმე კოსმიური ენერგიების დღეა. მზის და მთვარის ენერგიათა შეერთება თევზების ზოდიაქოში** მეტად განაპირობებს აგრესიას, დეპრესიას, კონფლიქტებს, ცდუნებებს, შეცდომებს, მოტყუებას, შიშებს, ცუდ აზრებს, ტრავმულ-ავარიულ ტენდენციებს, ჯანმრთელობის გაუარესებას და სხვა ნეგატიურ გამოვლინებებს. იყავით ყურადღებით, საიდუმლო დაიცავით. საქმეები გადადეთ შეძლებისდაგვარად. დღე მშვიდად გაატარეთ. პოზიტიურად განეწყვეთ. არვარგა ყიდვა-გაყიდვა, ფულის სესხება-გასესხება, ახალი საქმის დაწყება, მოლაპარაკების წარმატება. მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს, ნარკოტიკულ ნივთიერებებს, საიდუმლო საქმეებსა და სიყვარულს, დღეს საიდუმლო ადვილად გამოაშკარავდება. სიფრთხილე გმართებთ ასაფეთქებელ ნივთიერებებთან მიმართებაში. მოერიდეთ ანალიზების ჩაბარებას, ექოსკოპიას. თავს ნუ დაიბანთ. კარგი დღეა შემოქმედებითი მუშაობისთვის, ქველმოქმედებისთვის, ფოტოგრაფიისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული, ლიმფური სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი, მარგალიტი. **ფერები:** იისფერი, ლურჯი, ფირუზისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

### 1 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.36 საათზე, ჩადის 17.51 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 07.18 საათზე, ჩადის 19.44 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 08.56 საათზე. პირველი ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.07 საათიდან 13.53 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ინტუიციასა და ლოგიკას შორის მეტად დაეყრდენით დღეს ინტუიციას, მოიშორეთ ცუდი აზრები, იფიქრეთ კარგზე. დღეს და ხვალ დაგეგმეთ მომავლის მოქმედების გეგმები. დიდხანს ნუ იჯდებით ტელევიზორის წინ. ახალი გეგმები საიდუმლოდ შეინახეთ. დღეს ხელი შეეწყობა სულიერ გამოღვიძებას. პარტნიორულ ურთიერთობებში მოსალოდნელია განწყობის ცვალებადობა, ნერვიულობა, გადაწყვეტილების სპონტანურობა. ეფექტურია თირკმლების, ენდოკრინული სისტემის, ყელის მკურნალობა. მოერიდეთ ფიზიკურ და სულიერ გადაღლას, ახალი საქმის დაწყებას, ანალიზების ჩაბარებას, ექოსკოპიას, საიდუმლო საქმეებს, ნარკოტიკულ ნივთიერებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს, საფინანსო ოპერაციებს, წესების დარღვევას (დაჯარიმებით), ქორწინებას (13 საათის შემდგომ). სასიკეთო დღეა მგზავრობისთვის, ტანსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, შემოქმედებითი მუშაობისთვის. 13 საათის შემდეგ მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული, ლიმფური სისტემები, ტერფები, თავი, სისხლძარღვები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, ლალი, იაგუნდი, ძოწი. **ფერები:** მწვანე, ვერცხლისფერი, იისფერი, წითელი, ყვითელი, ლურჯი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

### 2 მარტი , კვირა

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.34 საათზე, ჩადის 17.53 საათზე. **მთვარე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 07.41 საათზე, ჩადის 21.02 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 09.03 საათზე. პირველი ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.53 საათიდან 24.00 საათამდე. **ტენდენციები:** დაიცავით კანონები, მოერიდეთ უსიამოვნებებს. კარმული გამოცდის დღეა. სიყვარულის, ხელოვნების მმართველი პლანეტა ვენერა ხდება რეტროგრადული (უკუმავალი), ამ ზეგავლენის შედეგად შესაძლებელი იქნება ძველი სასიყვარულო პარტნიორების გამოჩენა ან დარღვეული ურთიერთობების გააზრება, ძველ ფინანსურ პროექტებთან დაბრუნება, ძველი საქმეებიდან ფულის მიღება, ძველი შემოქმედებითი პროექტების გახსენება და მათი ახლებურად განვითარება. დაეყრდენით სიმშვიდეს და მოთმინებას. პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს ხასიათცვალებადობა, ნუ იკამათებთ, რათა ურთიერთობა არ გაართულოთ. ნუ გადაღლით თვალებს. აკონტროლეთ ხასიათში ემოცია, სიტყვები, სულსწრაფობა, აგრესია. ნეგატიური დღეა ქორწინებისთვის, საფინანსო ოპერაციებისთვის, კაპიტალდაბანდებებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, სტომატოლოგიური პროცედურებისთვის, თმის შეჭრისთვის, წესების დასარღვევად (დაჯარიმდებით). კარგი დღეა სწრაფად შესასრულებადი საქმეებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის, სპორტული ნაწარმის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სერდოლიკი. **ფერები:** წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ცისფერი, ლურჯი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვს, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 25, 27, 28 თებერვალი, 1 მარტი

**28 თებერვალი — ახალმთვარეობა**

| ადგილი, სადაც მადნეული მოიპოვება | მეფე მინოსის ურჩხული | სასიძოს მიერ პატარძლისთვის მირთმეული საჩუქარი | ახლად გამოჩეკილი ქათამი | სოფელი ქარელის რაიონში | პარკოსანი კულტურა | მდინარე დასავლეთ საქარ-თველოში |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულხან ... ორბე-ლიანი | სამასკარადო სამოსი | უკრაინული ავტო | ფრინველის წინა პირველი ნეკი | მთელის ნაწილებისგან შედგენილი რიცხვი | საკლავის რბილი ხორცი | თანავა-რსკვლავედი ცის ეკვატორულ ნაწილში |



თარაზულად: 1. ადამიანის არანორმალურად პატარა სიმაღლე; 7. აეროპორტი სეულში; 12. საყოფაცხოვრებო ტექნიკის თურქული ფირმა; 13. ერთ-ერთი უდაბლესი კასტა სამხრეთ ინდოეთში (ე.წ. ხელშეუხებელთა კასტა); 14. ღვინის დეგუსტატორი; 15. მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი; 16. სინამდვილე, რაც რეალურად არსებობს; 17. ზარმაცი, ნელი; 18. რისამე უცნობი ავტორი; 22. გრძელი შალაშინი; 23. საწვიმარი სამოსი; 26. აივენჰოს სატრფო (ლიტ.); 27. კუბური ერთეულებით გამოხატული რისამე მოცულობა; 28. ამერიკელი მსახიობი ანჯელინა ...; 30. მინერალი, ცირკონიუმის სილიკატი; 31. ახალზელანდიური ფრინველი; 33. მუსიკის დიდი მოყვარული; 34. მზისა და წვიმისგან დასაცავი საგანი; 35. ბერძენი მილიარდერი; 39. იტალიის კუნძული; 43. ციებ-ცხელება; 44. ქალაქი პორტი ესპანეთში; 45. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი; 46. აფრიკის სახელმწიფო; 50. ახალი ქვის ხანა; 51. სპორტული ნაწარმის გერმანული ფირმა; 55. ვისამე, რისამე დამცველი, მაქებარი; 57. რომელიმე ადამიანი; 60. ფილმი „... დაიდარდო“; 61. ლიტერატურული ნაწარმოების მითვისება; 62. ბილიარდის თამაში 15 ბურთით; 65. ჯულიეტას ნათესავი, რომეოს მსხვერპლი; 66. პიგმენტი, რომელიც განსაზღვრავს კანის, თმის შეფერილობას; 67. სახლის, ოჯახის წევრი.

შვეულად: 1. იტალიელი ფეხბურთელი; 2. წარსული დრო; 3. რამდენიმე თოფის ერთდროული დაცლა; 4. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 5. ქალაქი ყაზახეთში; 6. ლეონარდო და ვინჩის ტილო „საიდუმლო ...“; 7. ძველბერძნული სიმებიანი საკრავი; 8. ერთგვარი შავი ფერის ქსოვილი; 9. ქართველი ოქრომქანდაკებელი (11 ს.); 10. რვიანის მოყვანილობის ფუნთუშა; 11. კაციჭამია, ველური; 19. ამერიკელი მსახიობი პოლ ...; 20. ქალაქი იტალიაში; 21. მემამულის ქონების გამგებელი; 23. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 24. პარკოსანი მცენარე; 25. მომღერალი სელინ ...; 28. კატისებრთა ოჯახის დიდი ნადირი; 29. ჟორჟ სანდის რომანი; 31. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 32. დიპლომატიური კურიერის დაბეჭდილი საფოსტო ტომარა; 36. წინა საოპერაციო ხელოვნური ძილი; 37. მექანიკის ნაწილი; 38. ლაშა თაბუკაშვილის — „მერე რა რომ ..., სველი იასამანი“; 39. ბულგარეთის დედაქალაქი; 40. თეატრალური ხელოვნების სახეობა; 41. მცირე აზიის ძველი სახელმწიფო; 42. სახალხო პოეტი-მომღერალი შუა აზიაში; 43. სწორი ბალახიანი ადგილი, ტრამალი; 47. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 48. ფილმი ჩელენტანოს მონაწილეობით; 49. კინოთეატრი თბილისში; 52. დიზაინერები ... და გაბანა; 53. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 54. სუპერმარკეტების ქსელი საქართველოში; 56. კათოლიკური ეკლესიის მეთაური; 57. მსახიობი მონიკა ...; 58. ეზოს შემოვლებული ღობე; 59. საკაფი იარაღი; 63. მომღერალი ... ჩარლზი; 64. გორა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 25-ე გვერდზე*

| აქლემის შვილი | პატერპასი | რუსუდანის ვაჟი დავით ... | ოინი | დიდი სპორტული ნაგებობა | ზღვის დიდი ცხოველი | ქვიშა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| განგსტერთა ორგანიზაცია ...-ნოსტრა | ბერძნული სიმებიანი საკრავი | რბილი ნართის წვრილი გრეხილი | ტარიფი | კეთილ-თვისებიანი სიმსივნე | ღვინის ბერძნული ღმერთი | მოსაწევავი სამედიცინო ფხვნილი | მე-6 ნოტი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

WWW.ASAVALI.COM
mail@asavali.com

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2025 წლის 24 თებერვალი - 2 მარტი №9 (1580)
გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-ღასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

